კ. ბოკოლოზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე

ბატონყმობა საქართველოში

(მასალები)

თარგმანი და წინასიტყვაობა

თ. სახოკიასი

გამომცემელი
ერმოლაოზ წულაია

ტ ფ ი ლ ი ს ი
1927

კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე

ბატონყმობა საქართველოში

(მასალები)

თარგმანი და წინასიტყვაობა

თ. სახოკიასი

2181

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიმაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грушавили
Академия наук СССР

გამომცემელი
ერმოლაოზ წულაია

ტფილისი.
1927

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მე-3
სტამბა.

შეკვ. № 1328. მთავლ. № 363. ტირაჟი — 3.000

წინასიტყვაობის მაგიერი

ამ გამოკვლევის ავტორი, კორნელი ბოროზდინი, ტომით რუსი, წარსულ საუკუნის ორმოცდაათიან და სამოციან წლებში სამეგრელოში სცხოვრობდა მაზრის უფროსად. თავის დროის შესაფერისად განათლებული კაცი იყო, კარგად იცოდა ფრანგული, ხოლო სამეგრელოში ყოფნის დროს ქართული და მეგრულიც შეისწავლა, რასაც, ცხადია, იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ცოლად შეირთო ჩვენებური (ქავთარაძის) ქალი[1]).

ბოროზდინი დიდს როლს თამაშობდა სამეგრელოს მთავრის სასახლეში, მოწმე იყო ამ სამთავროს გაუქმებისა და ფაქტიურად რუსეთთან შეერთებისა. თავისი ნანახი და გაგონილი საქართველოდან წასვლის შემდეგ ბოროზდინმა რუსულ საისტორიო ჟურნალ „Исторический Вестник"-ში მოათავსა და ცალკე წიგნადაც გამოუშვა ამ სათაურით—„Закавказския Воспоминания" (ჩვენს მიერ ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში").

ბოროზდინსავე ეკუთვნის აღწერა ბატონყმობისა სამეგრელოში, რომელსაც ახლა ცალკე წიგნად ვუშვებთ.

ამ წიგნში ბოროზდინი ეხება ჩვენის ცხოვრების ერთს უმწვავეს კითხვათაგანს და რომ უმეტესის რელიეფობით დაეხატნა მაშინდელ სამეგრელოს ხალხის ეს იარა, წინ უმძღვარებს აღწერას საქართველოს ამ მივარდნილ კუთხის ეკონომიურ მდგომარეობისას, რომელიც მაშინ ველურთა პირველყოფილ მდგომარეობისაგან კნინით-ღა განირჩეოდა. ამ მდგომარეობის სრული სურათი მკითხველს გულს საშინლად შეჰზარავს, როცა წარმოიდგენს, თუ რა პირობებში უხდებოდა გლეხს ბატონთან პირნათლად გამოსვლა, როცა წარმოიდგენს იმ ანდაზის სიმწვავეს, რომელიც ხალხმა იმ დროს გამოსთქვა თავის თავზედა: „ბატონს ყმა უყვარს—მშიერ-მწყურვალი, ტანთჩაუცმელი".

ეს გამოკვლევა, გარდა იმისა, რომ სრულებით გარეშე კაცისაგან არის დაწერილი, სრულიად ობიექტიურად, კიდევ იმითი არის

---

[1]) ამ ბოროზდინის შვილია ალ. ბოროზდინი, რომელიც სიტყვიერების კათედრაზე პროფესორად იყო პეტროგრადის უნივერსიტეტში.

ჩვენთვის საინტერესო, რომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ღარიბია ამგვარი გამოკვლევებით და, ცოტა არ იყოს, შეავსებს ჩვენის ლიტერატურის ნაკლს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღწერა სრულია და ჩვენთვის ძვირფასი ჩვენის ხალხის იმ ეპოქის გასაშუქებლად. ჩვენ გვინდა მხოლოდ ცოტაოდნად შევავსოთ ჩვენის საკუთარის გაგონილითა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბოროზდინი აღნიშნავს სამეგრელოს ბატონისა და ყმის იურისდიქციას, მაგრამ არა აქვს აღნიშნული, თუ როგორია ის ნივთიერი საშუალება, რომლითაც კანონიერების კალაპოტში ჩააყენებს დამნაშავე ან ურჩ ყმას ბატონი, რა იარაღსა ხმარობს მის სურვილის წინააღმდეგ მოსიარულე ყმის „გონზე მოსაყვანად“.

ვეცდებით ჩამოვთვალოთ ზოგიერთი უფრო გავრცელებული იარაღი და საშუალება სასჯელისა.

1. პირველი და ყველაზე მეტად გავრცელებული (ალბათ, თავის სიიაფისა გამო) იყო—**ხუნდი**. ეს გახლავსთ გრძელი, მრგვალი და მსხვილი ძელი, საწრეტლით ამოღრუტნული ფეხების ჩასაყოფად; ფეხების ჩაყოფის შემდეგ მაგრად გაეყრებოდა გათლილი სოლები, რომლის ამოღება „ხუნდზე დასმულ“ კაცს სხვის დაუხმარებლად ვერ შეეძლო. „ხუნდზე იჯდა“ დამნაშავე მთელის დღეების და კვირეების განმავლობაში. ხანდისხან მჭადის ნატეხს მიუგდებდენ და უფრო ხშირად იმასაც არა. როდესაც ძალ-ღონე გამოელეოდა დამნაშავეს და ბატონიც საკმარისათ ჩასთვლიდა სასჯელს, მოურავს გაანთავისუფლებინებდა. ერთი ასეთი ხუნდი დარჩენილი იყო სოფ. ბანძაში 1900-წლამდე ცნობილ მებატონეს და გლეხების თავზარდამცემ თავადის—ხახუ ფაღავას სასახლეში.

2. **დადიანური, ხაჯალური** ანუ ჯაჭვი რკინისა—საკმაოდ გრძელი (ორი-სამი მხარისა) რკინის ჯაჭვია. ერთს ბოლოში რგოლი აქვს. ამ რგოლში დასასჯელს კისერს გააყოფინებდენ, დააბამდენ სადმე ბნელს ალაგას და ამყოფებდენ ასე ცარიელა მჭადისა და წყლის სინაბარა სასჯელის მოხდამდე. ამ ჯაჭვს სახელი „დადიანური“ ალბად მისი გამომგონის მთავარ დადიანისაგან დაერქვა. ამ ჯაჭვს ხმარობდენ აგრეთვე გიჟების დასაბმელად მორჩენის მიზნით (მღვდლებიოდიშარია, ქვარცხავა და სხ.). 1908 წელს ასეთი ჯაჭვი ორი ეკზემპლიარი ვიპოვნე სამეგრელოში. ერთი აღმოვაჩინე სოფ. ბანძაში ზემოხსენებულ ხახუ ფაღავას სახლში და ინახება პეტროგრადის ალექსანდრე III-ის მუზეუმში, ხოლო მეორე სოფ. კურზუში დიდი და-

ვით დადიანის ყოფილ სასახლეში. დადიანის მემკვიდრეს ამ ჯაჭვისათვის უფრო პრაკტიკული როლი დაუკისრებია: მთიდან ძელების ჩამოსათრევად ხმარობდა. მერე დაჰპატრონებია ახალი პატრონი დავ. დადიანის სახლისა მღვდელი დ. ბერულავა, რომელსაც ამ ისტორიულ ნივთისათვის პირვანდელი ისტორიული დანიშნულება სრულებით აუცლია და უფრო მოკრძალებული როლი დაუკისრებია: ჩამოეკიდნა მაღლა და ნაჭის მაგივრად ხმარობდა. რვა მანეთად სიამოვნებით დამითმო და დღეს ქარ. შ. წერ.-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ინახება.

3. **დილეგი**. დილეგი წარმოადგენს დიდს ამოკირულ ჭას. შიგ აგდებენ უკვე სასიკვდილოდ განწირულთ. შიგ ჩაგდებულს უკან ამოსვლის იმედზე ხელი სამუდამოდ უნდა აეღო. რომ ჩააგდებდენ ადამიანს დილეგში, ერთბაშად აღმოჩნდებოდა იმაზე წინად ჩაგდებულთა ძვლებს შორის და მოკლე ხანში ამ ძვლებს ემატებოდა მისი განაწამები ძვლებიცა. ასეთ დილეგებს კაცი ხვდება ციხეებთან. ჩემს პატარაობაში ერთი ასეთი დილეგი, ჯერ კიდევ კარგად შენახული, მინახავს მარტვილის ტაძრის მარცხენა მხარეს, გალავნის კედლის გვერდით, კოშკთან.

4. **ტანზე მაწვნის გადასხმა და მზეზე გაჩერება**. ყმების დასჯის ამ საშუალებას ხშირათ მიმართავდენ. დასასჯელს ტანთ გახდიდენ, ხეზე მიაკრავდენ, ტანზე გადაასხამდენ მაწონს ან თაფლს და ასე გააჩერებდენ მზეზე. ბუზებდახვეული ადამიანი მწვავედ განიცდიდა ასეთ ჯოჯოხეთურ ტანჯვას ხანდისხან მთელის დღეობით, სანამ ბატონი საკმარისად არ ჩასთვლიდა სასჯელს და ცოცხალმკვდარს ადამიანს ხიდან არ მოახსნევინებდა.

სამეგრელოში ხალხის გასამართლების დროს საზოგადოდ ვახტანგ რჯულმდებლის კოდექსით ხელმძღვანელობდენ. მაგრამ უფრო ხშირათ ამ რჯულდებით გაუთვალისწინებელი დანაშაულიცა ჩნდებოდა. და შესაფერის სასჯელის გამომგონიცა და მისი ამსრულებელიც თვით მებატონენი იყვნენ. ამ ნიადაგზე, რა თქმა უნდა, თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა. საილუსტრაციოდ ერთს ფაქტს მოვიტანთ, რომელიც თანამედროვეთ სოფ. ბანძაში ცხოვლათ ახსოვსთ.

მომქმედი პირებია: ბანძის მებატონე ხახუ ფაღავა და ერთი სოფ. თამოკოს მცხოვრები გლეხი, ამ ფაღავას ყმა, გვარად სიხარულია. გლეხს განუზრახავს მრისხანე მებატონის გულის მოგება და გადაუწყვეტია, რადაც უნდა დასჯდომოდა, ყველიერის ყინვა-სიცივეში მდ. ტეხურში კალმახი დაეჭირნა და ყველიერის მარხვის მტკი-

ცე შემნახავ ბატონისათვის მიერთმევნა ძღვნად. სახლიდან კარგის ფეხით გადასული გამომდგარა გლეხი და დაუჭერია 15 კალმახი. გამოწყობილა და სახლში ცოლშვილისათვის ერთიც არ დაუტოვებია, ისე თუთხმეტივე კალმახი მებატონისათვის წამოუღია. გლეხი მოწიწებით მოურავს გადასცემს ძღვენს, თან გული-გულში წინასწარვე ხარობს—მეპატონე ამავსებს წყალობითაო. სხვები სასახლეში შურის თვალით უყურებდენ თავგანწირულს გლეხს... მებატონეს კალმახები მოეწონა, მაგრამ თან მოურავს უბრძანა: ამის მომტანი **ხუნდზე დასვიო.** გაოცებული მოურავი ბატონის ბრძანებას გლეხს გადასცემს. ისიც არანაკლებ გაოცებული სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილება ბატონის ბრძანებას. ზის გლეხი ხუნდზე ერთი დღე, ორი დღე, სამი, ოთხი... მხოლოდ მეხუთე დღეს ბრძანებს ბატონი: ყაზახი (გლეხი) გაათავისუფლეთ და მომიყვანეთო. ღონემიხდილს „დამნაშავეს“ ბატონი ეკითხება:

— იცი, გოჩა, რისთვის დაგსვი ხუნდზე?

— იმის მეტად შენი რისხვა არა მქონდეს, არ ვიცოდე, ბატონო...

— მე რომ 15 კალმახი მომიტანე, კარგი გიქნია, მაგრამ შენც ხომ ერთ იმდენს დაიტოვებდი სახლში? როგორ არ იცი, რომ რასაც დაიჭერდი, ყველა აქ უნდა მოგეტანა, უკლებლივ! ახლა მიპატივებია, წადი და მეორეჯერ არ გაბედო შენთვის დატოვება, თორემ ვაი შენს ტყავს!..

გლეხმა შაურკარის (ბანძაშია) წმ. გიორგის მადლობა შესწირა, რომ ასე ადვილად გადარჩა...

ან მეორე მაგალითი:

ლეჩხუმში, რიმელიც მაშინ დადიანის სამფლობელო იყო და სამეგრელოს ნაწილს შეადგენდა, ერთს გლეხს დადიანისათვის დიდი ძღვენი მიურთმევია. დადიანს უკითხავს: რა წყალობას თხოულობ ჩემგანაო?

— სოფ. ოფითარას ხელოსნობა მიბოძე, შენი ჭირიმე,—უპასუხა გლეხმა.

დადიანმაც უბოძა ძღვენის მომტანს ოფითარას ხელოსნობა.

ხელოსნობა მოურავისებური თანამდებობაა, იმ განსხვავებით, რომ ხელოსანი ვალდებული არ იყო სასახლეში ეტრიალნა, სხვა მოსამსახურეებთან ერთად. მისი საქმე იყო—გადასახადები ეკრიფნა გლეხებისაგან ისე, რომ თავის თავიც არ დაევიწყებინა და ან მეტი გამოერთმია გლეხისათვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, აკრეფილის მე-

ტი წილი თითონა რგებოდა.—ეს რო გაუგია, ცოტა ხანს შემდეგ დადიანთან მეორე გლეხი მისულა. იმასაც პირველზე უფრო მეტი ძღვენი მიუტანია და ოფითარას ხელოსნობავე უთხოვნია. დადიანს იმისთვისაც უბოძებია ხელოსნობა. მერე მისულა მესამე, მეოთხე, ასე რომ ოც კაცისათვის გაუბოძებია ხელოსნობა მთავარს. თვით ოფითარაში კი სულ ორად-ორი კომლი გლეხი ესახლა თურმე. მისდგომიან ხელოსნები და რიგ-რიგად უთხოვნიათ გადასახადები. გაოცებული გლეხები მისულან და შეუჩივლიათ: ბატონო, შენი ჭირიმე, ჩვენ სოფელში სულ ორი გლეხი ვსახლობთ და ხელოსანი კი ოცი დაგინიშნიათო!.. რამდენს ერთს უნდა გავუძლოთო?..

დადიანი ჩაფიქრებულა და ბოლოს რამდენჯერმე გაუმეორებია:

— ოფითარას ორი გლეხი—ოცი მისი ხელოსანი...

ეს სიტყვები მერე საანდაზოდ გადაქცეულა.

ოღონდაც რომ მთელი ტომი დაიწერებოდა ასეთის ამბებისა ჩვენის წარსულის ცხოვრებიდან!..

ამ გამოკვლევას ვურთავთ ბოროზდინისავე მოთხრობისებურად დაწერილს მოგონებას—„წარსულიდან“. ეს მოგონება დაწერილია კ. ბოროზდინის მიერ სამეგრელოდან წასვლის შემდეგ, როცა ხელახლა ინახულა სამეგრელო და დაინახა ის განსხვავება, რომელიც მომხდარა მის მიერ ნანახ ბატოყმობის ღროს სამეგრელოში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, როცა დაბალ წოდებას, გლეხობას, შედარებით მეტი საშუალება მიეცა საეკონომიო და საკულტურო სარბიელზე უშუალოდ გამოსულიყო და თავის თავისათვის ეპატრონებინა, თავის ნაოფლარის ნაყოფით თვითონ დამტკბარიყო. თვით ბატონყმობის დროს თავადიშვილის ცხოვრების აღდგენას მჭიდრო, არსებითი კავშირი აქვს გლეხების ბატონ-ყმურ მდგომარეობასთან. ასე რომ ეს აღწერა ერთგვარი შევსებაა „ბატონ-ყმობის“ გამოკვლევისა.

სამეგრელოს ბატონყმობავე აქვს აწერილი რუსულადვე ჩვენს მგოსანს რაფ. ერისთავს, რომელიც წარსულ საუკუნის სამოციან წლებში სამეგრელოში მსახურებდა და მეტად დაახლოვებული იყო ამ საქმესთან. მისი ნაშრომი დაიწერა 1866 წლამდე, ე. ი. სამეგრელოში ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, ასე რომ რ. ერისთავს უშუალოდ თავის თვალით აქვს ნანახი ჩვენის ცხოვრების წესწყობილება. მისი დეტალური აღწერა მეტად სერიოზულია და ბოროზ-

დინთან ერთად სრულ სურათს იძლევა სამეგრელოში ბატონყმობის არსებობისას.

— —

დასასრულ, ამ წინგს დაერთვის ფრანგ ჟ. მურიეს, ჩვენის ქვეყნის გამომკვლევის, მოკლე აღწერა ბატონ-ყმობისა. მურიესაც უცხოვრია სამეგრელოში, აღწერა სამეგრელო თავის წიგნში—„La Mingrèlie“, სადაც ჩართული აქვს ეს ნაწილიც. საგნის უფრო სრული სურათის მოცემის მიზნით ესეც გადმოვთარგმნეთ და თან იმისავე წიგნიდან ამოვიღეთ ის სურათები, ლომლებიც ამ წიგნშია ჩართული.

თ. სახოკია

ბატონყმობა სამეგრელოში.

ორასი წლის წინად სამეგრელო შარდენმა აღწერა საოცარის ზედმიწევნილებით და აი როგორ გვიხასიათებს ამ კუთხის მაშინდელ საზოგადოებას. „მაღალი წოდება,—ამბობს ფრანგი-მოგზაური,—სრული ბატონია თავისის ქვეშევრომებისა, მათი ქონება იმისია, მათი სული და ხორცი იმის ხელშია; უფლება აქვს სიცოცხლეც-კი მოუსპოს; რაც უნდა, იმას უშვრება: წაართმევს ცოლ-შვილს, შეუძლია გაუყიდოს, ან-და ისე მოიხმაროს, როგორც მოეგუნებება. ყოველ გლეხს ბატონთან მოაქვს გადაჭრილ ზომის ხორბალი და სხვა ნაწარმოები, მოჰყავს საქონელი, ასე რომ ბატონის სიმდიდრე გლეხების რიცხვზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, გლეხი ვალდებულია, წელიწადში ერთ-ორ-სამ დღეს ასვას-აჭამოს თავის ბატონსა; ამიტომ მებატონე მთელის წლის განმავლობაში იქით-აქეთ დადის და თავის გლეხებს სახლებში ჩაუჯდება და მათის ხარჯითა სცხოვრობს; ხანდისხან სხვა მებატონის გლეხებსაც ეწვევა ხოლმე, და ეს გარემოება განხეთქილებასა ჰბადებს მებატონეთა შორის, იმართება ჩხუბი, იღვრება სისხლი...

„მთავარიც ასე სცხოვრობს, ასე რომ ძნელია მისის სადმყოფობის გაგება. თან დაჰყავს მთელი თავისი ოჯახი, ქალები, ბავშები, მოსამსახურენი, სტუმარნი, ელჩნი და სხვა პატივ-საცემნი უცხოელნი, როცა ესენი ეწვევიან; ამათ ემატება ფეხშიშველი გლეხები, რომელთაც ქვევითად ზურგითა და თავით მთავრის ბარგი-ბარხანა მიაქვთ, ასე რომ რიცხვ-მრავალი ამალა შესდგება ხოლმე. მთავარი ამ სიარულის დროს ხარკსა ჰკრებს ხოლმე და ვისგანაც ხარკი არ ერგება, საჩუქრებს ართმევს. გზა-გზა მასთან მომჩივრები მოდიან, თხოვნებს აძლევენ, ისიც საქმეს ხელად, იქვე სწყვეტს, ან-და მომჩივრებს ეტყვის —თქვენს სახლში გავათევ ღამეს და იქ გაგასამართლებთ ყველასაო. როცა სხვა და სხვა მებატონის გლეხებს მოუვათ ჩხუბი ერთმანეთში, მებატონეები ჩაერევიან საქმეში და თავისს გლეხებს შეარიგებენ, ხოლო თუ თვითონ მებატონეთ მოუვიდათ ჩხუბი, მაშინ ძალას მიმართავენ: ვინც დასძლევს, მართალიც ის იქნება. ამ შემთხვევაში აი როგორ იქცევიან: დაესხმიან თავს მოწინააღმდეგისა და მისთა ყმათა

საქონელსა, სახლ-კარს, ყანას, იკლებენ ყველაფერს, სწვავენ, ანაცარმტვერებენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებათ, და, ბოლოს, როცა გასანიორწყლებელი არა დარჩებათ-რა, ძირში სჭრიან ვაზებს, ბჟოლასა და სხვა ხეხილს. თუ მოწინააღმდეგნი ერთმანეთს შემოხვდნენ, იარაღსა ხმარობენ და ერთმანეთის სისხლსა ღვრიან. სუსტი მხარე მთავარს მიმართავს და მფარველობასა სთხოვს. მთავარიც მხოლოდ მაშინ ჩაერევა საქმეში: ბრალდებულს მოციქულს გაუგზავნის და ორსავე შეარიგებს; მაგრამ შერიგებას დიდი ძალა არა აქვს და, მარჯვე დროს იხელთებენ თუ არა, მაშინათვე ჩხუბს ასტეხენ.

„სამეგრელოში ერთს აზნაურსაც ვერ იპოვით, რომ ვისთანმე წაჩხუბებული არ იყოს, ამიტომ თოფ-იარაღს ერთავად თან ატარებს და გარსაც შეიარაღებული ამალა ახვევია“.

შარდენს შემდეგ კარგა ხანმა განვლო, როცა 1804 და 1805 წლებში იმერეთ-გურიის მმართველად ნამყოფმა ლიტვინოვმა ამავე საგნის შესახებ აი რა სთქვა: „თავადები თავიანთს ქვეშევრდომებს დესპოტურად ეპყრობოდნენ და გლეხების ქონება კი მეფესა და თავადობას ეკუთვნოდა. განათლება ოდნავ ბჟუტავდა,— ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება-ღა თუ იყო დაკმაყოფილებული. მთავრები და თავადები ერთავად დადიოდენ იქით-აქეთ; ქოხი, ტალავერი, ან ხშირ-ტოტებიანი ხე—მათი სასახლე იყო. რომელ სოფელსაც ჩაუდგებოდენ, საჭმელ-სასმელს ის სოფელი აძლევდა, და აქედან წასვლა მანამდე არ მოაგონდებოდათ, სანამ, რაც რამ ებადათ გლეხებს, ყველაფერს არ შეუჭამდნენ. გლეხები ჩივილს გამართავდენ: აგვიკლეს, არაფერი შეგვარჩინესო. ისინიც ამ სოფლიდან აიყრებოდნენ და სხვა სოფელს ჩაუდგებოდენ. საჭმელი სულ სადა იყო. მართალია, მთავარს ნება ჰქონდა, განუკითხველად სიცოცხლე მოესწრაფებინა თავის ქვეშევრდომისათვის, მაგრამ სუფრა კი მაინც საერთო იყო და ყველა მათხოვარს, კოჭლს, მაიმახსა და საბიჩარს ნება ჰქონდა თავის ბატონთან ერთად სუფრას მოსჯდომოდა. ქონებრივი განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხი აზნაურს ემსახურებოდა, აზნაური—თავადს, ხოლო თავადი—მთავარს“.

აი ორასის წლის წინად რასა სწერდნენ სამეგრელოს შესახებ, და აი ამ ცოტა ხნის წინედაც თითქმის იგივე განიმეორეს. და თითქო ძნელად დასაჯერებელი არისო. კავკასიის ამ კუთხეში მეტად ნიჭიერი ხალხი სცხოვრობს, გეოგრაფიული მდებარეობაც მი-

სი მეტად მარჯვეა, ამიტომ ამ კუთხის მკვიდრთ არაფერი უშლის ხელს მშვიდობიანათ წარმატების გზას დაადგნენ.

სამეგრელო რუსეთს 1803 წელს, 4 ქრისტეშობისთვეს შეუერთდა; ამ შეერთებასთან ერთად ხელი უნდა აეღო თავის მახინჯ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მის მაგიერ შემოეღო ახალი წესები ცხოვრებისა, რომელიც მოჰქონდა მისს შემომერთებელს ძლიერ სახელმწიფოს. აქ მიატეხა სამეგრელომ ძველს ცხოვრებას ჩხირი და თან-და-თან დაიწყო მოქალაქეობრივ ცხოვრებისაკენ მისწრაფება.

სამეგრელო ახალ, კარგ გარემოებაშია ჩაყენებული და ბევრი რამ სიკეთე მოელის; მაგრამ მეტად საინტერესოა მისი აწინდელი ყოფა-ცხოვრებაც გავიცნოთ. მისი თავისებური საზოგადოებრივი სახე მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმის ხანას და, უეჭველია, მალეც უნდა გაჰქრეს. ოც, ოც-და-ათი წლის უკან ისე გამოიცვლება მეგრელთა ცხოვრება, რომ, თუ რამ ლიტერატურული ნაშთი არ დარჩა, ძნელი იქნება წარმოდგენითაც წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა ყოფაში იყვნენ მეგრელები ამ ხანაში...

ჩვენ აზრად ის-ღა გვაქვს, გადავხატოთ საზოგადო ცხოვრების ერთი წარმავალ მოვლენათაგანი, სახელდობრ ბატონყმობა; ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას ყმების ყოფა-მდგომარეობას მივაქცევთ; ამასთანავე, გაკვრით შევეხებით სხვა წოდებათაც, რამდენადაც ამათ მთავარ საგანთან კავშირი ექნებათ. მაგრამ სანამ აქაურ წოდებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ რასმე ვიტყოდეთ, საჭიროდა ვრაცხთ წინ წავუმძღვარიოთ აღწერა მეურნეობის და ხალხის ზნეობრივის მდგომარეობისა. ამას უფრო იმიტომ ვშვრებით, რომ, რაკი გავიცნობთ ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და იმას, თუ რა თვალით უყურებს ხალხი ამ სიმდიდრეს, უფრო ადვილად შევიგნობთ, თუ რამდენად ხელს უცარავს უწესო ფორმები საზოგადო ცხოვრებისა ქონებისა და სიმდიდრის თანასწორად განაწილებას; შევიგნობთ, ამის მიზეზით თუ დამდენი ძალ-ღონე უნაყოფოდ იკარგება, უკეთურებას ხმარდება, და, ბოლოს, სრულიადაც იღუპება, და რამდენად საჭირო და სასარგებლოა ის სოციალური რეფორმა, რომელიც ამ მხარეს მოელის. როცა წარმოების შესახებ გვექნება ლაპარაკი, შევეხებით მხოლოდ იმ დარგს წარმოებისას, რომელმაც სხვა დარგს უფრო გაუსწრო წინ. პირველად ხვნა-თესვის შესახებ ჩამოვაგდებთ ლაპარაკს. ამასთანავე საჭიროდა ვსთვლით მოვიხსენიოთ, რომ ყველა ჩვენ მიერ აღნიშნული ცნობები შეეხება უმეტესად ოდიშს, ესე იგი, ბარის სამეგრელოს; ხოლო ლეჩხუმი, მთიანი ნაწილი სამეგრელოსი, ენითაც

განსხვაკდება და ზნე-ჩვეულებითაც სამეგრელოსაგან; ეს კუთხე უფრო იმერეთის ნაწილია და უფრო კანონიერიც იქნება იმერეთთან ერთად აღიწეროს.

I

ხვნა-თესვა: ხორბალი, სიმინდი, ღომი. მელვინეობა. მეაბრეშუმეობა. ბამბის მოყვანა. მეფუტკრეობა. საქონლის მოშენება. მენავეობა მდინარეებზე. კაბოტაჟი. ჩალვადრობა. ყოველკვირეული ბაზრობა და იარმარკები.

სამეგრელოში ხვნენ და თესვენ: სიმინდს, პურს, ღომს, ჭვავს, ქერს და ფეტვსა. პურს ერთსა და იმავე მიწაზე შვიდიდან ათ წლამდე შეუწყვეტლივ სთესენ; მერე, გლეხი, რაკი დაატყობს, ნიადაგი მოიღალაო, თავს ანებებს და სხვა, დასვენებულს და საძოვრად გაშვებულს მიწას დაუწყებს ხვნას. მიწის გაპატივება აქ არ იციან. ყველაზე ბევრს სიმინდსა სთესენ, მერე ღომსა, ღომის შემდეგ კი პურსა. ქერი, ფეტვი და ჭვავი ცოტა მოჰყავთ. ჭვავს უფრო ზეგანზე სთესვენ. ამათში მარტო ხორბალი ითესება შემოდგომაზე, სხვები კი ანეულია.

დავიწყოთ პურიდან.

პურის თესვა და მოწევა სულ ადვილად იციან. პურის დასათესად დანიშნულ ნიადაგზე ღვინობისთვეში მოაგროვებენ ბალახ-ბულახს, ეკლებს, ჯირკვებს და ყველას ერთად ცეცხლს წაუკიდებენ, ამის შემდეგ მოუხვნელ ნიადაგზე თესლს მოაპნევენ, მერე უღელ-ხარ შებმული სახნისით ერთის გოჯის სიღრმეზე მოხნავენ და მოხნულს დაფარცხავენ. მუშაობა სწრაფად იციან, ასე რომ ორ დღიურს სამ დღეში გააკეთებენ. მაისის გასულს პურს მომკიან კიდეც. მოსავალი კარგი იცის: თითო მარცვალი ოცდა ათს მარცვალს იძლევა. ამას აბა როგორ დაიჯერებს მცხოვრები შუაგულ რუსეთისა, სადაც, ვინ იცის, რამდენი შრომა და ხარჯი სჭირია, რომ ერთ მარცვალს ათი ან თორმეტი მარცვალი გამოაღებინოს!.

პურს მზეზე აშრობენ. ლეწვა კალოზე იცხან, ნავის ძირის მსგავს სალეწავით (კევრი), რომელსაც ძირში ხშირად კაჟის მსხვილი ნატეხები აქვს ჩასმული. კევრში ერთ უღელ ხარს აბამენ, ზედ შედგებიან და დაასრიალებენ წინ და უკან ჩაშლილ კალოზე, სანამ მარცვალი არ მოსცილდება თავთავს. ამ სახით ორ საქმეს ერთად აკეთებენ: ერთი, რომ პური ილეწება, მეორეც—ნამჯა (ბზე)

რჩებათ ხელში, საქონლის საკვებად*). ხორბალს ამის შემდეგ მზეზე აშრობენ, ფქვავენ და ცოტა ხნით ფქვილად ინახავენ. ვაკე ადგილებში-კი ხორბალს ვერ შეინახავენ: ნესტისა და სიცივისაგან მარცვლებს ერთნაირი, ევალთათვის უჩინარი ჭია უჩნდებათ და ერთბაშად პეპელებად ქცეული ხორბალი „გაფრინდება“... სამეგრელოს მთა ადგილებში, განსაკუთრებით ლეჩხუმში, ჰაერი ხელს უწყობს პურის შენახვას; აქ მთელის წლის განმავლობაში (მაგრამ მეტ ხანს კი არა) დაუფქვავად აქვთ ხოლმე პური შენახული და იქაური პური კარგის გემოსი და თეთრი გამოდის ხოლმე. პურს ყველა გლეხი არ იწვავს, და აქ მოგზაურ ევროპელს უპურობა, ცოტა არ იყოს, შეაწუხებს; მაგრამ მეგრელი თავის საყვარელ ღომსა სჯერდება.

სიმინდი მაისის გასულს ითესება და ხშირად იმ ადგილებზე, საცა, ის-ის იყო, პური მომკეს, ასე რომ ერთ ყანაში ერთსა და იმავე წელიწადს პურსაც იწვავენ, სიმინდსაც, და, გარდა ამისა, სიმინდში ლობიოსა, ცერცვსა და მუხუდოსაცა სთესავენ. სიმინდს პურზე მეტი შრომა სჭირია. სიმინდისათვის მიწას კარგა ღრმად ხნავენ და შიგა ჰყრიან თესლს; მაგრამ ყველაზე მეტი მუშაობა მარგვლასა (გახელვას) სჭირია. მარგვლის დრო მეგრელი გლეხისათვის სულისა და ხორცის გაყრის დროა. ბალახი ხარბათ სცდილობს მოერიოს ყანას და გლეხი უკანასკნელ ღონეს იკრეფს, რომ ღვარძლს თავისი სარჩო არ შეაჭამოს. თოხი სიმინდს სამჯერ სჭირია ზაფხულის განმავლობაში, რომ მტერი დაიჩაგროს და ზრდა და ღონის მოკრეფა არ დასცალდეს. ვინც ყანას არ გამარგლავს, ის უსიმინდოდა რჩება. ბალახ-ბულახი ნიადაგს მთელ ძალას ამოსწოვს და ისე დაიჯაბნებს სიმინდს, რომ, ორი მხარის სიმაღლე და ორ-სამ ტაროიან მცენარის მაგივრად, ამოვა ჯუჯა და უტარო სიმინდი, რომელიც ჭაობის ხაიას უფრო ემგვანება, ვიდრე სიმინდს. თითოეულ მეკომურს ცალ-ცალკე დამუშავება ყანისა მეტად გაუჭირდებოდა, ერთი მშვენიერი ჩვეულება რომ არ იყოს აქ: მარგვლის დროს გლეხი ნადს დაუძახებს ხოლმე და ყველანიც დიდის სიხმოვნებით მიდიან მოსახმარებლად. გლეხი ვალდებულია ნადს კარგი სადილი და ვახშამი აჭამოს. თუ გლეხი კარგათ გაუმასპინძლდება, ნადიც ხელს გამოიღებს და იგულ-მოდგინებს. საინტერესო და საყურადღებოა ნადობა: ოცამდე კაცს თოხი უჭირავს, ხმამაღლა მღერის მუშურს და ჩაჰკირკიტებს საქმეს,

---

*) ბზეს საქონლის საკვებად მხოლოდ საჭყონდიდლოში ხმარობენ, სადაც ჩალვადრობას მისდევენ, სხვაგან კი უხმარადა ჰყრიან.

მათთვის იმ წუთას არაფერი არსებობს და მხოლოდ მზის მწვავე სხივები უნებურად შეაჩერებს ხოლმე ცოტა ხნობით; მათს წინ მინდორზე დგას დიასახლისი, გვერდთ უდგას ან ქალი ან ვაჟი, ხელში უჭირავს თითისტარი და შულო აბრეშუმი, რომელსაც ართავს; იქვე უდგას დოქებით წყალი და ღვინო, რომელიც მთოხნელების სასმელად მოიტანა შინიდან. შესვენების დროს მხიარულად გაეხმაურება მუშებს, წააქეზებს, არიქათ, თქვენი ჭირიმეთ, ძალა მოიკრიფეთ და სამაგიეროთ ისეთ ვახშამს გაჭმევთ, რომ ჭერში გასროლინებთ ქუდებსაო. ასე გადის მთელი დღე. საღამო ხანს დიასახლისი შინ ბრუნდება, რომ ნადს ვახშამი გამოუწყოს. ისმის მხიარული სიმღერა ყანიდან დაბრუნებულების და ისიც მიხვდება, მოდიანო. ვახშამი მართლა, სანაქებო იციან. ამნაირად ეხმარებიან ყველანი ერთმანეთს.

სიმინდის ტეხვა ენკენისთვის გასულს იციან; თითო მარცვალი სიმინდისა სამოციდან ოთხმოც მარცვლამდე იძლევა. ბევრი დრო ეკარგებათ, როცა სიმინდის გუგას მარცვალს აშორებენ: ამ შემთხვევაში ხელით მუშაობენ, და ამიტომ ბევრი ხალხი უნდება. ამ მხრივ დიდად ეშველება საქმეს, როცა გავრცელდება ხალხში მანქანები, რომლებიც სამეურნეო საზოგადოების ყოფილმა გამგეობამ 1862 წელს გამოიწერა საზღვარგარეთიდან. ამ მანქანის ნიმუშით მეხანიკოსმა ზომერმა ტფილისში ბევრი მანქანა გააკეთა კიდეც და იმერეთისა და ქართლის მებატონეებმა იყიდეს. ამ მანქანის საშუალებით ერთი კაცი ერთსა და იმავე დროს იმდენს აკეთებს, რამდენსაც ორნი ხელით აკეთებენ. სიმინდი ბევრი გააქვთ მეზობელ ქვეყნებში. ოფიციალურის ცნობების თანახმად 1862 წ. ფოთის ნავთსადგურიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 500.000 მანეთის სიმინდი. ერთი ქილა, ანუ ფუთი სიმინდი აქ ორ აბაზიდან ათ შაურამდეა.

სიმინდს საქონლისა და შინაურ ფრინველის საკვებადაც ხმარობენ; თვითონ გლეხები კი მჭადს აცხობენ სიმინდის ფქვილისას, მაგრამ ისაც იშვიათად; მჭადის ჭამა უყვართ ქობულეთლებს და ლაზებს, რომლებიც სამეგრელოში სადურგლო და საკალატოზო სამუშაოსთვის მოდიან.

ღომი (mil d'Italie) მარცვლებით ფეტვსა ჰგავს, მაგრამ უფრო წვრილი და თეთრია, ძირი კი არც ერთ პურეულ მცენარეს უგავს: ღერო პურის ნამჯაზე სხვილი აქვს, ადლ-ნახევრის სიმაღლე იზრდება, იკეთებს ნახევარ ადლის სიგრძესა და ნახევარ გოჯის სიმსხო თაველს, წვრილ მარცვლებით გავსებულს. თითოეულ თავთავში ორა-

სიდან ათასამდე მარცვალია, ამიტომ ძნელია იმის გამოანგარიშება გადაუჭარბებლად, თუ ერთი მარცვალი თესლი რამდენ მარცვალს იძლევა. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ თითო მარცვალი ოთხმოციდან ასამდე მარცვალს იძლევა. ღომს ხარშავენ და პურის მაგივრადა სჭამენ. ღომის დასათესად მიწას უფრო წმინდადა ხნავენ და ზაფხულში ორჯერ მარგლავენ. ხშირად იმავე ნიადაგზე სთესვენ, სადაც იმის წინ პური მოიყვანეს. მწიფდება ენკენისთვის გასულს და დანიო.ა სჭრიან თაველებს, ხოლო ჩალასა მკიან და ცხენის საკვებად ინახავენ. თაველებს ჯერ მზეზე აშრობენ; მერე ლასტზე დაჰყრიან და ცეცხლს ზემოდან ჩამოჰკიდებენ გასახმობად. შემდეგ ხელითა ფშვნიან თაველებს და მარცვალს აცლიან. მარცვლისაგან თხელის აფსკას მოსაშორებლად ღომს ძეხვავენ მოჯალაბეების საშუალებით ან და წყლის ჩამურით. პირველ შემთხვევაში ღომს ასე ძეხვავენ: ბოძზე ფიცარსა სდებენ, ფიცრის ბოლოს წირისთავი აქვს მიკრული, რომელიც ჩამურში ჩაყრილ ღომსა ხვდება. მოჯალაბე ფიცრის ერთ ბოლოზე შესდგება და ფეხით ძირს დასწევს, ამ დროს წირისთავიანი ბოლო ფიცრისა აღიმართება და შემდეგ დაეცემა ჩამურს. მეორე შემთხვევაში კი, ესე იგი, როცა ფეხის მაგიერ წყალს ამუშავებენ, ფიცრის ერთ თავზე გობსავით აკეთებენ, რომელიც წყლით ივსება და ძირს იწევა, წყალი ისხმის, ამ დროს აღიმართება გობი და წირისთავიანი მძიმე ბოლო ფიცრისა ჩამურს ეხეთქება; მერე ხელახლა ივსება წყლით გობი, ხელახლა იცლება, წირისთავი ჩამურს ეხეთქება [1]) და მ. სხვ. ორსავე შემთხვევაში მეტად ზლაზნივით კეთდება საქმე და კაცს გულს უწვრილებს, ღომი თითქმის არ გააქვთ სადმე გასაყიდლად და სოფლელნი რასაც მოიწევენ, თვითონვე ხარჯავენ. ქილა ღომი ათი შაურიდან ერთ მანეთამდე ფასობს, მისი ფასი მოსავალის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ქერისა, ფეტვისა და ჭვავის მოყვანის შესახებ ლაპარაკი საჭიროდ არ შიმაჩნია, რადგან სამივე სულ მცირედ მოჰყავთ: ახლა აქაურის მეურნეობის მეორე თვალსაჩინო დარგს შევეხებით, სახელდობრ—მეღვინეობას.

სამეგრელო დაქსელილია ხშირის მაღლარით. ღამით შეუჩვევარ კაცისთვის აქ სიარული ძნელია, რადგან ყოველს ნაბიჯზე წინ ეღობება გზაზე გადაბანდული ვაზები. თუ რამდენად გავრცელებულია

[1]) სამეგრელოში ხელითაც იციან ღომის ძეხვა—კაკუტებით. პატივცემულ ავტორს ალბად დაჰვიწყნია ამნაირად ღომის ძეხვის აღწერა.

მთარგ.

მეღვინეობა, მკითხველს შეუძლია იქიდან გაიგოს, რომ პატრონი მცირედ ნაჭერ მიწისა, სადაც რამდენიმე თხმელა ან ხურმა დაეტევა, თავის ღვინოსა ხარჯავს. მაგრამ სამეგრელოში ყველგან კარგის ღირსების ღვინო არ მოდის. ჩვენ აქ ჩამოვთვლით იმ ადგილებს, სადაც კარგი ღვინო იცის.

ერთის მხრით მდ. ტეხურსა და აბაშას შუა და ხობის წყალს შუა — მეორეს მხრით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიდის მთელი რიგი სერებისა, რომლებიც იწყება სოფ. სალხინოსთან, და თავდება სოფ. შხეფთან, დაახლოვებით 35 ვერსის სიგრძეზე. ამ სერების ფერდოებზე ყველაზე უკეთესი ღვინო დგება. ზოგი ისეთი სოფელიც არის, სადაც საუკეთესო ღირსების ღვინო მოდის. პირველი ადგილი ღირსებით „ოჯალეშის“ ღვინოს უჭირავს. ამ სიტყვის ეტიმოლოგია შემდეგია: ბჟა მეგრულად მზესა ნიშნავს, ობჟალეში—სამზეო ადგილსა, აქედან წარმოსდგა დამახინჯებული სიტყვა—ოჯალეში. ღვინის სახელი ამტკიცებს, რომ თვითონ ვენახები ისეთს ალაგას არის გაშენებული, სადაც მზე ნიადაგ ადგია და აჭერს, და ამიტომ აქაური ვენახები საუკეთესო პირობებშია. ოჯალეში უდრის სახელწოდებას ბორდოულ ღვინის—cote-rotie-ისას. ოჯალეშს ეგრედ წოდებულ „სვანურის“ ჯიშის ყურძნისაგან აკეთებენ. ამ ყურძნის ვაზიც სხვა ვაზებივით ხეებზეა გაშვებული. ვინც კარგად არ იცნობს აქაურს მხარეს, იმ აზრისაა, რომ სამეგრელოში ყველგან გარეული ყურძენია და მცხოვრებნი სიზარმაცისა და დაუდევრობისა გამო არ ფიქრობენ ისეთი ვენახები გააშენონ, სადაც ვაზს დიდად გაზრდა არ შეეძლოს და ჭიგოზე იყოს აკრულიო; მაგრამ ეს დიდი შეცთომაა. ამ მხარეში მაღლარი ვაზის ყურძნისაგან საუკეთესო ღვინო დგება, ვიდრე დაბლარისაგან, ამიტომ რომ ნიადაგი აქ მეტის-მეტი ტენიანია და მტევანი რაც უფრო აშორებულია ნიადაგს, მით უკეთესად მწიფდება, უფრო ეკარგვის წყლიანი ნაწილები და უფრო ნაკლებადა ლპება. მაშასადამე, აბ შემთხვევაში მეგრელების სიღარიბე და დაუდევრობა არაფერი მოსატანია და, ჩვენის აზრით, მკვიდრნი კარგადა შვრებიან, რომ მამა-პაპის ჩვეულებას არ ივიწყებენ და ყველგან მაღლარს აშენებენ. ვაზებს, როგორცა ვთქვით, თხმელისა და ხურმის ხეებზე უშვებენ. მაგრამ ᲐᲛ შემთხვევაში ხურმას ამჯობინებენ, ამიტომ, რომ ხურმის ხე თხმელისაზე უფრო ვიწრო ფოთლიანია და ყურძენს უფრო ნაკლებადა ჰფარავს მზის სხივთაგან; მაგრამ ისიც კია, რომ ხურმა უფრო მაღლობ ადგილებზე ხარობს, ამიტომ დაბლობში თხმელას უნდა მიმართონ ხოლმე მცხოვრებლებმა. ვენახი რაც უფრო მაღლობ-

Акад. И. Грузин. Академия наук

ზეა გაშენებული, მით უფრო უკეთესი ღვინო დგება. აი, მაგალითად, ყველაზე მაღლა ოდიშში სალხინო და ჭაჩხურია და ამ სოფლებისთანა ღვინო სამეგრელოში არსადაა. იმავე **სვანურ** ყურძნისაგან ოჯალეშზე ნაკლები, მაგრამ ისე კი საუცხოვო ღვინის მოსავლის სოფლებად ითვლება: უშაფათი (აქ ღვინოს **გუდაათური** ჰქვიან), თამოკო, ნახუნუ, სკურდი, თარგამოული, აბედათი, ხუნწი და შხეფი. მეორე ჯიშის ყურძენია—**თეთრა,** ან კახური **ბწვანე**. ამ ყურძნისაგან კარგი თეთრი ღვინო დგება შემდეგს სოფლებში: ჯგალს, წალენჯიხას, საჩინოს, ჯვარსა და სუჯუნაში. (ამ უკანასკნელ სოფელში ყურძნის ჯიშს **პუმპული** ჰქვიან.) ამ ჯიშის ყურძენს სხვა ჯიშისა მოსდევს, სახელდობრ: **ჭვიტილური, ჩეჭიფეში, მაჭვადური, ქორბადიდი** და სხვ. მაგრამ **სვანურთან** ვერც ერთი ვერ მოვა. ვაზსა სხლავენ და წვერს წასჭრიან ხოლმე ყოველ 10-15 წელიწადში, და ხშირად შეგხვდებათ ხოლმე ასი წლის ვაზი, ნაოთხალ ალაბის სისხო. ძველსა და ნაყოფიერს ვაზს სამ კოკამდე, ესე იგი, 100 დიდი ზომის ბოთლამდე ღვინო გამოუვა.

2181

ღვინის დაყენება სამეგრელოში ამგვარად იციან: გიორგობისთვეში რთველს იწყებენ და ყურძენს რაც უფრო გვიან დაჭკრეფენ, მით უფრო კარგი ღვინო დგება. ოჯალეშის ყურძენს ქრისტეშობისთვის გასულს, ან იანვრის დამდეგს ჭკრეფენ [1]. ყურძენს ცაცხვის ხისაგან გაკეთებულ საწნახელში ჭყრიან, რომელიც ზოგგან უშველებელის სიდიდისა იციან; ჩვენ გვინახავს საწნახელი ორნახევარ ალაბის მეტის სიღრმისა. როცა ყურძენს ფეხით გასჭყლეტენ ერთჯერ, ტკბილს ასადუღებლად შიგვე ჩასტოვებენ, მერე მეორეჯერ გასჭყლეტავენ და ხელ-ახლა ადუღებენ და, მესამეჯერ გაჭყლეტის შემდეგ, ტკბილს საწნახელიდან ხრიკათი ამოიღებენ და ქვევრებში ასხამენ. ჭაჭა ცაცხვის საწნახელიდან ქვის საწნახელში გადააქვთ და საქაჯავით (ხარხიმით) ხელ-ახლა გასწურავენ; ჭაჭიდან გამოწურულ სქელ ტკბილით ავსებენ ქვევრებს, თავს მაგრად უკრავენ ბლის ქერქით და მიწით უგოზავენ. გაზაფხულზე დუღილ-გათავებულ ღვინოს სხვა ქვევრში გადაიღებენ და ამით თავდება მთელი პროცესი ღვინის დაყენებისა.

ბევრი მეღვინე-ავანტურისტი მოსულა კავკასიაში და უძაგებია აქაური წესი ღვინის დაყენებისა, მაგრამ თვითონ ამ ვაჟბატონებმა,

---

[1]) ეს წერილი 62 წლის წინად არის დაწერილი, როცა „ოჯალეში“ ჯერ კიდევ იყო სამეგრელოში. დღეს კი ამერიკულ ჯიშის ვაზებზე დამყნილი იმერული ვაზებია გავრცელებული სამეგრელოში და რთველი ხშირად ენკენისთვის ნახევარში გათავებულია კიდეც. მთარგ.

თუმცა მთავრობა მეტად თავ-გამოდებით ეხმარებათ, ისიც ვერ მოახერხეს, რომ იმ ღირსების ღვინო მაინც დაეყენებინათ, როგორსაც აქაურები აკეთებენ. მართალია, აქაურებს უკიჟინებენ, ღვინის კეთება არ იციანო, მაგრამ ჩვენ ამ კიჟინას არ გავიმეორებთ და მხოლოდ ვიტყვით, რომ მეგრელების ღვინო, რა ხერხითაც იყოს გაკეთებული, სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში, განსაკუთრებით ოჯალეში, საუცხოვო გემოსია და ყველა ღირსება აქვს კარგის ღვინისა, ესე იგი: მაგარია, ბოთლებში თუ გადაასხამთ ან სარდაფში შეინახავთ, სიკეთე ემატება და შორ გზას უძლებს. 1849 წელს მთავარმა დავით დადიანმა პეტერბურგში წასვლა დააპირა და წინ-დაწინ გაგზავნა ყუთებში ჩაწყობილი 600 ბოთლი ოჯალეშის ღვინისა; მთავარი ველარ წავიდა, და ღვინო პეტერბურგიდან ტფილისში დაუბრუნეს, მაგრამ არამც თუ გაფუჭებულა, გაკეთებულიყო კიდეცა. მთავრის ნაცნობებს და ჩვენც არა-ერთხელ დაგვილევნია ათის წლის ოჯალეში და იმის ბადალი ღვინო კავკასიაში სხვაგან არსად დაგვილევნია. გემოთი და სიმაგრით ოჯალეში ორს ევროპულს ღვინოს მოაგონებს კაცს: ბურგონულს და პორტვეინს.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ოჯალეშს, ისე სხვა ჯიშის ყურძენს, ეს თერთმეტი წელიწადია, სხვა-და-სხვა სენი გაუჩნდა, და ამის მიზეზით მეღვინეობა ძალიან შეფერხდა. როგორ უნდა ააცილოს კაცმა ვენახებს ეს უბედურება—გადაწყვეტილის პასუხის მიცემა მეტად ძნელია... გოგირდის მტვერს კაცი აქაურ ვაზს ვერ შეაყრის, რადგან ხეზეა გასული და კაცი ვერ მიუდგება, გადარგვაც ბევრს ვერასა შველის, ასე რომ ყველაფერი დრო-ჟამს უნდა მიენდოს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრო და ჟამი ყველაზე უკეთესი მკურნალი იქნება [1]). ღვინის ახლანდელ მოსავლის კვალობაზე ძნელია კაცმა სთქვას, თუ რამდენი ღვინო მოდიოდა სამეგრელოში ამ 11 წლის წინად. მაშინ კი საოცრად ბევრი მოდიოდა და მთელს მოსავალს ისევ აქაურებივე ხარჯავდნენ.

ეჭვი არ არის, რომ თავის დროზე, როცა ვაზის ავადმყოფობა მოისპობა და იმ ადგილებს, საცა ახლა საუკეთესო ღვინო მოდის, ფულიანი ხალხი უყურადღებოდ არ დასტოვებს, აქაური ღვინო საპატიო ადგილს დაიჭერს ბაზრებზე. ჯერ ხანად კი ღვინოს ბევრი არაფერი ფასი აქვს, განსაკუთრებით, როცა კაცი კოკობით ყიდუ-

[1]) საკვირველია, რომ ავადმყოფობა ყველა ჯიშის ვაზს შეხვდა, გარდა ყირიმიდან მოტანილ ვაზის „იზაბელასი“. ამ ყურძენს თუმცა სხვაგან მარტო საჭმელადა ხმარობენ, მაგრამ აქ მისი გაწურვაც იწყეს.

ლობს! თამოკოსი, აბედათისა და ნახუნუს ღვინო ჩვენ გლეხებისაგან ორ მანეთად გვიყიდნია კოკა ანუ შვიდ კაპეიკად ბოთლი, და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველს ამ შვიდ კაპეიკიან ბოთლზე ვარაყიანი იერლაყი რომ დააწებოს კაცმა და დააწეროს: Nuit ან Romanée, რუსეთში ბევრი გასაღდებოდა ბურგონის ღვინის სახელით, თვითეული ბოთლი 2 მანეთად.

მეღვინეობის შემდეგ საპატიო დარგი ბარის სამეგრელოს მეურნეობისა—**მეაბრეშუმეობაა**, რომელიც მხოლოდ „ლამაზთა სქესს“ გაუხდია ხელობად. აბრეშუმის ჭია თესლიდან აპრილში გამოჰყავთ და ექვსის კვირის განმავლობაში თუთის ფურცლითა ჰკვებავენ, სანამ ჭია ცახზე არ გავა და პარკის კეთებას არ დაიწყებს. ჭიის მოვლის დროს სახლში ხმა-მაღლა არავის ალაპარაკებენ, ჭიას მზის სინათლეს და წვიმას არიდებენ. ამიტომ იმ დროს ქალები სრულიად ეპატრონებიან სახლებს და მამაკაცთ, ესე იგი, ხმაურობის მოყვარე ნაწილს ოჯახისას თავიდან იშორებენ. აბრეშუმის ჭიის კვების დროს აქ „ქალების დროს“ ეძახიან, და ამ შემთხვევაში ქალები, მართლაც, ბატონობენ ოჯახში. თავი და თავი მათი საზრუნავი—თუთის ფოთლის შოვნაა, და თუმცა ყველას უდგას რამდენიმე ძირი თუთა, მაგრამ საკუთარი ფოთოლი ხშირად შემოაკლდებათ და მაშინ სხვის ფოთლის ტაციობას მიმართავენ ხოლმე. ამნაირი ქურდობა აქაურს ხალხში ისეთის უწმაწურის საშუალებით ისჯება, რომ იმის ტასახელება მწერლობაში უხერხულია.

20 წლის წინად სამეგრელოში ყოველგან ალაგობრივი აბრეშუმის ჭია იყო, მაგრამ მეგრული თესლი, საფრანგეთის ქვეშევრდომის გრაფ როზმურდუკის წყალობით, რომელმაც აქ გულმოდგინეთ მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობას, ახლა თითქმის ყველგან განსდევნა პიემონტის თესლმა. 1848 სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა გრაფი როზმურდუკი ზუგდიდში მოიწვია აბრეშუმის ამოსახვევ ქარხნის დასაარსებლად. თანაც, რომ გრაფს ხარჯისა არ შეშინებოდა, მთავარმა თავისს ძმას კონსტანტინეს ურჩია— ნახევარ ხარჯში შემოუდექიო. პირველ ხანად ორმავე ოთხ-ოთხი ათასი მანეთი გაიღო საქმის დასაწყებად, ხოლო ის მიწა, რომელზედაც ქარხანა დაარსეს, გრაფ როზმურდუკს ათის წლით უსასყიდლოთ დაუთმეს. მთავარსაც და დედოფალსაც დიდი შრომა დასჭირდათ, რომ ზუგდიდისა და მახლობელ სოფლების ქალიშვილები დაეყოლიებინათ ქარხანაში შესულიყვნენ და აბრეშუმის ამოღება ესწავლათ გრაფ როზმურდუკის მიერ სამხრეთ საფრანგეთიდან მოყვანილ ორ ფრანგის ქალისაგან.

აბრეშუმის ამოღების ოსტატები იყვნენ m-lle Marie და m-lle Susette. ამათ საპატიო სახელი დაიმსახურეს აქაურ მეაბრეშუმეობის საქმეში, აქაურ ქალებს ხელობა ასწავლეს და გარდა, ამისა, ცოტა არ იყოს, მამაც ქალების სახელიც გაითქვეს, ამიტომ რომ თავის საყვარელ საფრანგეთიდან ნახევრად ველურ და შორს ქვეყანაში წამოვიდნენ. სამეგრელო მათთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ორივე გათხოვდა: მარია სადადიანო გლეხს ბეკო ჩიხლაძეს მისთხოვდა, ხოლო სუზეტა —იმერელ აზნაურს იოსებ ქაჯაიას. სახვევ ქარხნის დაარსების შემდეგ ერთმა წელიწადმა გაიარა: ამ ხანში 20 მეგრელმა ქალმა ისწავლა აბრეშუმის ამოხვევა, საქმე მარჯვედ წავიდა და მომუშავე ქალები ქარხანას არ აკლდა. დღეში აბაზად იმდენს მუშას იშოვიდით, რამდენიც გენებებოდათ. საქმეს ყოველთ უწინარეს ის აბრკოლებდა, რომ ხალხი თაკილობდა,—ქალმა იქ არ უნდა იმუშაოს, სადაც სხვა ქალები, და, მით უმეტეს, მამა-კაცები უყურებენო. მაგრამ ქარხნის დამაარსებელთ ამ შემთხვევაში ქება-დიდება ეკუთვნისთ; იმდენი იმეცადინეს, რომ ხალხი დააჯერეს, ქალების მუშაობა ქარხანაში არაფერი სირცხვილიაო და ამ გვარად კავკასიაში დაარსეს პირველი ქარხანა, სადაც მარტო ქალები მუშაობდნენ,—და ეს კი ვერ შესძლეს ვერც ფრანგის გრენიორებმა და ვერც ალექსეევმა ნუხაში.

გრაფ როზმურდუკი როცა დარწმუნდა, ადგილობრივი თესლი არ ვარგაო, პიემონტის თესლი გამოიწერა და ზუგდიდისა და მახლობელ სოფლების მცხოვრებლებს დაურიგა იმ პირობით, რომ ამ თესლიდან გამოეყვანათ ჭია. მერე თვითონ ჰყიდულობდა მათთგან პარკს და ერთ-ნახევრად მეტს ფასს აძლევდა ამ პარკში, ვიდრე მეგრულ პარკში აძლევდა წინედ. ამგვარად, პირველად გრაფ როზმურდუკმა დაუწყო დევნა მეგრულს პარკს და პიემონტის თესლს დაუწყო გავრცელება, და ამავე დროს ზუგდიდის აბრეშუმი სტამბოლში ნიადაგ ათ თუმნად იყიდება ფუთი და სამეგრელოში საუკეთესო აბ-აბრეშუმად ითვლება. ოცის წლის წინად კი იგივე აბრეშუმი, სულ ხიდი, სამ-ოთხ თუმნად ფასობდა, ესე იგი, იმდენადვე, რამდენადვე სხვა სოფლების აბრეშუმი. ევროპულ აბრეშუმის სახვევი მანქანა რთულის მეხანიზმისა არ იყო და ამიტომ სოფლებში აქა-იქ შეიძინეს, და ესეც დიდად უწყობდა ხელს ძაფის წმინდად ამოხვევის საქმეს.

ოსმალეთთან იმის შემდეგ გრაფის როზმურდუკის მაგალითს მიმბაძველი გამოუჩნდა—ბერძენი მარკოპოლი, რომელმაც ორპირში გახსნა აბრეშუმის სახვევი ქარხანა. მაგრამ მისმა ქარხანამ

ვერ იხეირა, რადგან ისეთს მარჯვე ალაგას არ იყო გახსნილი, როგორც ზუგდიდისა იყო. ორპირი დაშორებულია იმ სოფლებს, რომლებიც მეაბრეშუმეობას მისდევენ. ამიტომ ქარხნის პატრონი იძულებულია თვითონვე იაროს სოფელ-სოფელ პარკის სასყიდლად, რაიცა საქმეს მეტად უცარავს ხელს. გარდა ამისა, აბრეშუმის ამოხვევის მცოდნე ქალების მუდმივად შოვნაც უძნელდება. მარკოპოლიმ თავისი ქარხანა ცოტა ხნის უკან ავსტრიელს პირიენს მიჰყიდა, ხოლო ამან—გოფშტრაზერს. ქარხანა კარგადაა მოწყობილი: 50 სახვევ იარაღს ამოძრავებს ორთქლის მანქანა, იქავეა პარკის საშრობი ფარდული, არის ქურა ჭიების სახოცი,—ყველაფერი სამაგალითოდ არის მოწყობილი, მაგრამ რად გინდათ, უხერხული ადგილია ამორჩეული და საეჭვოა, დიდი მოგება აჩვენოს პატრონს... როზმურდუკისა და გოფშტრაზერის ქარხნებში ამოხვეული აბრეშუმი მარსელში იყიდება: მესამე ხარისხისა—რვიდან ათ თუმნამდე ფუთი; მეორე ხარისხისა—ათიდან ოც თუმნამდე და პირველისა—ოციდან ოც და თვრამეტ თუმნამდე. სოფ. ლესიჭინოშიაცა სცადეს სადადიანო გლეხებმა სიჭინავებმა ქარხანა გაეხსნათ და ამ საქმეში მონაწილეობა მიეღებინებინათ სხვა გლეხებისთვისაც, მაგრამ არ ვიცით, რა ბედი ეწია მათს განზრახულს საქმეს.

კაცი დანამდვილებით ვერ იტყვის, თუ რამდენს აბრეშუმს იწევენ წლიურად სამეგრელოში, იმიტომ რომ ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები ჯერ არ არის; მაგრამ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ერთი თხუთმეტი ათასი კომლი მაინც მისდევს მეაბრეშუმეობას; ვთქვათ, თითო კომლი წელიწადში თითო ფუთს აბრეშუმს იწევს, ხოლო ყოველი ფუთი, სულ უკანასკნელი, ოთხ თუმნად რომ ჩავაგდოთ, მთელი ფასი ყოველწლიურად მოწეულის აბრეშუმისა უდრიდეს იქნება ექვსას ათას მანეთს. ამასთანავე ეჭვი არ არის, რომ ორი მესამედი ამ აბრეშუმისა (ესე იგი, ორმოც ათას მანეთისა) გააქვთ საზღვარგარეთ და, როგორც გვითხრა გრაფმა როზმურდუკმა, ამ საქმის ზედმიწევნით მცოდნემ, ეგვიპეტსა და ალჟირში. მაგრამ, ეს რამოდენიმე წელიწადია, აქაურს მეაბრეშუმეობასაც დაატყდა უბედურება: აბრეშუმის ჭიას სენი უჩნდება, როგორც ევროპაში ამ ათის წლის განმავლობაში, და მისი მოსპობა დრო-ჟამს უნდა მივანდოთ. მანამდე კი როზმურდუკისა და გოფშტრაზერის ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია. ამ უკანასკნელის ქარხანა სატრანზიტო საქონლის საწყობად არის გადაქცეული. ესეც კია, რომ წელს აბრეშუმის ჭიის სენმა

იკლო და იმედია, რომ პარკის მოსავალი ორ წინა წლებისაზე უკეთესი იქნება.

——

დროულნი მცხოვრებნი ამბობენ,—ძველად **ბამბა** ბევრი მოჰყავდათ სამეგრელოში და მეზობელ ადგილებში სულ აქედან გაჰქონდათ ეს საქონელიო. მაგრამ სამეგრელოში იაფ ფასიან ფართლის შემოტანა რომ დაიწყეს, ბამბის მოყვანა თან-და-თან შემცირდა და ბამბას ამ ოთხი წლის წინად მარტო შინაურ საჭიროებისათვის სთესავდენ. ხალხი უფრო სიმინდს, ღვინოს და აბრეშუმის მოწევას დააწვა, რადგან ამათს მოწევას შედარებით უფრო ნაკლები შრომა სჭირდებოდა. მაგრამ ვაზსა და აბრეშუმის ჭიას სენი გაუჩნდა, მეღვინეობაცა და მეაბრეშუმეობა—ორივე დაეცა, თან ამერიკის ომის გამო ევროპის მანუფაქტურებს ბამბა დასჭირდათ და ამ საქონელს ფასი დაედო. მაშინ უფრო გაცხოველდა სამეგრელოში ბამბის მოყვანა და უკანასკნელ ორ წელიწადს დიდძალს ბამბას ეზიდებიან აქედან.

სამეგრელოში მეგვიპტურის ჯიშის ბამბასა სთესავენ. ამ ჯიშის თესლი კავკასიაში გრაფის ვორონცოვის დროს, 1845 წ., შემოვიდა და მას შემდეგ აქაური თესლი განდევნა. ბამბის მოსაყვანად საუკეთესო ადგილებად ითვლება სერების ჯალთები, სადაც ნიადაგი არც ისე ტენიანია და ცოტათი ქვიანიცაა. ჩვენის აზრით, ბამბის მოყვანის გავრცელება შემთხვევითის პირობების ბრალია, შემდეგში საეჭვოა ამდენიმე სთესონ მცხოვრებლებმა და როგორც კი მოისპობა ეს დროებითი ხელისშემწყობი გარემოება, ბამბის მოყვანაზე ისევ აიღებენ ხელს. ბამბას დიდძალი მოვლა და მუშა სჭირია, ამიტომ თავისს ფასს მხოლოდ მაშინ აიღებს, როცა მოულოდნელად გაძვირდება და დიდი მუშტარი გამოუჩნდება. ამ სამის წლის წინად ერთი ფუთი ბამბა ალაგობრივ ღირდა 10—12 მანეთად, იმავე დროს ერევნული ბამბა ფუთი ხუთ მანეთად იყიდებოდა. ეს საუკეთესო დამატკიცებელი საბუთია იმისი, რომ სამეგრელოში ბამბა გასაყიდად კი არ მოჰყავდათ, არამედ შინაურობაში სახმარად; მერე ერთბაშად ბამბის ფასი 15 მანეთამდე ავიდა ფუთზე და ეს ფასი იყო ამ წლის დამდეგამდე. ახლა კი 7 მანეთამდე ჩამოვიდა. ფასის ასეთის უცების აწევა-დაწევით აიხსნება, თუ როგორი მოთხოვნილებაა ამ საქონლისა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორს წელიწადში ერთიორად მეტი მოჰყავთ სამეგრელოში ბამბა. და თუ მანამდე, როგორც

ოფიციალურის ცნობებიდანა სჩანს, წელიწადში 1,500 ფუთამდე მოჰყავდათ, ახლა კი 3,000 ფუთი მოჰყავთ, ანუ, აწინდელის ფასების კვალად, 20,000 მანეთისა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აქაურს **მეფუტკრეობასაც**. ამ დარგს მეურნეობისას მისდევენ ენგურისა, ტეხურისა და ცხენისწყლის ხეობის მცხოვრებნი. სკები ხეებზეა ხოლმე მიკრული და თაფლის ფიჭი ერთად ამოაქვთ წელიწადში ერხელ, ასე, საახალწლოდ. ზოგიერთ გლეხს 100—150 სკა ფუტკარი ჰყავს. ფუთ თაფლს ოთხიდან ხუთ მანეთამდე ჰყიდიან, ხოლო სანთელს—15 მანეთად. ბარის სამეგრელოში, ზღვის მახლობლად, მდ. ჭურიის ნაპირებზე, მშვენიერი თაფლი იცის. აქაურ თაფლს **კიპურჭს** ეძახიან. მეტისმეტად თეთრი და გემრიელია, ფიჭი თითქმის არა აქვს, ცარიელი თაფლია და პირდაპირ იჭმება, შაქრიელივით; საუცხოვო სუნიცა აქვს. საკვირველი ის არის, რომ კიპურჭი როგორღაც შემთხვევით გამოერევა ხოლმე; თვითონ გლეხებმაც არ იციან, რომელ ფუტკარს ექნება კიპურჭი გაკეთებული: რამდენსამე როგო თაფლს ერთი როგო კიპურჭი გამოერევა. ალბად, ფუტკრები, რომელიღაც განსაკუთრებით სურნელოვან ყვავილებიდან აგროვებენ კიპურჭს და თვით ეს ყვავილები დიდხანს არა ჰყვავიან. თაფლსა და სანთელს მომეტებულად თურქები ჰყიდულობენ აქ და საზღვარგარეთ გააქვთ.

საქონლის მოშენების საქმე სამეგრელოში მეტად დაქვეითებულია. საქონლის ჯიში იმ ზომამდეა დაკნინებული, რომ აქაური ძროხა კარგის ჯიშის წლინახევრის ხბოზე დიდი ძლივასაა. საქონელს სრულებით არ უვლიან: წელიწადი-თორმეტი თვე გარეთ დაუდისთ, და მხოლოდ ზოგიერთები ინახავენ ქრისტეშობისა და იანვრის თვეებში ბოსლებში; უფრო ხშირად კი საქონელი თვითონვე ეძებს საკვებსა. ზამთარში, რაკი ფოთოლი და ბალახი აღარ არის, ბუჩქების ახალ ყლორტებით და ნეკრებით იკვებება. ამგვარ მოუვლელობის მიზეზით საქონელი მეტად დავარდნილია და ხშირად ჭირიც შუსრს ავლებს ხოლმე. ადგილობრივს პოლიციას დიდი შრომა ადგია ხოლმე ჭირიანობის დროს: თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ გლეხებმა ჭირით დახოცილ საქონელს ტყავი არ გააძრონ და მკვდარიც ღრმად დამარხონ ხოლმე მიწაში; ჭირიან საქონელს ხალხი სიღარიბის გამო აძრობს ტყავს და ამის მიზეზით ხშირად თვითონ სოფლელებსაც უჩნდებათ სენი.

ცხენებიც დაკნინებულის ჯიშისანი არიან აქ. მხოლოდ შეძ-ლებულ მებატონეებსა ჰყავთ გვარიანი ჯოგი, რომელშიაც კარგი, ბაჩად წოდებული, თოხარიკი ცხენები გამოერევა ხოლმე. მეცხვა-რეობას მთების მახლობლად მდებარე სოფლებში მისდევენ, სადაც საუცხოვო მთის საძოვრები აკრავს ხოლმე. ამ სოფლებში 20.000 მეტი ცხვარი ეყოლებათ. ზაფხულობით უმეტესობა ძროხებისა, ცხე-ნებისა და ცხვრებისა ბარიდან ლეჩხუმში მიუდისთ ხოლმე, ასხის მთაზე, სადაც კარგი საძოვრებია. აქ ადგილი მიუვალია, ამიტომ ქურდების შიში არა აქვთ, ხოლო ცხენები იმ ზომამდე ველურდე-ბიან, რომ შემოდგომაზე ქამანდით იჭერენ ხოლმე.

ტყის წირმოება ჯერ რიგიანად არ იციან. ახლაც მცხოვრებთ ბევრს ალაგას ტყე საერთო საკუთრებად მიაჩნიათ და ჰგონიათ, ყველას შეუძლია მისი ჭრა, როგორც და რამდენიც უნდათ. მდი-დარი ტყეა რიონიდან სამურზაყანომდე, ზოგან შიგ ცულიც-კი არ შეუტანია ადამიანსა. აქ შეხვდებით საუცხოვო ხელუხლებელ ტყეებს— მუხისას, წაბლისას, კოპიტისას, უშველებელის სიდიდის წიფლისას. რაკი ამ ტყის მყიდველი არავინ არის, მემამულენი დიდის სიხა-რულით აძლევენ ტყეს გლეხებს უსასყიდლოთ 10—15 წლით, იმ პირობით, რომ ტყე გაჰკაფონ და მიწა საყანედ გახადონ. ასწლოვანი ხეები ძირში იჭრება, მიწაზედვე რჩება, ლპება და ნიადგს ასუქებს. ამ ახალგატეხილ ნიადაგზე ჭირნახული საოცრად ბევრი მოდის, მაგრამ, რად გინდათ, ჰაერი მეტად ციებ-ცხელებიანია, ყველას, ვინც აქ დასახლებას გაჰბედავს, წყალმანკი უჩნდება ჩაცივებულის ციებისაგან; ყველა გამხდარია და მწვანე ფერი ადევთ. პირველი, მუქთად სარგებლობის, ვადა რომ გაივლის, მემამულე თავის იჯა-რადარს დაავალებს მამულის სარგებლობისათვის იხადოს ხოლმე— **მოდი** ან მოსავლის მეათედი. გლეხიც ამის შემდეგ მამულზედ რჩება მოიჯარადრედ.

ამნაირი გაკაფვა ტყისა, რა თქმა უნდა, სამეგრელოს ჰაერს გასწმენდს, რაიცა ცხადათ დაეტყო ფოთს, სადაც, როგორც ამ-ბობენ, იმის შემდეგ, რაც გარშემო ტყე შემოაცალეს, ჰაერიც გაკეთდაო. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად ტყე უსარგებ-ლოთ იჩეხება და იღუპება,—მოჭრილი ხე-ტყე ლპება, ან იწვის, ხოლო სულ მცირე ნაწილი ხმარდება პატრონს, ან იყიდება. 1858 წ. სამურზაყანოს აზნაურთ ჩხოლარიებმა, გრაფის როზმურდუკის შემ-წეობით, თავიანთი ტყე რკინის გზათა საზოგადოების თეოდოსიის განყოფილებას მიჰყიდეს. როზმურდუკმა პირობა შეუკრა ამ განყო-

ფილების დირექტორებს ბ. ბ. ტრონსა და გოტრონს,—ჩხოლარიების ტყიდან 160,000 მანეთის ტრავერსებს ჩაგაბარებთო, და ამით მოცილედ გაუხდა ინგლისელთა ამხანაგობას, რომელიც ადრე ამ განყოფილებას ხე-ტყეს აძლევდა რკინის გზებისათვის. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ვიცით, ხსენებულმა ამხანაგობამ ამ გზაზე მუშაობას თავი დაანება და ამავე დროს ჩხოლარიების ტყის ჭრაც შეჩერდა. ამათ მხოლოდ 9,000 მანეთის აღება მოასწრეს. ეხლა თავადთ მხეიძეთა ტყიდან, რიონის პირიდან, გამოაქვთ მუხა, წაბლი და კოპიტი ფოთის ნავთ-სადგურისათვის მასალად და იხერხება ორთქლის სახერხავში, რომელიც იმავე გრაფმა როზმურდუკმა გააკეთა ქ. ფოთში.

სამეგრელოს ხეობაში შემდეგი ჯიშის ძვირფასი ტყეებია: ბზა, რომელიც თურქებს გააქვთ საზღვარ-გარედ, ურთხელი და ძელქვა. ამ უკანასკნელის ჯიშის ხე აქაურს ხეებს სხვა-ყველასა სჯობია თავის ღირსებით, მაგრამ ეხლა ცოტა-ღა დარჩა. ნაძვი, სოჭი და ფიჭვი მიუვალ მთებზე ხარობს და მხოლოდ ცხენის-წყლის ხეობაში, სოფ. კინჩხის მცხოვრებნი სჭრიან ცოტასა და ასაღებენ. ამ ხეებისას ხდიან ყავარს, სთლიან ხის ჯამ-ჭურჭელს, აკვნებს და წვრილმან ნივთებს, და მხრით მოაქვთ ხოლმე ოც და ათის ვერსის მანძილზე იმერეთში, ხონის ბაზარზე გასასყიდად.

ახლა აღვნიშნავთ **მენავეობას** და **ჩალვადრობას**. ამ ორს ხელობას მეურნეობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ საინტერესოა მითი, რომ ორსავე მისდევს კარგა მოზრდილი ნაწილი სამეგრელოს მკვიდრთა.

საჭილაოს საზოგადოების სოფლები: კოდორი, სირია-ჩქონი, ჭალადიდი და რიონის სხვა სანაპირო სოფლები მენავეობას მისდევენ. აქაურს მცხოვრებლებს ნავებით დააქვთ საქონელი დაბა ორპირსა და ფოთს შუა. ნავს ჩვეულებრივ თხმელის ხისაგან აკეთებენ. ძირი ბრტყელი აქვს და შიგ ეტევა 500 ქილა საქონელი, მაგალითად: სიმინდი, მარილი და სხვ. რიონზე გემებიც გაჩნდა და აქაურებს ეშინოდათ, მენავეობას ფასი დაეკარგებაო, მაგრამ ნავების რიცხვმა, ის კი არა, უფრო იმატა. ამ ჟამად რიონზე 300 ნავი მუშაობს. ორპირიდან ქვევით ფოთამდე ერთი გზა ნავისა 8—12 მანეთად ღირს, ხოლო წყალ-აღმა ღირს 20—30 მანეთად. ნავი წყალ-დაღმა ერთს დღეს ჩადის ფოთში, ხოლო წყალ-აღმა სიარულს უნდება ხუთი დღე, ერთი კვირა, ზოგჯერ მეტიც, თუ დარი ხელს არ უწყობს.

შავის ზღვის ნაპირზე, შეკვეთილიდან მოკიდებული გაგრამდე

სანდლებით დადიან. აქ მეზღვაურნი თურქები არიან, მაგრამ ხშირად მეგრელებსაც შეხვდებით. დიდი იალქნიანი გემები არ არის აქ. ამიტომ რომ ასეთი გემები ნაპირებს ძნელად მიადგება, ან და, საჭიროების დროს, ხმელეთზე გატანა მათი არ შეიძლება, პატარა ნავებითა და სანდლებით კი ეს ადვილია. ასეთი ნავები 15-ია; მუშაობა მთელს წელიწადს აქვთ, გარდა მკათათვისა და მარიამობისთვისა. ეს დრო საშინელის ციებ-ცხელების დროა და მენავენი იძულებულნი არიან თავიანთს სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ერთი სანდალი ღირს 200—1.000 მანეთად, ხოლო ნავი—75—150 მან. სანდალზე ექვსი კაცია მენავე, ნავზე კი ნაკლები; მათ შორის ერთი შკიპერია და დანარჩენი—მატროსები. შკიპერი ზოგჯერ პატრონიცაა სანდლისა, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში კი სხვას ქირით უდგას ხოლმე და წელიწადში 400 მანეთამდე აიღებს, ხოლო პატროსი—ამის ნახევარს. მატროსები როგორც სანდალში, ისე ნავში მოგებულს ფულს ასე იყოფენ: საქონლის პატრონისაგან აღებულ ფულიდან ჯერ საერთო ხარჯს გამორიცხავენ საჭმელისათვის, დანარჩენი ფულის ნახევარს სანდლის პატრონი იღებს და მეორე ნახევარს მენავენი; მაგრამ აქაც შკიპერს მატროსზე ერთი-ორად მეტს წილს უდებენ. 1861 წ. სანდლების პატრონები—შკიპერები იყვნენ 5, ხოლო მოჯამაგირენი—14; მატროსები 100 კაცამდე იყვნენ.

—

საჭყონდიდლოში, რომელსაც შეადგენს მთელი რიგი საეკლესიო სოფლებისა, მცხოვრებნი **ჩალვადრობას** ეტანებიან. აქ 8.500 ცხენი ეყოლებათ მუდამ ჟამს; თითოეულს ცხენს 20 ბათმანის ან 9 ფუთ საქონლის აკიდება შეუძლია. ორპირიდან ტფილისამდე ჩალვადარს მიაქვს ყოველ ფუთ საქონლის წასაღებად ექვსიდან ათ შაურამდე, დარის მიხედვით.

—

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი განსაკუთრებული მხარე სამეგრელოს სოფლის ცხოვრებისა. ჩვენ ვამბობთ **ბაზრობის** შესახებ. ბაზრობა, მართალია, სამეგრელოს გარდა, გურია-იმერეთის სოფლებშიაც იციან, მაგრამ ვერც აღმოსავლეთ-საქართველოში შეხვდება კაცი და ვერც მუსულმანთა პროვინციებში. აღმოსავლეთ-საქართველოში სოფლელნი თავიანთს ნაწარმოებს, სახლიდან არ გადიან, ისე ასაღებენ ყოველ სოფელში დაბუდებულს ან და სხვა ქალაქიდან მოსულ ვაჭარ-სომეხზე. თელავი, სიღნაღი, გორი—ბუდეა სომეხ ვაჭრებისა, რომლებიც მწარმოებელთაგან ყოველგვარ სოფლის ჭირნახულ-

სა ჰყიდულობენ და მერე გააქვთ ტფილისისა და სხვა ბაზრებზე გასაყიდლად. ამ გვარად ორი სულ სხვა-და-სხვა გვარი კლასი გაჩნდა: ერთი—მუშა და მწარმოებელი, მეორე—ჩარჩია; ამ მეორე კლასმა ძალა მოიკრიბა და მწარმოებელი სრულ ყურმოჭრილ ყმად და მოსამსახურედ გაიხადა. ფასების აწევ-დაწევა სომხებზეა დამოკიდებული. ფულიც იმათს ხელშია. ესენი ბატონობენ მთელს სოფელში, თარეშობენ როგორც უნდათ, ამიტომ, რომ მებატონეს და გლეხს ყველას სათითაოდ იცნობენ, იციან მათი ცხოვრება, არ გამოეპარებათ—ვის როდის რა უჭირსთ. სომეხი-სირაჯი კახეთში ღვინის სასყიდლად მაშინ მიდის, როცა, მისი გამოანგარიშებით, გლეხს სახელმწიფო გადასახადი აქვს მისაცემი, ან და მებატონეს „პრიკაზის“ ვალის სარგებლის შეტანის დრო დაუდგა; სომეხმა იცის, რომ ამ დროს ფული გლეხსაც და მებატონესაც ძალზე უჭირთ, რომ გაჭირვების დანა ყელთან არის მისული, იცის, რომ მის ფულს იქით ხსნა არსით აქვთ; სარგებლობს მათის გამწარებულის დღით და მათს ნაღვაწ-ნაამაგარს ჩალის ფასად იგდებენ ხელში. მებატონე და გლეგი ფეხებში უვარდებაან, შენი ჭირიმე, ოღონდ გვიხსენ და ჭირნახული, როგორც გინდოდეს, ისე წაიღეთო. სამეგრელოს მკვიდრნი ამ მხრივ შედარებით კარგს ყოფაში არიან. აქ ყოველს დიდს სოფელში კვირაობით და პარასკეობით ბაზრობა იციან, ხოლო დაბებში: ზუგდიდს, სენაკს, ხონს, ნაოღალევს, ლაილაშს, სუჯუნას და ორპირში, გარდა ამ ყოველკვირულ ბაზრობისა, წელიწადში რამდენჯერმე დიდი ბაზრობა იციან. გლეხს ბაზარზე გამოაქვს ყველაფერი, რასაც კი რამე ფასი აქვს, და იქავე ჰყიდის და ან შემოტანილ საქონელზე სცვლის. აბრეშუმი, თუთუნი, პური, მწვანილი, შინ ნაქსოვი შალები, ხისა და თიხის ჯამ-ჭურჭელი, ფეხ-საცმელი, თაფლი, ცვილი, ღვინო, შინაური ფრინველი, ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენი—ყოველივე ეს შემოაქვთ და შემოჰყავთ სხვა-და-სხვა სოფლებიდან, აქვე ჰყიდიან და სცვლიან მარილზე, მატყლზე, ჩითეულობაზე, იარაღზე, შეკერილ სამოსელზე და მრ. სხვ. ვაჭრები—იგივე მეგრელები არიან. ამიტომ მათსა და მწარმოებელთ შორის სიძულვილი არ არის, და აქაური ვაჭრები, სომხებივით, ცალკე განკერძოებულს კორპორაციას არ შეადგენენ. აქაურს ვაჭრებში ურიებიც ურევიან. ესენი აქ უხსოვრის დროიდან არიან ჩამოსახლებულნი, მგონი თვით ბაბილონის ტყვეობის დროიდან. განსაკუთრებით აბრეშუმს ჰყიდულობენ და საზღვარგარეთ გააქვთ. ურიებს, გულითაც რომ უნდოდეთ, მაინც თავის ნებაზე ვერც ასწევენ ფასებსა და ვერც დასწევენ, რადგან საშიში მე-

ტოქეები ჰყავთ—მეგრელი ვაჭრები. გლეხს საშინლადა სწამს—ბაზარზე ისე ადვილად ვერ მომატყუილებენო, იქ ყოველთვის კარგ ფასად გავყიდი საქონელსაო, და ამიტომ, თუ რამე აქვს გასაყიდი, ალაგობრივ, სოფელში, ძნელად გაჰყიდის; თუ კარზე მიადგა და რამე სთხოვა—მომყიდეო, გლეხი მაშინათვე ეჭვს შეიტანს ვაჭარზე, ალბად მოსატყუებლად მოსულაო. დიაღ, მეგრელს ეს თვისება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ყველაფერი ბაზარზე უნდა ჰყიდოს... როცა ცხოვრების მოთხოვნილებანი მოემატება აქაურს მცხოვრებს და მეურნეობაც წინ წაიწევს, მაშინ ამ თვისების წყალობით მეგრელი, უეჭველია, ვაჭრობაში საპატიო ადგილს დაიჭერს. გარდა ამისა, აქაური ხალხი მოძრავია, ფულის მოსაგებად სხვაგან წასვლა, გარჯა არ ეზარება. მაგალითად, მეგრელს ნახავთ, რომ კახეთში ამოუყვია თავი, იქ ბალის შემუშავება აუღია სანახევროდ, ან შავის ზღვის პირად გადასულა, დუქანი გაუღია და ვაჭრობს თავისთვის, ან კიდევ სცდილობს საბაჟოზე დაყენებულ მოხელეებს თვალი აუხვიოს და მათს წინ დაუბაჟავი საქონელი გააპაროს... 1860 წელს ქერჩში მუშები დასჭირდათ სიმაგრეთა აშენებლად. ამ ამბავმა ერთ მეგრელ იჯარადრის ყურამდე მიაღწია, იმანაც ფიცხლად, სად იყო და სად არა, 500 კაცს მოუყარა თავი, ჩასვა გემში და ქერჩში ამოჰყო თავი.

ძნელი საპოვნელია ასეთი ნიჭიერი, სწავლის მოყვარული და მიხვედრილი ხალხი!—მეგრელები თავისის საზოგადოებრივი თვისებებით და ყველაფრის შემფერებელ ხასიათით—კავკასიის ფრანგები არიან. მაგრამ ერთი კილი სჭირთ: ჯერ კარგად არა აქვსთ შემუშავებული იურიდიული წესები იმისა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ბუნებისაგან ბოძებულის სიმდიდრით. ამიტომ პატიოსან შრომას აქ ჯერ ადგილი არა აქვს. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ ზნეობითს ძირითადს ნაკლულევანებაში: აქაურს ზნეობას ჯერ კიდევ ატყვია კვალი ამ ქვეყნის ისტორიისა, რომელიც აღსავსეა განუწყვეტელის ძარცვა-ბრევით და შიშიანობით.

II.

მოკლე მიმოხილვა სამეგრელოის წარსულისა.—დღემდე დარჩენილი ჩვეულება ძალ-მომრეობისა და ტაციობისა.—ჩხუბი.—ცხენისა და საქონლის ქურდობა.—წინანდელის მთავრობისა და რუსის ადმინისტრაციის მოქმედება ამ საზოგადო სენის წინააღმდეგ.—უმეცრება და ცრუმორწმუნეობა.—საზოგადოების მიდრეკილება კარგ წეს-წყობილებისადმი.—ადათი.—ურთიერთი ნდობა.—გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის გავლენა ხალხის ზნეობრივ განვითარებაზე.

ცხენის-წყლიდან მოყოლებული მდინარე ენგურამდე სამეგრელო



ქალის მოტაცება სამეგრელოში.

წარმოადგენს ერთს ვაკეს, სადაც აქა-იქ თუ შეხვდება კაცი სერებს. მისი საზღვრები ბენებისაგან დაუფარავია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველად ორივ მხრიდან ძალიან ხშირად ეწვევოდენ ხოლმე დაუპატიჟებელი სტუმრები. ერთის მხრით, იმერეთის მეფე—რასმე მოიმიზეზებდა და თავისს ჯარს მიუსევდა დასარბევად და ასაწიოკებლად, მეორე მხრით, დადიანის მიერ მოსახმარებლად მოწვეული მხედრობა აფხაზთა დაუნდობლად ანადგურებდა ყოველსავე, რაც კი შეხვდებოდა. ან-და წინაუკმო მოხდებოდა: აფხაზები დაესხმოდენ თავზე სამეგრელოს, ხოლო იმერეთის მეფე ეხმარებოდა, მაგრამ ორსავ შემთხვევაში წაგებული სამეგრელო რჩებოდა. შინაურობაში დაუსრულებელი შუღლი და განხეთქილება იყო და ამის კვალი აშკარად ეტყობა ტრადიციებს, როგორც მთავრებისა, ისე გავლენიან თავადების გვაროვნობისას. მე-14 საუკუნიდან 19 საუკუნემდე სამი დინასტია გამოიცვალა მთავრებისა: ჯერ ბედია იყო, მერე ლიპარტიანი და ბოლოს—ჩიქოვანი; თითოეული გვარი იმის ცდაში იყო,—მეორე გვარი ტახტიდან ჩამოეგდო და მთავრობა თვითონ დარჩენოდა; და დღეს უძველეს გვარის წარმომადგენელნი უბრალო აზნაურებად-ღა არიან. შარდენი ამბობს, რომ იმის დროს საბახთართა გვარი თვალ-საჩინო მებატონეებს ეკუთვნოდაო, და დღეს მათნი შთამომავალნი მცირე-მამულიანი აზნაურები არიან. საცა ომი იყო, იქ მეომარი ნაწილი საზოგადოებისა, უეჭველია, ერთს დღეს დაეცემოდა და მეორე დღეს ამაღლდებოდა, და წინაუკმო. დღეს ქედები და სერები დაფარულია კოშკთა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებით,—ოდესღაც ამაებში სცხოვრობდა ეს მეომარი წოდება. გლეხები, ზარის ხმა გაისმოდა, თუ არა, ამ ციხე-კოშკებს მიაშურებდენ, ხოლო მებატონენი მტრისაგან იფარავდნენ და სამაგიეროდ გლეხებს სხვა-და-სხვა ხარკს ახდევინებდნენ და ვალად ადებდენ,—ციხე-სიმაგრენი განეახლებინათ ხოლმე, როცა კი ეს საჭირო იქნებოდა. ამ ხარკს „საციხე“ ერქვა; შემდეგში საციხეს მაგივრად ფულს იხდიდნენ გლეხები და დღესაც იხდიან (კომლზე ათ შაურს) თავიანთის მებატონეების სასარგებლოდ, თუმცა თვით ციხეები, დიდი ხანია, დაინგრა.

სამეგრელოს ცხოვრების ამ ხანში სათურქოს ბატონობა იმაში გამოიხატებოდა, რომ აქედან სათურქოში დიდძალი ქალები გაჰყავდათ და ტყვეებად ჰყიდდენ. ყოველ წელიწადს დადიანი სათურქოს ხარკად აძლევდა ლამაზ ქალებს, რომლებიც მერე არამხანების მშვე-

ვებად და ,,ვალად ითვლებოდნენ. ხოლო ტყვეების ყიდვა შარდენის დროს მეტად გავრცელებული იყო- ამის შესახებ შარდენი, სხვათა შორის, ერთს მეტად სასაცილო ამბავს მოგვითხრობს:

„ერთს ცოლიან აზნაურს შეჰყვარებია ერთი ქალი და გადაუწყვეტია მისი შერთვა; თავისი სურვილი ქალის დედმამას გამოუცხადა და ისინიც დათანხმდნენ. მაშინ ჩვეულებადა ჰქონდათ: საქმროს საცოლე უნდა ეყიდნა, ხოლო ამ ყიდვის დროს საჭირო იყო გვარიშვილობა, ახალგაზრდობა და სილამაზე. საქმრომ არ იცოდა, საიდან ეშოვნა საცოლეს სასყიდი ფული. ამასთანავე, ქორწილისათვისაც სჭიროდა ხარჯი... არც აცივა, არც აცხელა, სთქვა: ტყვეებს გავყიდიო. და სიყვარულისაგან სასოწარკვეთილმა შემდეგს ხერხს მიმართა: მოიწვია 12 მღვდელი და სთხოვა: ერთი დიდის ზეიმით მიწირეთო. მღვდლები დიდის სიამოვნებით მოვიდნენ,—აბა რას იფიქრებდნენ, რომ მასპინძელი ტყვედ გაყიდვას უპირებდათ. მასპინძელი მეტად სტუმართ-მოყვარულად დაუხვდა, სთხოვა სწირეთო, და შერე ძროხა დააკვლევინა და სტუმრებს სანაქებოდ გაუმასპინძლდა. როცა დათვრნენ, გულუხვმა მასპინძელმა ბრძანა—ხუნდები გაეყარნათ მათთვის, თმა-წვერი გაეპარსნათ და მეორე ღამეს ოსმალოს ხომალდზე წაიყვანა, სადაც ტანისამოსიანათ თურქებს მიჰყიდა. მაგრამ ეს ფული მაინც არ ეყო საყვარლის გამოსახსნელად, და ამიტომ ამ ვეფხვმა (შარდენი ასე ეძახის ამ კაცს) იმავე გემზე თავისი ცოლი გაჰყიდა“.

ვსთქვათ, რომ ეს ანეგდოტია, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ანეგდოტი მხოლოდ მეტად გახშირებულ ტყვეთა-გაყიდვის დროს შეითხზებოდა.

აი, ამგვარის ეპიზოდებისაგან შესდგება ქარგა სამეგრელოს წარსულის ცხოვრებისა, ამიტომ საზოგადო ზნეობას კიდევ შერჩა მათი კვალი! ტყვეებს ახლა, რა თქმა უნდა, აღარ ჰყიდიან, ძარცვაგლეჯაც აღარ არის, მაგრამ ჩვეულება ძალ-მომრეობისა, ტაციობისა და სხვის საქონლის მისაკუთრებისა კიდევ დარჩა და ყოველ დღეს მეორდება.

ხვნა-თესვის დაწყებისთანავე, გაზაფხულზე, შეიქნება ერთი ტაციობა ყანებისა! მამულები ჯერ ისევ გაუმიჯნავია, თავისი საზღვრები არავინ იცის და ყველა ცდილობს სხვას იქით გადაუხტეს. მეტი გზა არ არის, პოლიცია უნდა ჩაერიოს და გაიგოს—ვინ მტყუანია და ვინ მართალი. რაც რუსის მართვა-გამგეობა შემოღებულ იქ-

ნა, მამულის საკუთრება ოთხის თვის მფლობელობის-და კვალად ითვლება.

გაზაფხულზე, გარდა ამისა, ერთი ვაი-უშველებელი აქვთ მებატონეთა და გლეხებს:—მებატონენი სჩივიან, გლეხები ღალას არ გვაძლევენ, არ გვემსახურებიანო; მერე შემოდგომა დგება, სიმინდის მოწევას და რთველს იწყებენ და თან ჩხუბი იმართება ერთ ხელეურ ღომისა ან პურისათვის, ან კიდევ გიდელი ყურძნისათვისა. ჩხუბისათვის მიზეზები თავის დღეში არ გამოელევათ, და პოლიციის მოხელენი იმის ცდაში-ღა არიან, როგორმე სოფლელთ ააცდინონ სისხლის ღვრა, ამიტომ ამ წუთას რომ აქ არიან, მეორე წუთას მეორე სოფელს უნდა მიაშურონ, და თუ დაჩაგრულს მხარეს დროზე არ მიეშველნენ, ტუკებსა და სატევრებს მიმართავენ და მაშინ მშვიდობით, ცოლო და შვილო... ხანდახან ნამდვილი ომი იმართება და სარდლებად მებატონენი არიან. აქ აღვნიშნავთ ერთს, ჩვენის ნათქვამის დამასურათებელს, ამბავს.

ცხენის-წყალი მეტად ჩქარი მდინარეა და დაქანებულად მოდის; გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს რომ ადიდდება, ზარსა და რისხვასა სცემს ხოლმე მცხოვრებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრ ალაგს გაუვალი ხდება და მეორეც იმიტომ, რომ, რაკი ხეობიდან ბარად გაიშლება, იქაურობას ჰგლეჯავს და იკლებს; მისის ნაპირების ახლო მცხოვრებთ ძირიანადა სთხრის: ხანდისხან ორასსამას დღიურს მიწას მოსტაცებს და მეორე მემამულეს მიუზომავს. მაშინ, რა თქმა უნდა, ასტყდება დაუსრულებელი დავა და ყოველს შემთხვევაში წაგებული და დაზარალებული ისა რჩება, ვისაც ამ ბუნებრივმა მომტაცებელმა წაართვა მიწა და, ხშირად, სახლ-კარიცა. ერთხელ ცხენის-წყალი ისეთნაირად ადიდდა და წყალი ნაპირის ახლო მდებარე სოფლის ეკლესიას მიუახლოვდა. სოფლელნი ხედავდნენ, რომ ღვთის ტაძარს ვერ გადავარჩენთო და გადასწყვიტეს, სხვა ალაგას გადაეტანათ. თან ისიც დაადგინეს: რადგან ამ ეკლესიას სასაფლაო ადგილი ჰქონდა, ახალ ადგილასაც ამდენივე მიწა მივუზომოთ ეკლესიასაო. გადასწყვიტეს ესა და საქმესაც შეუდგნენ. ეკლესია გადაიტანეს და ჯერი მიდგა სასაფლაოზე. წინანდელ სასაფლაოზე თავადები, აზნაურები და გლეხები თითოეული ოჯახი ცალ-ცალკე იმარხებოდა თავისთვისვე მიჩენილ ადგილებზე, ასე რომ გლეხები და აზნაურები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. ახალ სასაფლაოზე კი თავადებმა და აზნაურებმა გლეხებს აი რა უთხრეს: სასაფლაო ორ ნაწილად გავყოთ,—ერთი ნაწილი კეთილშობილები-

ლებისა იქნება სამარხად და მეორე—გლეხებისათვისო. გლეხები ამაზე ყაბულს არ გაუხდნენ და უთხრეს: არა, ჩვენ კეთილშობილთა შორის უნდა დავიმარხოთო. გაიმართა ლაპარაკი, მოციქულობა, მაგრამ ვერაფერმა უშველა. მაშინ კეთილშობილთ ჩუმათ თათბირი გამართეს და დაადგინეს: ღამით ჩუმათ ნახევარ სასაფლაოს ღობე გავავლოთ და ამნაირად სამუდამოდ დავეპატრონოთ ჩვენს ნახევარ სასაფლაოსაო. ამასთანავე გადასწყვიტეს, თუ რამ შეკეთება და განახლება დასჭირდა ღობეს, გლეხი არ გავირიოთო. მაგრამ არც გლეხებს ეძინათ. მოწინააღმდეგე ბანაკში ერთი კეთილი ადამიანი გამოერია, რომელმაც გლეხებს კეთილშობილთა განზრახვანი უთხრა და გლეხებმაც სათანადო ღონე იღონეს. დანიშნულ ღამეს იქაურ კეთილშობილთ ბლომად მოიყარეს თავი სასაფლაოზე, ყოველივე საჭირო მასალა თან მოიტანეს და საქმეს შეუდგნენ. ამ დროს იმდენივე გლეხებიც მოვიდნენ ტუკებით შეიარაღებულნი და თავს დაესხნენ. არც აცივეს, არც აცხელეს—მაშინათვე ჩხუბს შეუდგნენ. მეორე დღეს ოლქის სასამართლოს წინ ორსავ მხარეზე ხალხი იდგა ორ ჯგუფად ისე, როგორც სცენაზეა ხოლმე ოპერის დროს. ორსავე ჯგუფს ცხვირ-პირი გასისხლიანებული ჰქონდა. უფრო შემიბრალონო და ზოგს სისხლით მთელი პირისახე ჰქონდა მოთხუპნული, ზოგს ფალას-ფულასით შეეხვია თავი, ტანასამოსი დაგლეჯილი ეცვათ და ერთხმად რაღაცას ყაყანობდნენ. ადამიანს უჭირდა გაეგო მათი ნათქვამი და ოლქის უფროსი იძულებული იყო დიდხანს გამოეკითხნა ამბავი, სანამ ბოლოსა და თავს გაუგებდა. კაცს რა უნდა ექმნა ასეთს ტრაგი-კომიკურს შემთხვევაში!.. რა კანონის ძალით უნდა გაეჩინა სამართალი?!. საქმე, ჩვეულებრივ აქაც მორიგებით გათავდა. კეთილშობილთ დაუთმეს, ამიტომ რომ საზოგადოება გლეხებს ამართლებდა. მას დღეს აქეთ გლეხები კეთილშობილთა შორის იმარხებოდნენ და თავიანთი გამარჯვება ძალიან უხაროდათ.

—

მაგრამ ასეთ მოდავეთა დაშოშმინება ადგილობრივის ადმინისტრაციისათვის იმდენად თავშისაცემი არ არის! პოლიციას საქმეს უჭირებს იქაურ მცხოვრებთა თავი და თავი ჩვეულება: ძალმომრეობა, საქონლის და, განსაკუთრებით, ცხენის ქურდობა. იმერლებმა იმის გამო შემდეგი ანეგდოტი მოუგონეს თავიანთ მეზობლებს: „მეგრელი სამოთხეში შესულა, იქ უნახავს, რომ წმ. გიორგის ჯორი ბალახსა სძოვდა; მეგრელს გულმა ვერ მოუთმინა, მოიპარა და სამოთხიდან გამოიქცაო“.

ძნელი დასაჯერებელია, იმდენი საქმე გროვდება ამ წვრილ ქურდობათა შესახებ! ქურდობა მეგრელებს ხელობადა აქვსთ გადაქცეული და ამისათვის თავისი დროცა აქვთ შერჩეული. მოპარულ ცხენებს დღემდე აფხაზეთში ასაღებენ და თუ ერთი ამ მხარეში ჩაიყვანეს, მერე კვალ-წმინდად იკარგება ყოველივე. უმეტესი წილი ნაქურდალ საქონლისა იმერეთიდან მოჰყავთ და კიდეც ამიტომ გამოუგონეს იმერლებმა მეგრელებს ასეთი გესლიანი ანეგდოტი.

ქურდობის სეზონი გიორგობისთვეში იწყება და მთელს ზამთარს გასტანს ხოლმე, ხანდისხან აპრილამდეც კი გაგრძელდება. ამ დროს ხვნა-თესვა და ბაღებში მუშაობა შეწყვეტილია ხოლმე; მდინარეები თუმცა ბევრია სამეგრელოში, მაგრამ პატარეებია და ფონში გასვლა ყველგან შეიძლება; ღამეები დიდი და ბნელია თითქმის სულ მუდამ მოღრუბლულ ცის მიზეზით; ერთის სიტყვით,—ქურდს ყველაფერი უწყობს ხელს, რომ იმერეთში მოპარული ცხენი აფხაზეთში გადაიყვანოს ადვილად. გზაზე, რა თქმა უნდა, ყველგანა ჰყავთ ქურდებს მასპინძლები, აგენტები, ყველგან აქვთ შესასვენებელი ადგილები.

ეჭვი არ არის, მაღალი წოდება ქურდობას ხელს რომ არ უწყობდეს, ეს ხელობა დიდხანს თავს ვერ დაიჭერდა. მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაურობა, თუ თვითონ არ ქურდობს, ქურდობას მაინც ხელს უწყობს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში სტუმართ-მოყვარეობის ჩვეულებას; ვინც უნდა მაწანწალა იყოს, რაკი თავშესაფარსა სთხოვს მასპინძელს, უნდა შეუშვან სახლში, ფორემ უარის თქმა ასეთ შემთხვევაში და, მით უმეტეს, გაცემა,—თავის მოჭრად და სირცხვილად ითვლება. ამასთანავე, ქურდობამ გატაცება იცის,—ზოგიერთთ ისე გაუტკბებათ, რომ მერე ხელს ვეღარ იღებენ ამ ჩვეულებაზე. რამდენისამე წლის წინად რამდენიმე ქალი კეთილშობილ ოჯახისა, კაცურად ჩაცმული, საქურდლად დადიოდა. თვით სასულიერო წოდებაშიაც ურევია რამდენიმე გაწაფული მოყვარული სხვისის ავლა-დიდებისა. ჩვენ პირადად ვიცნობდით ერთს მთავარდიაკონს, გვარად დანელიას, რომელსაც ცხენის ქურდობაში სწორი და ბადალი არ ჰყავდა. როცა რუსის მართვა-გამგეობა შემოვიდა სამეგრელოში, ეს დანელია მთავრობას ხელში ჩაუვარდა ნაქურდალ ცხენითურთ. რა თქმა უნდა, კოკა, ერთხელაც არის, უნდა გატეხილიყო წყალზე.—გაკრიჭეს და ციმბირში გადაასახლეს: ასე, ორმოცდა ათის წლისა იქნებოდა, თეთრად გადაპენტილ წვერ-ულვაშიანი და მეტად ლამაზი.

მთავარი დავით დადიანი თვისის მთავრობის პირველ ხანში მეტად მრისხანედ ეკიდებოდა ქურდებს: ხორციელს სასჯელს აყენებდა, ხელფეხში ხუნდებს უყრიდა, სამეგრელოდან სხვაგან ჰყრიდა, და, ბოლოს, ძველ ჩვეულების თანახმად, ერთ ქურდისთვის ხელი მოაჭრევინა. მაგრამ ამბავი მთავრის მიერ თვისთა უფლებათა ასეთის ალმატებისა კავკასიის მთავარ-მმართებელმა გრაფმა მ. ს. ვორონცოვმა გაიგო და დიდი საყვედური უთხრა. ამის შემდეგ მთავარმა გამოსცვალა წესი ქურდების დასჯისა, მაგრამ, უნდა აღვიაროთ, რომ ეს წესი უარესი შეიქმნა სამეგრელოსთვის. მთავარმა დაჯარიმება შემოიღო. ერთ ნაქურდალ ცხენისათვის ქურდს ხუთი ცხენი უნდა გადაეხადნა, რომელთა ერთი ნაწილიც პატრონს ეძლეოდა, ხოლო მეორე ნაწილი—პოლიციას და თვით მთავარს. ამის შემდეგ ქურდობამ არამც თუ იკლო, მეტის-მეტად იმატა კიდეც. მთელი ბრბო შესდგა ქურდებისა და თუ, ვინიცობაა, ქურდს დაიჭერდა პოლიცია, ეს დასი მაშინათვე ერთ ცხენისთვის ხუთ ცხენს იხდიდა და სამაგიეროდ დაუყონებლივ იპარავდა ახალ ცხენებს და დანაკლისს ერთი-ორად შეივსებდა; და რადგან სოფლის მოხელეთათვის ხელსაყრელი იყო ბევრის ჯარიმის აღება, ისინიც ხელს არ უშლიდენ ქურდებს და ნებას აძლევდნენ თავის ნებაზე ეთარეშნათ. ამ ჯარიმებიდან მთავარს ბევრი შემოსდიოდა.

რუსის ადმინისტრაცია ბევრს ეწვალა, სანამ ნებას მიიღებდა, რომ ამ საზოგადო სენს შესაფერის ღონისძიებით შებრძოლებოდა. ქურდები ისე იყვნენ დაოსტატებულნი, ისეთს ხერხს ხმარობდნენ, რომ აუცილებლად საჭირო იყო ჯერ მათის ოსტატობის შესწავლა. მაგალითად, როცა ნაწვიმარი იყო და აყალო მიწას ცხენის კვალი აშკარად აჩნდებოდა, მოპარულს ცხენს უკუღმა დასჭედავდნენ, ასე რომ კაცი ცხენის კვალს ჩრთილოეთისაკენ მიჰყავდა, ცხენი კი სამხრეთისაკენ იყო წამოყვანილი. კაი დარში კვალი ძნელად აჩნდება; მაგრამ სულ არ ეტყობოდესო და ქურდები ნაბდებს უფენენ ნაქურდალ ცხენს და ასე გაატარებენ ნახევარ ვერსამდე მოპირდაპირე მხარესკენ; ასე რომ ცხენი კვალწმინდათ იკარგება. თუმცა ქურდი ასე აშკარად იქცევა, მაგრამ მეგრელს ისე აქვს თვალი გამოცდილი და გავარჯიშებული, რომ ძნელად თუ ვერ მიუხვდება—საითკენ წაიყვანეს მისი ცხენი. კვალის მიტანა და დაკარგული ცხენის ძებნაც ხელობად არის გადაქცეული და ამის მოხელენი სასყიდელს იღებენ საქონლის მოძებნაში. ქურდები ამ მაძებართ იცნობენ და უფრთხიან კიდეცა, ზოგიერთებს კი ურიგდებიან და მათის საშუალებით პა-

ტრონს მოპარულს ცხენს უბრუნებენ, ასე რომ ესენი შუამავალნი არიან და, თუ გაჭირდა—მთხრობლებიცა. იშვიათათ მოხდება, რომ ქურდი ნაქურდალითურთ დაიჭიროს კაცმა, ხოლო დაზარალებულის განცხადების თანახმად წარმოებულის გამოძიებით მაინც ბევრი ვერაფერი რიგდება ხოლმე.

გამოძიების დროს მეგრელები მაშინვე უარის თქმას მიმართავენ ხოლმე. „რუსული ატკაზი“ (უარის თქმა) მეტათ მოსწონთ. მაგრამ კაცმა მართალი უნდა სთქვას, რუსის ადმინისტრაციამ მაინც შესამჩნევად შეაკვეცა ფრთა აქაურს ქურდობას. ახლა აფხაზეთშიაც რუსის მთავრობაა და, უეჭველია, ორისავე კუთხის ადმინისტრაცია ამ სენისაგან სრულიად განკურნავენ ხალხს. გასაკუთრებით იმას უნდა ეცადოს ადმინისტრაცია, რომ იმერეთსა და აფხაზეთს შუა გზას, რომელზედაც მოპარული ცხენები დაჰყავსთ, ყურადღება მიაქციოს, უნდა სისტემატიურად სდევნოს ისინი, ვინც ქურდებს ამ გზაზე ღამეს ათევინებენ და ხელს უწყობენ. ჩვენ ისიცა გვწამს, რომ ჯიქებისა და უბიხების გადასახლებაც სამეგრელოსა და აფხაზეთს, ცოტა არ იყოს, სულს მოათქმევინებს, ამიტომ რომ აფხაზები ამათზე ასაღებდნენ მონაპარ ცხენებსა.

———

ცოდვა იქნება იმის თქმა, რომ ხალხს სამართლიანობის გრძნობა და სათნოების ალღო არა აქვსო. ამას ამტკიცებს თვით სიტყვა **მახინჯი**, რომელსაც მეგრელები ქურდს ეძახიან; მაგრამ მთელის საუკუნოებით სუფევდა აქ შიშიანობა და ურთიერთ შორის ჩხუბი, რაიმე მკვიდრი მართვა-გამგეობა არა ჰქონიათ, რომ კანონი და სამართალი გაეჩინა ხალხისათვის, ამის წყალობით ძალ-მომრეობა გაბატონდა და ხალხს არაფერი აძულებდა ბოროტებას და ავკაცობას. ამიტომ აქ სიტყვასა და საქმეს შორის უშველებელი უფსკრულია. თქვენთან მოვა რომელიმე პატივსაცემი მოხუცი და მთელი საათის განმავლობაში იმასა სჩივის, რომ ქურდობა არ ისპობა, მეტად საჭიროა მისი ამოფხვრა და დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონო. ცოტა ხანს უკან, გაიხედავ, იმავე მოხუცს მოპარული ძროხა შეუყვანეს ეზოში და ისიც ყიდულობს, რა თქმა უნდა, ჩალის ფასად.

სარწმუნოებამაც ვერ უშველა ხალხს ზნეობრივად აღემაღლებინა, და აქაურები უფრო იმის ცდაში არიან—გარეგნულად აასრულონ სარწმუნოების კანონები. მარხვას მეტის-მეტი სიწმინდით ინახავენ, ვერ ნახავთ ვერც აზნაურის და ვერც გლეხის ოჯახს, რომ მარხვაში ერთ დღესაც სახსნილო სჭამოს; ეკლესიებში ხშირად დადიან, განსაკუთრებით, მაღალი წოდება; ზოგს მოხუცს შეხვდებით

თავადებში, რომელმაც საღმრთო წერილი და საეკლესიო წესები მღვდლებზე უკეთესად იცის, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებაა, შეგნებული კი არა აქვთ, როგორ უნდა მოიქცნენ ნამდვილ ქრისტიანის შესაფერად. ვთქვათ, რომელიმე ქურდი ადმინისტრაციამ დაიჭირა, დაატუსაღა, მაგრამ ისევ განათავისუფლა,—ეს კაცი მიდის და სატუსაღოდან ვამოსვლის დღესვე ისევ იპარავს რასმე, მაგრამ იგივე ქურდი, რაც ხანი სატუსაღოში იქნება, ათას ქისა მარჩილისათვის არ მიეკარება, თუ მარხვაა, სახსნილოს და უმალ შიმშილს ირჩევს. ასე რომ საღმრთო წერილის სიტყვას უფრო აქცევენ ყურადღებას, ვიდრე მისს შინაარს.

———

ამასთან ერთად მეტად **ცრუმორწმუნენიც** არიან. მაგალითად, ყველა დარწმუნებულია, რომ კუდიანები და ტარტაროზები არიანო, და ხან-და-ხან მეტად დრამატიული ამბებიც ხდება. ოსმალოს ომს შემდგომ ზუგდიდის გარშემო სოფლებში საქონლის ჭირი გაჩნდა. სთქვეს, კუდიან დედაკაცების ბრალი იქნებაო. სამურზაყანოში ერთი თურქია, რომელიც კუდიანებს იცნობს, და ის უნდა მოვიყვანოთო. მოიყვანეს კიდეცა. თურქმა სოფლის დედაბრები ყველა შეკრიბა და გლეხებს უთხრა: წყალში ჩაყარეთო, ვისაც ჩასძირავს—კუდიანი არ იქნება, ხოლო ვისაც მოიტივტივებს—კუდიანებიაო. ზოგი დედაბერი, ალბად ტანისამოსის წყალობით, წყალმა ზევით მოიტივტივა. თურქმა ეს საცოდავები ამნაირად დასაჯა: დაანთებინა უშველებელი კოცონი, დედაბრები გაატიტვლებინა და უბრძანა: გადახტით და გადმოხტით ამ ცეცხლზედაო. მანამდის აწვალა დედაბრები, სანამ არ ათქმევინა: ჭირი საქონელს ჩვენ დავურიეთ და ამის შემდეგ ჯვარი სწერიაო. რამდენიმე დედაბერი ცოცხლად დაიწვა. ამ ამბავმა სამეგრელოს უმაღლეს მთავრობამდე მიაღწია. ამანაც, ბევრის მეცადინეობისა და შრომის შემდეგ, მოსპო ეს ჩვეულება ადამიანთა წვისა, ხოლო თურქის დაჭერა კი გაუჭირდა იმიტომ, რომ ხალხი იფარავდა. ბოლოს, როგორც იყო, ხელთ იგდეს, და გაგზავნილ იქნა ნერჩინსკში. ამას გარდა, ყველას ახლაც ახსოვს, რა სასაცილო ამბავი მოხდა 1851, წელს მზის დაბნელების დროს. ხალხმა მზის დაბნელება ქათმებსა და მამლებს დააბრალა: ნაწლევებში პატარა გველები გაუჩნდათ და იმათ დააბნელეს მზეო. ამ დანაშაულისათვის იმდენი ქათამი გასწყვიტეს, რომ მთელ ნახევარ წლის განმავლობაში ქათამი იშვიათი საშოვნელი იყო.

———

მეგრელი ქალი

ხატების თაყვანისცემაშიაც საშინელი ცრუმორწუნოება ეტყობათ. ხატებს ადამიანის ზნე-ხასიათებს ათვისებენ. ყოველ სოფელში ჰყავთ თითო **ძლიერი ხატი**, რომელიც ადამიანთ მოქმედებაში მონაწილეობას იღებს. ამ ხატებში ყველაზე მეტად სახელგანთქმულნი არიან წმ. გიორგის ხატები **ქიაჩისა** და **ყულისა**. მეგრელთ იმდენი რიდი და შიში აქვთ ამ ხატებისა, რომ როცა კი დააფიცებენ ამ ხატებზე, იშვიათათ თუ არ იტყვიან სიმართლეს. დაფიცების დროს თუ სთქვეს ტყუილი, კარგა ხნის შემდეგ მაინც იტყვიან მართალს. ამასთანავე მეგრელი დარწმუნებულია, რომ თუ ერთ-ერთ ამ ხატზე თავისი მტერი „**გადასცა**“ (დასწყევლა), არც საქაოს დაეყრება სიკეთე **გადაცემულს** და არც საიქიოსაო; ამიტომ თუ გაიგო მეგრელმა, მავანმა ამა და ამ ხატზე გადამცაო, მაშინათვე მიდის, ზარალს ზედმეტად მიუზღავს და „**ალობასა**“ (შენდობას) სთხოვს, ესე იგი, თავის თავს დაახსნევინებს გადაცემისაგან. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ ცრუმორწმუნე შიშით თუ-ღა შეიძლება ამ ხალხის ბავშურ მდგომარეობაში მყოფი ზნეობა სიკეთის **გზაზე** დააყენოს კაცმა.

მართალია, ხალხში ამდენი ცრუმორწმუნეობაა, ცუდი ჩვეულება ბევრი აქვს, მაგრამ ამასთანავე **სათნოებისა** და **სამართლიანობისადმი მიდრეკილებაც** ეტყობა. ყოველ დღე აუარებელ პირობებსა ჰკრავენ ურთიერთ შორის სიტყვიერად, და ყოველსავე პირობას წმინდად და დაურღვევლად ასრულებენ; ადათი, პრაქტიკულის მოსაზრებით შექმნილი, ბევრსა შველის აქაურებს სხვა-და-სხვა დავის გარჩევისა და სამართლის გაჩენის დროს იმ შემთხვევაში, თუ, ვინიცობაა, მეზობელმა თავისს მეზობელს უცოდნელობით ყანა გაუფუჭა, ან ღობე გაურღვია ან და სხვისი წისქვილის წყალი თავისს წისქვილს მიუგდო. საეჭვო შემთხვევებში მოპასუხე ფიცსა სდებს, და ამ ფიცს დიდი მნიშვნელობა აქვს და საზოგადოდ ყოველი საქმე როგორც სამოქალაქო ხასიათისა, ისე სისხლის სამართლისა ამ ფიცს შემდეგ ასე თუ ისე თავდება. რუსულ სამართლის წარმოების დროს მოწმეებს კაცი ადვილად იშოვნის, მაგრამ ამგვარ მოფიცრებს ვერას გზით ვერ დაიყოლიებს—თავის სასარგებლოდ ათქმევინოს რამე. ამიტომ რომ ყოველი მოფიცარი დარწმუნებულია: თუ ტყუილად დავიფიცე, მთელი ჩემი სიცოცხლე დამსჯის ხატიო. ასეთ ტყუილ მოფიცარს მერე რომ ვინმე მოუკვდეს, ან ოჯახში ზარალი რამ რომ მიეცეს, იტყვის, ესა და ეს ხატი მსჯის ტყუილ ფიცისთვისო. მაშინათვე მომჩივანთან მიდის, ზარალს ერთი-ორად მიუზ-

ღავს და სთხოვს, „**ალობა**“ მისცეს; ან და ისიც მოხდება, რომ თვით მოპასუხე ამბობს: მართალია, საქმე კი მოვიგე, მაგრამ მართალი არ ვიყავიო, და მიდის მომჩივანთან, უბრუნებს მოგებულს, ერთიორად კიდევ უმატებს, ოღონდ „ალობა“ მიიღოს.

ხანდახან ისეთი საყურადღებო ამბები მოხდებდა, რომ თვით ბრძენთა-ბრძენი სოლომონი ვერ შესძლებდა გზა-კვალის გაგებას. ნიმუშად ერთ ამბავს აღვნიშნავთ. „მეზობელთან,—ამბობს მთხოვნელი,—ამ 15 წლის წინად დავა ამიტყდა მამულის თაობაზე. ჩვენი საქმე მდივანბეგებმა გაარჩიეს. მე ხატზე დავიფიცე, მომჩივანის თანხმობით; ჩემთან ერთად ორმა კაცმა ხატზე დაიფიცა ჩემს სასარგებლოდ. მდივანბეგებმა აიღეს და მიწა მე ჩამაბარეს. მას აქეთ არავინ დამდავებია, ისე ვფლობდი ამ მიწას. ორი წელიწადი რომ გავიდა საქმის გათავების შემდეგ, ამ მამულის ნახევარი ერთ მღვდელს მივყიდე, მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, ისე ოჯახში უბედურება უბედურებას დაერთო (ჩამოთვალა, რაც დაემართა) და დავრწმუნდი, რომ ტყუილ ფიცის ბრალი იყო. ოღონდ კი ხატის რისხვა ამცდეს მეთქი და გადავწყვიტე ბოგებული მამული ისევ თავის პატრონს დავუბრუნო. მაგრამ საქმე ის გახლავს, რომ ის მღვდელი უარზე დგას,—ჩემს წილს არ დავუბრუნებო. რა ფული არ ვაძლიე, მაგრამ მაინც არა ჰქნა. ახლა ინისთვის გიახელით, რომ უბრძანოთ მღვდელს, ის მიწა ისევ მომყიდოს და რა ფასსაც კეთილ-სინიდისიერები გადასწყვეტენ, იმაზე მეტს მივცემ; თუ ფიცისაგან არ გამანთავისუფლეს, სულ ერთიანად აძოვწყდები, ბატონო“. რა თქმა უნდა, ადმინისტრაცია ვერ გაერია ამ საქმის გარჩევაში, მაგრამ მღვდელმა კი, თუმცა პირველად დიდს უარზე იდგა, ბოლოს, რაკი გლეხი და მისი ნათესავები არ ნოეზვნენ, მაინც დაუბრუნა, სამაგიეროდ ფასი მეტი გადაახდევინა. ბოპასუხე ახლოლოდ მაშინ დაშშვიდდა სრულიად, როცა მთელი მამული დაუბრუნა მომჩივანს.

ნდობა მეტისმეტი აქვთ ერთმანეთისა. ფულის გასესხების დროს საკმარისი არის ქაღალდის ნახევზე დაწერილი თამასუქი, რომ მსესხებელს მოვალემ ი.ავის დროზე პირნათლად დაუბრუნოს ვალი. ხანდისხან რომელსამე საქონელს, მაგალითად, ცხენს ან ძროხას, ორი ან სანი კაცი ყიდულობს საზიაროდ და ყველა მოზიარენი თანხმობით სარგებლობენ; ის ნაწრავლითაც ანნაირადვე სარგებლობენ, სანამ იმდენი არ გახდება, რომ თანასწორად გაყოფა შეიძლებოდეს. როცა საქმე იჯარით არის ასაღები და გასაკეთებელი, აქა-

ურებს საზიაროდ აღება სამუშაოსი უფრო ემარჯვებათ. სხვათა შორის სოფელი ლესიჭინე ვიცი, სადაც სადადიანო გლეხებია 70 კომლი, სიჭინავების გვარისა. თავისს ყოველგვარ სავაჭრო და სამრეწველო საქმეებს ერთად აკეთებენ; ეს სოფელი ცნობილია თავისის ზნე-დაცულობით და სიმდიდრით.

გეოგრაფიულ მდებარეობასაც მცირედი მნიშვნელობა კი არა აქვს ამ ხალხის ზნეობრივად განვითარების საქმეში: იმერეთის მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებნი თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ზნეობრივად განვითარების მხრივ სამურზაყანოსთან მეზობლად მდებარე სოფლების მცხოვრებთაგან. ბევრი კარგი რამ გადაიღო იმერეთიდან სამეგრელოს იმ ნაწილმა, რომელიც მის მოსაზღვრედ არის; ხალხი უფრო მშვიდობიანის ზნე-ჩვეულებისა შეიქმნა, მეურნეობას და საქმიანობას მიჰყო ხელი. მაგალითად საჭილაო, სუჯუნა და ჭალა-დიდი დიდად განსხვავდებიან სამეგრელოს სხვა სოფლებისგან. აქ ზნეობრივადაც დაწინაურებულნი არიან მკვიდრნი და მრეწველობის მხრივაც, იმ დროს როცა ყველას გუშინდელ დღესავით ახსოვს, თუ როგორ ძალას ატანდა მთავარი დავით დადიანი სამურზაყანოს მოსაზღვრე მცხოვრებლებს, რომ მეურნეობისათვის მიეყოთ ხელი. ხოლო ძალდატანება იმიტომ იყო საჭირო, რომ მუშაობა სასირცხვილო საქმედ მიაჩნდათ. მანამდე კი აქაურები მარტო მოპარულ ცხენების გადაყვანას მისდევდნენ და თოხი ხელში არ აუღიათ. სამწუხაროდ, ასეთს საეჭვო სოფლებს დღესაც შეხვდება კაცი: მცხოვრებნი სირმაშემოვლებულ ტანისამსიანი დადიან, მათ ცოლებს აბრეშუმების კაბები აცვიათ, ხოლო მათს მამულს სახნისი არ მიჰკარებია; ახლა ერთი ჰკითხოს კაცმა ამ ვაჟ-ბატონებს: საიდან, როგორ ახერხებენ ასეთს კოხტაობას! ეს სოფლები მთავარი ბუნაგია იმ საზარელ ხელობისა, რომელიც აჩანაგებს და ანიორწყლებს მშრომელ გლეხის ნაოფლარსა და ნაწვავ-ნადაგსა.

მართალია, აქაურ საზოგადოების ჩამორჩენის მიზეზი—მისი ზნეობრივი ნაკლულევანება არის, მაგრამ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ ნაკლუდევანების სათავე უმეტესად ის უკულმართი საზოგადო წყობილება და პირობებია, რომელთა აღწერას ახლა შევუდგებით.

III

კარ-მიდამო მებატონისა; მისნი მოსამსახურენი.—მისგან დამოკიდებული მცხოვრებნი: მოჯალაბე, მებეგრე და აზატი.—მათი მოვალეობა.—გლეხების გლეხები.—აზნაურნი.—სასულიერო წოდება.—სამეგრელოს მცხოვრებთა რიცხვი და მათი დანაწილება კლასებად.—მაღალ—თავისუფალ წოდებისა და დაბალ—ყმათა წოდების რაოდენობა.

ჩვენს წინა დევს ორი ოთხ-კუთხი ქცევის სივრცე ეზო, შემომესრილი და თხრილ-შემოვლებული. შიგ კოინდარი სთესია და მთელი ეზო მწვანე და საუცხოვო ხალსა ჰგავს. აქა-იქ უზარმაზარი და განივრად გაშლილ-ტოტებიანი კაკლის ხეები დგას. შიგა და შიგ ურევია ხეხილის ხეები და ვაზ-გადახვეული თხმელები. ეზო დაქსელილია ბილიკებითა და უკან ხის ერთსართულიანი ოდა დგას, აივნიანი. ამ სახლის შენების დროს პატრონი, ეტყობა, არ ცდილა არც სახლის სიმკვიდრის და აღარც სილამაზისათვის, თავი და თავი—იმისთვის უზრუნვია, რომ გრძელ და დაქანებულ სახურავით დაეფარა აივანი,—მზემ არ დამაცხუნოსო, და გაეკეთებინა ერთი ვრცელი დარბაზი, რომელსაც აქვს ერთი უშველებელი ბუხარი და ორი ერთმანეთის მოპირდაპირე კარი, ერთი—წინ და მეორე—უკან. დარბაზს მიკეთებული აქვს ორი, სამი პატარა ოთახი, ყველგან გრძელი მერხები დგას ან და ტახტები, ჭრელ ხალიჩებით ან ქეჩებით დაფარული. ტახტზე ზანდუკები და სხვა და სხვა სიდიდის კალათებია დადგმული. შიგ ინახება სხვადასხვა რაგინდარა და მთელი განძეულობა სახლის პატრონისა. ტახტებზედვე ალაგია ყუითუყის ლეიბები და ბალიშები, რომლებიც სულ მუდამ აქვთ ხოლმე იმდენი, რომ მასპინძელსაც ეყოს და სტუმარსაც.

სახლი გოჯ-ნახევრის სისქის ფიცრისაგან არის აშენებული, არც შიგნიდან არის გაგოზილი და არც გარედან, ასე რომ ბევრგან შიგნით ქარი თავისუფლად უბერავს. მაგრამ ამის დარდი არა აქვს სახლის პატრონს: მისი სამშობლოს ჰავა ისეთია, რომ წელიწადში ცხრა თვე ზაფხულია, ასე რომ თუ ზრუნავს, ისევ იმისთვისა ჰზრუნავს, რომ მზის მწვავე სხივთაგან სახლს თავი შეაფაროს. ხანმოკლე სიცივეს როდი უშინდება: ბუხარს მოუჯდება და იოლად გამოდის.

ოდას იქით-აქეთ და უკან მომცრო ქოხები უდგას, სადაც მოსამსახურენი სცხოვრობენ და საჭმელს აკეთებენ. ამ ოთახს უკან მოდგმულია პატარა ხულები და სასიმინდეები, სადაც მეტად ცოტა ჭირნახული ეტევა.

მეგრელი გლეხი

აი სანიმუშო ოჯახი სამეგრელოს შეძლებულ მებატონისა. ყველა მებატონეს ამნაირი კარ-მიდამო აქვს, ზოგისა უკეთესია, ზოგისა—ამაზე მდარე,—ეს თვით მებატონის სიმდიდრე-სიღარიბეზეა დამოკიდებული. ზოგი ეზოში სიმინდსა, ღომს და პურსა სთესავს; ზოგს ყანა ეზოს გარეთ აქვს, მაგრამ ახლოს კია სახლთან; ზოგ-ზოგს უფრო დიდი ოდა უდგას, მდიდრულად მართული; ზოგს კი უფრო ღარიბული და პატარა სახლი აქვს; ხშირად, აქაური მებატონე სარკმელებიან, ბუხრიან და აივნიან ოდის მაგიერ ვრცელ ქოხში დგას, სადაც ზამთრობით შუაგულ ალაგას, კერაზე, გაუქრობელი ცეცხლი ანთია.

ამ სახლ-კარის პატრონი ამ ქვეყნის მაღალ წოდებას ეკუთვნის, მემამულეა, და, როგორც სრულ-უფლებიან და თავისუფალ კაცს, თავს ახვევიან მისი ხელ-ქვეითნი მსახურნი და გლეხები, მის მამულზე მდგარნი. ვეცადოთ დავუახლოვდეთ ამათ და გამოვარკვიოთ: როგორა სცხოვრობენ. ჯერ დავიწყოთ დაბალ წოდებიდან—მსახურთაგან.

მსახურნი, როგორც მდედრობითის, ისე მამრობითის სქესისანი მებატონის სახლში სცხოვრობენ პატარაობიდანვე. ზოგ მებატონეს ბევრი მსახური ჰყავს. მათს შორის განსხვავებაც არის,—ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გვარ საქმის გაკეთება აქვთ დაკისრებული. ყველაზე დაბალი და დამოკიდებული მსახური—**მოჯალაბეა.** ესენი სულითა და ხორცით ბატონს ეკუთვნიან. ბატონს შეუძლიან მოჯალაბე გაჰყიდოს, ვისაც უნდა აჩუქოს, რაც უნდა, ის სამუშაო გააკეთებინოს. **მოჯალაბე**—სრული მონაა, მისი ბედი და უბედობა ბატონის ხელშია! საშინელია ამგვარი დამოკიდებულება ადამიანთა შორის! ეს დამოკიდებულება მონას ღვთის ხატებას უკარგავს, ავიწყებს, რომ ისიც ადამიანია. ბატონი თავის შინაურ პირუტყვს უფრო ლმობიერად ეპყრობა, ვიდრე დამონავებულს ადამიანს. ბატონი ხედავს, რომ მონასაც ადამიანის სახე აქვს და რომ სულიერი ბუნება მისი პირუტყვისაზე უფრო მაღლა სდგას; დიახ, ხედავს, მაგრამ იმის ცდაშია, მონა სულის ამოხდამდე იმსახუროს და დროს არ აძლევს გამოერკვას და იგრძნოს თავისი ღირსება, ადამიანობა. ამნაირი კაცი იბადება, სცხოვრობს და კვდება საშინელს უმეცრებასა და სიღარიბეში; აშას ისიც დაურთეთ, რომ რაღაც არა-ქრისტიანულს, მოგონილს სახელს ეძახიან. **მოჯალაბე ქალის** მდგომარეობა მოჯალაბე კაცის მდგომარეობაზე უარესია: მამაკაცს დაცოლშვილების ნება აქვს, იმიტომ რომ ბატონის ოჯახს მომუშავე ემატება; ქა-

ლი კი უფრო ხშირად გაუთხოვარი რჩება, თუ თვით მოჯალაბეთა შორის საქმრო ვერავინ გამოუჩნდა, ბატონის სასახლეში. **მოახლე** უეჭველად უნდა მიჰყვებოდესთ მზითევში მებატონის ქალიშვილებს. თუმცა აქ მოვალენი არიან ქალიშვილებად დარჩნენ, მაგრამ მოახლეთა შორის იშვიათათ გამოერევა ისეთი, რომ უკანონო შვილი არა ჰყავდეს, ხანდისხან ამ უკანონო შვილის მამა თვით მებატონეა ხოლმე. ხშირად გაგვიგონია ამ გვარ ქალთაგან გულის გამგმირავი ჩივილი. ერთი მათაგანი მალულად თავისს ბატონს გაქცევია, თუ სადმე ორიოდ გროში ებადა, წერა-კითხვის ვაი-ვაგლახით მცოდნე დიაკვნისათვის მიუცია და თხოვნა დაუწერინებია. ეს თხოვნა რუსის მოხელეს მოუტანა. სახეზედვე ეტყობოდა მთელი მისი უმწვერვალესი სიღარიბე და გაჭირვება; თვით ტიპი მისი სრულებით არა ჰგავდა მეგრელ ქალთა იმ ტიპს, რომელიც მთელს კავკასიაშია განთქმული; ეს მოახლე სხვა ჯიშს ეკუთვნოდა, დაკნინებულსა და დაჯანდაკებულს. მოუსმინეს თხოვნა და იმანაც თავისი თავგადასავალი უამბო უფროსს.

„მე,—სთქვა მოახლემ,—N-ს ვეკუთვნოდი, იმის ხელში ორი შვილი მეყოლა—ქალი და ვაჟი; მერე მეორე მებატონეს მიჰყიდა ჩემი თავი, შვილები კი თვითონ დაიტოვა. ახალ ბატონის ხელში შვიდი წელიწადი ვიცხოვრე. და ამ დროს გავიგე, რომ ჩემს წინანდელს მებატონეს ჩემი ვაჟი სამურზაყანოში გაუყიდნია, ხოლო ქალი—იმერეთში. ახალის ბატონის ხელში სამი შვილი მომეცა. ახლა ბატონი უფროსს შვილს გაჰყიდვას უპირებს, და თქვენთან გეახელით, რამე მიშველოთ. ბატონი მემუქრება,—თუ სადმე წასულხარ საჩივლელადა, შენ თვითონ აფხაზეთში გაგყიდიო“.

ამ ამბავზე საშინელი თუ რამე იქნება კიდევ! ხომ ასეა, მაგრამ ასეთი ამბავი ამ ცოტა ხნის წინად ხშირადა ხდებოდა. სხვა ამბავიც გვახსოვს:

მოვიდა ქალი და კაცი, ორივე **მოჯალაბე** იყო. სამის წლის წინად ბატონისაგან ათ თუმნად თავი დაუხსიათ, მაგრამ რაკი ფული თვითონ არ ჰქონოდათ, მეორე ბატონისათვის ათის წლის ქალი დაუგირავებიათ ორ თუმანში. როცა ქალის გამოსყიდვის ვადა დადგა, მებატონეს, რომელთანაც მათი ქალი მსახურობდა, თავისი ფული მოუტანეს, მაგრამ მებატონემ ცივი უარი უთხრა. თურმე,—იმ საბუთის ქაღალდში, რომლის ძალით თქვენი ქალი მყავს, სწერია, რომ გოგო გირაოდ კი არ ამიყვანია,—ვიყიდეო.

მართლაც, რადგან წერა არ იცოდნენ დედმამამ, მათ მაგიერ საბუთის ქაღალდზე სხვას მოუწერია ხელი მათის მინდობილობით.

ყველა ამ გვარ შემთხვევაში რუსის მთავრობა დაუყონებლივ ეხმარებოდა გაჭირვებულთ და ენერგიულად ჰკურნავდა ტანჯვა-წვალებისაგან. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სამეგრელოს მთავრებიც არ ცდილობდნენ ამ უცნაურ ქმნილებათა ყოფა-ცხოვრების შემსუბუქებასაო. მთავარმა ლევან დადიანმა დაადგინა,—უკანონოდ შობილნი საეკლესიო კუთვნილებად ჩასთვალეთ და საეკლესიო მამულებზე დაასახლეთო. მაგრამ ამით ბევრი არაფერი მალამო დასდებია მოჯალაბეთა წალულს. საეკლესიო უწყებამ ისევ მებატონეებს შიჰყიდა უკანონოდშობილნი და ესენი იმნაირივე მოჯალაბეებად იქცნენ, როგორც მათი დედები იყვნენ. ამიტომ, რაკი დაინახა მთავარმა—ამ გზით არ ეზველებათ უკანონოდშობილდაო, ამის შესახებ თავისი ბრძანება გააუქმა, და ის იყო და ის—მეტი არაფერი უქნია ამ უბედურთა დასაცველად.

მებატოხეს მხოლოდ ერთი ბუნებრივი ვალი აწევს მოჯალაბის მიმართ: უნდა ასვას-აჭამოს და ტახთ ჩააცვას, და თუ დაინახა, რომ მოჯალაბეთა რიცხვი დიდია, ამდენი არა მჭირდებაო, ზედმეტს თავის მიწაზე დაასახლებს და სხვადასხვა მოვალეობას დაადებს. თუ მოსახლე-მოჯალაბეს რამდენიმე ქალიშვილი ჰყავს, ერთი მათგანი **ნოახლად** უნდა წაუყვანოს ბატონს, დანარჩენებს კი ნება აქვთ ქმარს გაჰყვნენ. საზოგადოთ, ყველა სხვა შინაურ სამუშაოთა გარდა, ერთი სამუშაოცაა—ღომის ძეხვა, რომელიც მხოლოდ მოჯალაბეს აწევს კისერზე; ამ საქმეს ბატოხის მსახურთაგანი სხვა არავინ მოჰკიდებს ხელს. ამასთანავე, მოჯალაბე-ქალთა შორის ერთი წოდებაც გამოერევა, რომელსაც თავის ბატონის სასახლეში საპატიო ადგილი უჭირავს,—ეს არის **გამდელი**, ბატონის შვილების აღმზრდელი. ჩვეულებრივ, როცა ამ მძიმე მოვალეობას პირნათლად ასრულებს ქალი, მებატონე ანთავისუფლებს; მაგრამ ასეთი ბედი იშვიათ მოჯალაბე-ქალს ეწევა ხოლმე.

—

მოჯალაბეთ მეორე რიგის მსახურნი—**ფარეშები** მისდევენ. ფარეში ბატონის სახლში დაბადებული არ არის, არც ისეთია, რომ თვინიერ ბატონის სახლისა სხვა სახლი და სხვა ოჯახი არ იცოდეს. ფარეში შვილია ბატონის მიწაზე დასახლებულის გლეხისა (ამის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი), რომელიც ვალდებულია თავისს

ბატონს მსახურნი მიჰგვაროს ხოლმე. ფარეშებად 12—13 წლის ნაკლები ყმაწვილები არ მიჰყავთ; ფარეშები საზოგადოთ იმ ჰასაკში უნდა იყვნენ, რომ ამა თუ იმ საქმის გაკეთება შეეძლოთ. ყოველი მათგანი იმას აკეთებს, რაც იმის მამას გაუკეთებია და ამ წესს არაფრის გულისთვის უღალატებს. ყოველ შემძლებელ მებატონის სასახლეში შეგვხდებათ მოსამსახურეები: **პირის ფარეში, მზარეული, ხაბაზი, მეწისქვილე, მეჯინიბე, მოლარე, ხელოსანი,** და სხ. და სხ. მებატონე მოვალეა მხოლოდ არჩინოს ისინი; დანარჩენისთვის უნდა იზრუნოს ფარეშის ოჯახმა, რომლის მაგივრად ფარეში ბატონს ემსახურება ხოლმე. რამდენისამე წლის სამსახურის შემდეგ ფარეში ისევ თავის სახლში ბრუნდება და იმის მაგივრად სასახლეში მისი ძმა ან შვილი მიდის. ასე რომ მსახურთა ამ ნაწილს მოჯალაბეებზე უფრო თავისუფალი ხასიათი აქვს.

ამათ გარდა, თავადებს მესამე რიგის მსახურნიცა ჰყვანან— **შინაყმანი.** შინაყმები თავადებისაგან დამოკიდებულნი აზნაურნი არიან, რომელნიც ვალდებულნი არიან ეგრედ წოდებული საპატიო სამსახური აასრულონ. შინაყმანი თან ახლავან ხოლმე თავადებს და მათის ოჯახის წევრებს, როცა ესენი სადმე წავლენ, უზანგს ჩამოუწევენ, სტუმრებთან სუფრაზე ემსახურებიან და ამასთანავე ლაპარაკით ართობენ; თავადები შიკრიკებად და მოციქულებად ამათ გზავნიან თავიანთ თანასწორებთანავე ან უფროსებთან მოსალაპარაკებლად, როცა სიმარჯვე და გამოცდილებაა საჭირო. აზნაურები შინაურობაში სხვადასხვა ხელობას ასრულებენ, მაგ. ესენი არიან **სახლთუსუცესები, მოჯრავები** და სხ.

აი რა სხვადასხვა ჯურის, მეტად თავისებურის ელფერის ხალხი სცხოვრობს ერთ ჭერ ქვეშ; აი რა სახისაა შინაური ყოფა-ცხოვრება მეგრელ მებატონისა! აქ რამდენიმე წოდებაა საზოგადოებისა, სულ სხვადასხვა ნაირი, მაგრამ თავი იმიტომა აქვსთ ერთად მოყრილი, რომ ბატონისაგან დამოკიდებულნი არიან. ბატონი და მისი ცოლშვილი ამ მსახურთ ისე უყურებენ, როგორც საკუთარ ნივთს, მათის კეთილდღეობისათვის გაჩენილს; მაგრამ ამავე დროს თავის დღეში არ მოსთხოვენ იმაზე მეტს, რაც ადათმა და მამა-პაპათაგან დარჩენილმა ჩვეულებამ დააკანონა: ფარეშს არაფრის გულისათვის არ შეიძლება მოჯალაბის გასაკეთებელი საქმე გააკეთებინონ, შინა-

ყმას — ფარეშისა; ყველა იმას აკეთებს, რის გაკეთებაც ვალად ადევს, — მხოლოდ ამ შემთხვევაშია მშვიდობა დაცული სასახლეში.

კარმიდამოს აწერის შემდეგ გადავიდეთ ბატონის მამულზე. აქა ცხოვრობენ, მისნი ქვეშევრდომნი, რომელნიც იმავე დაკანონებულ ადათის ძალით ორ სხვადასხვა კლასად იყვნენ დაყოფილნი — **მებეგრეებად** და **აზატებად**.

პირველ კლასს, **მებეგრებს**, სიტყვა **ბეგარა-დან** დაერქვა თავისი სახელი. ეს კლასი კიდევ თავის მხრივ ორად განიყოფებოდა: **გლეხებად** და **მსახურებად**.

გლეხს (სხვანაირად **ყაზახი**, და ანუ **მარგალი** ერქვა) მებატონესი აი რა ემართა:

1) ყოველს კომლს უნდა ეძლია თითო მოსამსახურე მამაკაცი (ფარეში) და ამ მოვალეობისაგან კომლი მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა, თუ ოჯახში ერთი მუშა კაცის მეტი არ იყო.

2) ყოველ ოჯახს, როცა ბატონი მოითხოვდა, ერთი **მუშა** უნდა გაეგზავნა. გადაჭრილი არ იყო, მუშას კვირაში რამდენი დღე უნდა ესაქმნა ბატონისათვის.

3) ყოველ კომლს მებატონესთან **ბეგარა** მოჰქონდა. საბეგრო იყო: ა) ღორი და ქათამი, ბ) გადაჭრილი საწყაო ღომი, გ) გადაჭრილი საწყაო ღვინო.

გარდა ამისა, ყოველი ოჯახი მოვალე იყო ბატონისათვის სხვა ძღვენიც მიერთმია. ამ ძღვენებს თავ-თავისი სახელები ერქვა: **ოჭკომური**, **ობატკური**, **საპურე-პური**, **საყველიერო** და სხ. ყველა ძღვენების ჩამოთვლა ძნელია, ამიტომ რომ სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ძღვენი იციან. ძღვნად მიართმევენ ხოლმე პურს, ყველს, ციკნებს და კრავებს. ეს ძღვნობა შემთხვევით გაჩნდა, მაგრამ რაკი ორ წელიწადს ზედი-ცედ მოართვეს მებატონეს, მერე სამუდამო ბეგარად გადაქცევიათ იმ საბუთით, რომ ერთხელ ჩადენილი და მეორეჯელ განმეორებული საქმე კაცს ჩვეულებად გადაექცევა ხოლმე. ყოველ მოტანილ საჩუქარს პირველად **ძღვენი** ჰქვიან; მაგრამ საჩუქრის მომტანი ვალდებული არ არის კვლავაც მოიტანოს ხოლმე ძღვენი. ფრანგების გლეხებსაც წესად ჰქონდათ: „une fois — n'est pas coutume“, — მარტო ერთხელ ჩადენილი საქმე ჩვეულება არ არისო. მაგრამ თუ **ძღვენი** კაცმა ორჯელ მოიტანა, ძღვნობა **დებულებად**, ბეგრად გადაექცევა. მებატონეთ იციან ამ წესის ძალა და მოფერებით და ეშმაკობით ცდილობენ მეორეჯელაც მოატანინონ გლეხს

ძღვენი, ან რამე სხვა სამსახური ვააწევინონ, და მერე, ორი-სამი წელიწადი რომ გაივლის, ძალით მოსთხოვენ,—მოვალე ხარ, გმართებსო. გლეხს კარგად ესმის მებატონის ეშმაკობა და ყოველის ღონისძიებითა ცდილობს ახალი არაფერი მოუმატოს იმას, რაც მის შამა-პაპას ემართა; მაგრამ ხშირად სჭირია ბატონის მფარველობა და დახმარება და ამის მიზეზით უნებურად იბეგრავს ხოლმე თავს ზედმეტის ბეგრითა.

სამეგრელოში ზოგიერთი მებატონე ამაებს არა სჯერდება და თავის სოფლებში **გლეხების** ოჯახიდან გოგოები გამოჰყავთ მოსამსახურეებად. რაკი გოგო ბატონის სასახლეში ჩავარდება, მერე **მოჯალაბედ** იქცევა. ამ შემთხვევაში ბატონი ასე შვრება: გლეხის ოჯახში გოგოს სულ პატარაობითვე აარჩევს, კისერზე აბრეშუმის წითელ ზონარს დაკიდებს და ამით თავის მოახლედ დაინიშნავს. აქაც არის მსგავსება ფრანგისა და მეგრელ გლეხობათა შორის. ფრანგებში ძველად ყმებს საყელოსა ჰკიდებდნენ, რომელზედაც ეწერა: J'appartiens (ვეკუთვნი); განთავისუფლებულ გლეხს —Franc du collier (საყელოსაგან განთავისუფლებული) ერქვა. მაგრამ აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ გლეხი მოახლედ თავის ქალიშვილს უდავიდარაბოდ იშვიათად უთმობდა ხოლმე. თავად ფაღავებს არ დაავიწყდებათ, თუ როგორ უკმლავდებოდენ ამის გამო გლეხები: ხანდისხან სისხლიც-კი იღვრებოდა. ამავე მოთხოვნილების გამო, ფაღავების გვარის ერთ-ერთი წევრის-მიერ, უკანასკნელად 1858 წ., მოხდა უწესობა სოფ. ნახუნუში. აჯანყდა 80 კომლი გლეხი. ადგილობრივი მთავრობა იძულებული შეიქნა სამხედრო ეგზეკუციისათვის მიემართნა და მეთაურნი უწესობისა რამდენისამე წლით გაგზავნა კავკასიიდან.

მეორე ნაირი **მობეგრე**—გლეხნი, როგორცა ვსთქვით, **მსახურები** არიან. გლეხთაგან იმითი განსხვავდებიან, რომ ბატონს მუშად კაცს არ აძლევენ, აგრეთვე არ აძლევენ გოგოებს მოახლეებად; დანარჩენში კი გლეხებსა ჰგვანან.

საზოგადოთ კი ყველა გლეხ-მებეგრეს, ყველა თვის ვალდებულებათა გარდა, მართებს: ბატონს წელიწადში სამჯერ გაუთოხნოს სიმინდისა და ღომის ყანა,—ამ სამუშაოს **ნადობა** ჰქვიან,—და გადაუზიდოს ბარგი და ტვირთი ერთ სოფლიდან მეორეში,—ამ ბეგარას **ტვირთობა** ჰქვიან.

ზოგიერთ კომლს, ზემორე თქმულს გარდა, მართებს: წელიწადში რამდენისამე დღის განმავლობაში ბატონის ცხენები და მეჯინი-

ბე თავის ეზოში შეინახოს, ან და ამის მაგივრად ბატონს უნდა აძლიოს ასიდან ორასამდე კონა ჩალა.

ერთი რამ კიდევა ჰმართებსთ გლეხებს. ეს ვალი ყველაზე მეტად მძიმეა: წელიწადში რამდენისამე დღეობით ბატონი და მისი ცოლ-შვილი თავის სახლში უნდა შეინახოს. ბატონის მისვლა გლეხის სახლში კალიის შემოსევასა ჰგავს: მთელი ჭირნახული ჰქრება, თუ რამე ძვირფასი ნივთი აქვს, ხელიდან ეცლება. და ამიტომ თვით ამ ბეგარას საშინელი დრტვინვა და ჩივილი მოსდევს ხოლმე. ბანძასა და ნახუნუში (სენაკის ოლქის სოფლებში) ადგილობრივმა მთავრობამ მებატონეებს ურჩია—ამის მაგივრად რამე ერთდროული ხარკი დაადევით გლეხობასაო. მებატონენი დასთანხმდენ და გლეხებმაც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს.

მეორე ჯურის გლეხებს **აზატები** ჰქვიან. ეს სიტყვა სპარსულია, ქართულად „თავისუფალსა“ ჰნიშნავს. აზატი სრულიად თავისუფალი კაცი არ არის, არამედ გლეხია, რომელიც ზოგიერთ მოვალეობისა და ხარკისაგან განთავისუფლებულია. ამ მოვალეობათაგან ბატონი გლეხს მაშინ ანთავისუფლებს, როცა რამე განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევს, ან მაშინ, როცა ბატონი გლეხის მწყალობელია, ან და მაშინ, როცა გლეხი თავს დაიხსნის. ბატონი გლეხს **აზატობის** საბუთს აძლევს, რომლის ძალით გლეხს სულ უბრალო რამ ვალი რჩება ბატონისა; უფროსერთ შემთხვევაში **აზატები** ვალდებულნი არიან ბატონს ეახლნენ ხოლმე მგზავრობის დროს და ორ წელიწადში ერთხელ ერთი ძროხა მოუყვანონ, ან და ეს ძროხა დაუკლან და სანაქებოდ გაუმასპინძლდნენ.

ამ გლეხებს, რომლებიც პირდაპირ მებატონეებს ეკუთვნიან, მისდევენ ყმები, მებატონეთა გლეხების კუთვნილნი, ანუ **გლეხის-გლეხი**. ესენი მოჯალაბენი არიან,—გლეხები ჰყიდულობენ დიდ ფასად და თავის მაგივრად მებატონეებს უმსახურებენ. ხშირად იმასაც შეხვდება კაცი, რომ ამ მოჯალაბეებს თავისი მოჯალაბენიც ჰყვანან, საშინელ ფასად ნაყიდნი, რაიცა შემარძრწუნებელ უკანონობად უნდა ჩაითვალოს. მთავარმა დავით დადიანმა განიზრახა ამ ბოროტების ამოკვეთა და 1841 წელს დაადგინა: გლეხს ვუკრძალავ გლეხი ჰყავდეს ყმადო. და თუმცა გლეხებს ბევრი გლეხები ჩამოართვეს და სადადიანოდ ჩარიცხეს, მაგრამ ბოროტება მაინც არ აღმოიფხვრა სრულიად და დღემდე დარჩენილია.

ამ თავისუფალ, ან ნახევრად თავისუფალ წოდებას გლეხებისას მისდევს **აზნაურობა,** რომელიც ცალკე წოდებას შეადგენს და რომელსაც უფლება აქვს მინიჭებული ყმები ჰყავდეს, მაგრამ მაინც დამოკიდებულია თავადთაგან. **აზნაურებს**, როგორც ზემორე მოვიხსენიეთ, მართებთ საპატიო სამსახური თავადებისა და თავის ყმებისაგან აღებულ ხარკიდან ერთ ნაწილს, **საუდიეროდ** წოდებულს, თავადებს აძლევენ.

საჭიროა მოვიხსენიოთ სოფლის სასულიერო წოდებაც, რომელსაც მჭიდრო დამოკიდებულება აქვს მამულის მეპატრონეებთან. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, სახელდობრ 1841 წელს, რაც გამოსცა ბრძანება მთავარმა დავით დადიანმა და განათავისუფლა სასულიერო წოდება ბატონ-ყმურ მდგომარეობისაგან. განუთავისუფლებულნი დარჩენ მხოლოდ მღვდლის შვილები, რომლებიც ამ ბრძანების გამოცემამდე დაიბადნენ—და რომელნიც, ამ სახით, ისევ ბატონების ხელში იმყოფებოდნენ. მაგრამ რომელი მღვდლის შვილი მღვდლად კურთევას მოინდომებდა, თუ სურდა, იმავე ბრძანების ძალით, ნება ჰქონდა თავი დაეხსნა ბატონისაგან, მხოლოდ სულზე 26 მანეთი უნდა გადაეხადნა. სამღვდელოების განთავისუფლებასთან ერთად, ის მამული და გლეხები, რომლებითაც ეს წოდება მემკვიდრეობით სარგებლობდა, მამა-პაპეული უძრავი ქონება, მებატონეთა საკუთრებად იქნა აღიარებული, იმ პირობით კი, რომ სამღვდელოებას შეეძლო კვლავაც ესარგებლნა, მხოლოდ მებატონესათვის წლიურ შემოსავლის მეათედი უნდა ეძლია. **შენობები, სამღვდელოთა ეზოში აგებული, აგრეთვე კეთილშეძენილი უძრავი და მოძრავი ქონება მათსავე საკურებად დარჩა.**

თუმც თავისუფლებამ სამღვდლოებას შესაფერი ასპარეზი გაუხსნა სამოღვაწეოდ, მაგრამ მონობის ბეჭედი კიდევ არ გარდერეცხა. ეს დამონებული მდგომარეობა სამღვდელოთა მათს სრულ უმეცრებაში გამოიხატება. სოფლის მღვდელს ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ის მნიშვნელობა და ძალა, რომელიც იმის მაღალ ხარისხს შეეფერება. ჯერხანად ესენი მარტოოდენ აღმასრულებელნი არიან წირვა-ლოცვისა და საეკლესიო წესებისა. სარწმუნოება-ზნეობას ჯერ ვერ ასწავლის როგორც მებატონეს, ისე მისთა ქვეშევრდომთა და ამიტომ მათს შორის ძმობა-სიყვარულის ჩამომგდებად აღარ ვარგა.

სამღვდელონი მეტად ბევრნი არიან. მრავალ სამრევლო საყდართა გარდა, ყოველ მდიდარ მებატონის სახლში დაინახავთ კარის

საყდარს და კარისავე მღვდელს. ყველა ეს საყდარნი ერთ გეგმაზე არიან აგებულნი, ხისებია და მეტად მწირ და ცუდ ყოფაში არიან. სამრევლო საყდარი კარის საყდრისაგან არაფრით განირჩევა—არც გეგმით და არც მორთულობით, მხოლოთ შესანიშნავი იმით არიან, რომ ჩვეულებრივ სერებზე აშენებენ. გარშემო მუხისა, დაფნისა, ძელ-ქვისა, ურთხელისა და ბზის ხეები აქვთ შემორგული. ამ ხეებს ხელს არავინ ახლებს, ამიტომ მშვენიერად და თვალწარმტაცად იზრდება. ეს ტყე იმ წმინდანების სახელობაზეა გაშვებული, ვის სახელობაზეც თვით საყდარია ხოლმე აგებული, ცულს ვერავინ მიაკარებს. ყოველ სამრევლო საყდარში დიდი სპილენძის **ბუკი** (ოყე) არის შენახული, რომლითაც საჭიროების დროს ხალხს თავს უყრიან ხოლმე. სამეგრე-ლოში მომხდარ აჯანყების დროს ეს ბუკები გულმოდგინედ ასრუ-ლებდა თავიანთს დანიშნულებას.

აი, საზოგადო სურათი და საზოგადო დახასიათება იმათი, ვინც სამეგრელოს შეძლებულ მებატონეს გარს ახვევიან და ისტორიულად შექმნილ დამოკიდებულებაში არიან მისგან. ხოლო კანონიერება ამ დამოკიდებულებისა ჩვეულებასა და ადათზე არის დამყარებული. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ შეძლებული მებატონეები გაცრ-ლებით ნაკლებია შეუძლებლებზე; უფროსერთი კი მცირემამულიანია და ხშირად რამდენსამე მებატონეს რამდენიმე კომლი მართლაც რომ უბადრუკი გლეხები ერთად ჰყავთ. ყველაზე მდიდარი მებატონე სა-მეგრელოში—ეკლესია არის; ამას თავისი აზნაურებიცაა ჰყავს, აზა-ტებიცა, მებეგრეებიცა და მოჯალაბეებიც; ეკლესიას მთავარი მოს-დევს, ხოლო მთავარს—ბატონიშვილები (თავადნი დადიანნი). მაგრამ სამეგრელოის 1860 წ. შედგენილ კამერალურ აღწერისაგან გამოკრე-ფილ ნუსხიდან უფრო მკაფიოთ დაინახავს მკითხველი, თუ რამდენია მაღალი წოდება და რამდენია დაბალი.

მთელს სამეგრელოში 25,479 კომლია, რომელთაგან:

1. **მაღალი, უხარკო** წოდება:

თავადები	303	კომლი
აზნაური	2073	"
სასულიერო წოდება	469	"
სულ:	2,855	კომლი.

2. **დაბალი, მოხარკე** წოდება

ხარისხებად:

აზატი	575 კომლი
მსახური	3989 "
გლეხი	17.060 "
მოჯალაბე	990 "
	სულ: 22,614 კომლი.

3. ვის რამდენი ეკუთვნის:

სადადიანო	2747 კომლი
საეკკლესიო	3065 "
საბატონო	16451 "
საგლეხო	331 "
	სულ: 22, 614 კომლი

მაღალი წოდება, რომელიც არ მუშაობს, დაბალ, მწარმოებელ წოდებასთან ისეთსავე დამოკიდებულებაშია, როგორც 1:8; ხოლო თუ 22,614 კომლიდან 10,000 კომლს 200 მდიდარ მებატონეებს მისცემთ, რომელთა რიცხვში მთავარსა და ეკკლესიასაც ჩათვლით, დარჩება 12,614 კომლი დაბალის წოდებისა, რომელიც განაწილდება 2.645 კომლ მაღალ წოდებას შორის, ასე რომ მათი დამოკიდებულება გამოიხატება, როგორც 1:4, ესე იგი, ოთხ მუშასა და მწარმოებელს აწევს კისერზე და მის ოფლითა სცხოვრობს.

სამეგრელო, სანამ რუსეთის ქვეშევრდომად არ გახდა, ასპარეზი იყო შიშიანობისა და რბევა-წიოკობისა, და კიდეც ამიტომ გამრავლდა მაღალი წოდება. ამ წოდებას კისრად აწვა დაცვა სამეგრელოსი გარეშე მტრისაგან, და რაც უფრო ბევრი იყო ეს წოდება, მით უფრო უზრუნველ ჰყოფდა, ვიდრე აწუხებდა მშრომელ ნაწილს სამეგრელოის მკვიდრთა.

სრულიად თავისუფალი გლეხი სამეგრელოში 1860 წლამდე არა ყოფილა. მებატონე ვისაც კი გაანთავისუფლებდა, მთავრის ბრძანებით მის მამულს მიაწერდენ. ამ სახით გლეხი ისევ ყმა ხდებოდა. კაცის ამნაირი განთავისუფლება რუსის მთავრობას უკანონოდ ეჩვენა და დაადგინა: ვისაც ბატონი განათავისუფლებს, სამთავროდ ნულარ ჩაირიცხებიანო. ამის მიზეზით სამეგრელოში ახალი წოდება გაჩნდა

—თავისუფალ გლეხებისა. 1861 წელს 20 კომლი იყო ამ თავისუფალ გლეხებისა.

IV

სამამულო იურისდიკაცია.—გლეხების პატრონობა გაჭივრების ჟამს.—მებატონეთა მამულის განუყოფელობა.—ვისა რჩება ამოწყვეტილ გლეხთა ქონება.—დასახელებულ მამულის გადასვლა მემკვიდრეებზე.—ერთ მებატონისეგან მეორე მებატონესთან გადასვლა გლეხებისა.—სასოფლო საზოგადოება.—წესი გლეხის დამყარებისა მამულზე.—გაყოფა კომლთა.—საკუთრება გლეხისა.—გლეხის გადასახლება ერთ მამულიდან მეორე მამულზე.—საზოგადო დახასიათება მებატონისა და გლეხთა დამოკიდებულებისა.—მნიშვნელობა მომავლის რეფორმისა.—საჭიროება სასწავლებლების გახსნისა.—დასკვნა.

წინა წერილიდან დავანახვეთ მკითხველს, თუ რა და რა ნაწილისაგან არის შემდგარი სამეგრელოს საზოგადოება. აქედან შეგვიძლია ის დავასკვნათ, რომ გლეხები ორ კატეგორიად განიყოფებიან, სახელდობრ: **მონებად**, რომელთაც მოჯალაბენი ეკუთვნიან, და **მეკომურებად**, რომელთა დამოკიდებულება იმით გამოიხატება, რომ ზოგიერთი, ჩვეულების მიერ დაკანონებული, მოვალეობა და გადასახადი აწევს კისერზე. არ შევსცდებით, თუ ამათ სახელად **ბატონ-ყმურად ვალდებულნი მეკომურნი** ვუწოდეთ.

მოჯალაბეთა შესახებ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ; მაგრამ **მებეგრენი** და **აზატნი** უფრო ვრცლად უნდა გავაცნოთ მკითხველს, რომ უმეტესად მკაფიოდ გამოვარკვიოთ მათი პირადი და საადგილ-მამულო დამოკიდებულება.

ჩვენ არა ვკისრულობთ შევადგინოთ სრული დებულება და ამ დებულებაში სავსებით აღვნუსხოთ უფლებანი და მოვალეობანი როგორც მებატონეთა, აგრეთვე ამ ჯურის გლეხთა. ჩვენ მხოლოდ ვეცდებით აღვნიშნოთ ერთად რამდენიმე მთავარი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ამ უფლება-მოვალეობას.

———

1. საადგილ-მამულო იურისდიკციას მებატონეთა და გლეხებს შორის სამეგრელოში ჩვენ ვერა ვპოვებთ. ეს ფაქტი მეტად შესანიშნავია, ამიტომ რომ ბატონ-ყმობა აქ უმაღლეს განვითარებამდე არის მისული და, მაშასადამე, უამიურისდიკციოდ არ უნდა ეარსებნა ამ მხარეში; მაგრამ ამის მიზეზი სხვა და სხვა გარემოება გახდა, და ჩვენც საჭიროდა ვსთვლით თითოული მათგანი განვმარტოთ.

1811 და 1812 წლებში დიდი გასაჭირი და უბედურება ეწია მთელს აღმოსავლეთ ნაწილს შავის-ზღვის პირისას და მასთან ერ-

თად სამეგრელოსაც; ეს უბედურება ხალხს დღესაც ახსოვს; ამ წლებ-ბში შიმშილობამა და ჟამმა მუსრი გაავლო აქაურობას. სოფლელნი, ჟამისაგან თავზარდაცემულნი და შიმშილისაგან დატანჯულნი, თავიანთს სახლკარს თავს ანებებდენ და თავის საშველად გარბოდ-ნენ. ბევრი გადაიხვეწა მაშინ კავკასიის სხვა და სხვა მხარეს, და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში. მებატონენი არამც თუ არ იჭერდნენ გლეხებს, პირიქით თვითონ აქეზებდნენ გადასახლებუ-ლიყვნენ, რადგან არა ებადათ რა მათთვის ეჭმიათ. ამგვარად დაი-წყო პირველად მეგრელ გლეხების გადასახლება ქართლ-კახეთში, რამაც დაამყარა დღესაც არსებული ფიზიოლოგიური კავშირი საქარ-თველოს ამ ორ ნაწილის გლეხთა შორის. როცა ჟამიც მოისპო და შიმშილობაცა, უკან ძალიან ცოტანი დაბრუნდნენ; უმეტესობა ახალ მამულზე დარჩა, განსაკუთრებით კახეთში, სადაც ბუნებაც სამეგრე-ლოს ბუნებასა ჰგავდა, თავისუფალი მიწა-წყალიც ბლომად იყო და გლეხის შრომაც კარგად ჯილდოვდებოდა. ქართლ-კახეთის მებატო-ნეებმა ახალმოსული გლეხები უმეტესად ხიზნებად მიიღეს, და, მო-კლე ხანში, გადმოსახლებულმა გლეხებმა სახლკარი გაიჩინეს. ბევრი მათგანი სახაზინო და საეკკლესიო გლეხთა საზოგადოებას მიეწერა და სხვებთან ერთად იმათაც დაიწყეს სახელმწიფო და საერობო გა-დასახადის გადახდა. ერთი სიტყვით, სამეგრელოს გლეხებმა, ჟამსა და შიმშილობას რომ გამოექცნენ, ქართლ-კახეთში ფეხი მოიკიდეს და უკან დაბრუნებას სულ აღარ ფიქრობდნენ. მაგრამ სამეგრელოს მე-ბატონეებს რაკი გლეხები შემოაკლდათ, მათმა შემოსავალმაც იკლო, ამიტომ ძალით დაუწყეს თავის გლეხებს დაბრუნება და დახმარები-სათვის მთავრობას მიმართეს. მეგრელები რუსების შემოსვლამდი რომ გადასახლებულიყვნენ ქართლ-კახეთში, იქაურს მეფეს, რაკი ერთ-ხელ შემოუშვებდა, ნება ექნებოდა თავისს ქვეშევრდომებად ჩაე-თვალა ⁄ სამეგრელოს მთავრობისათვის არ დაებრუნებინა; მაგრამ ეს ამბავი რუსის მმართველობის დროს მოხდა, როცა ყველა ეს პროვინ-ციები ერთის კანონის მფარველობის ქვეშ იყო, რომლის ძალით ბატონს ნება ჰქონდა, თავისი ყმა თუნდ ზღვის ფსკერზედაც ეძებნა, და წამოეყვანა; ამიტომ მთავრობა ენერგიულად უნდა დახმარებოდა ამ გლეხების დაბრუნების საქმეში. მართალია, ადმინისტრაციამ, გან-საკუთრებით ბარონ როზენის დროს, დიდად გამოიდვა თავი და ქომაგობა გაუწია ბატონებს, ბატონებიც ცდილობდენ ძალათი დაე-ბრუნებინათ თავისი ყმები, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ბატონები იძულებული გახდნენ თავიანთ ყმებს სხვა და სხვა შეღავათს დაჰპი-

რებოდნენ,—ოღონდ დაბრუნდითო, ⁄ სხვა და სხვა საშუალებით იტყუებდნენ სამეგრელოში.

ჩვენის აზრით, ამ ხანებში განვითარდა სავსებით სამეგრელოში **დებულება**, ე. ი. მკაფიოდ განისაზღვრა გლეხთა მოვალეობანი. გაჭივრებამ მებატონენი იძულებულ ჰყო ახალის პირობებით შეჰკვროდნენ თავიანთს გლეხებს და თან-და-თან აელაგმათ თავისი თვითნებობა და დესპოტიზმი. იმავე დროს, როგორც დროული კაცები ამბობენ, აზნაურობამ ცოტ-ცოტად ხელი აიღო ფეხ-მოუკიდებელ ცხოვრებაზე; თავიანთ მამულზე დაემყარნენ და ქოხების მაგივრად სახლები წარმოსდგეს.

აი, ასეთს გარემოებაში მოუსწრო თავის ქვეყანას სამეგრელოს მთავარმა დავითმა, რომელმაც ჯერ ისევ მამის სიცოცხლეში, 1839 წელს, დაიწყო მართვა ამ ქვეყნისა. დავითი პირველი მთავარი იყო სამეგრელოსი, ევროპულად განათლებული. თავისი ყრმობა მაშინდელ დროის მოწინავე რუსებში გაატარა ამ მთავარმა. ჯერ ბარონ როზენის სახლში აღიზარდა. ბარონ როზენი რამდენსამე წელიწადს იყო აქაური მმართველი და ყველანი დიდის პატივისცემით იგონებენ. დავითი მეტად მტკიცე ხასიათისა და ნათელ გონების კაცი იყო, თავის მოქმედებას კაცთ-მოყვარული და განათლებული კვალი დაამჩნია. ყველგან და ყველაფერში მძლეველად და გამარჯვებულად რჩებოდა. ამ შემთხვევაში დიდად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ განსაკუთრებულის, ავტონომიური ხასიათის უფლებით იყო მოსილი. ქვეყნის შინაურად მართვა-გამგეობის საქმეში სრული ბატონი იყო, მისს გონიერს რეფორმებს და ხალხისთვის საწალმართოდ ზრუნვას ხელს არაფერი უშლიდა, და ამ სახეირო გარემოებით კიდეც ისარგებლა. პირველად იმან შემოიღო წერილობითი წარმოება საქმეთა, და მის შემდეგ დარჩენილი საბუთები მოწმეა მისთა კეთილ განზრახვათა.

სამეგრელოში დავითი როდი უყვარდათ. მის სიცოცხლის ბოლო ჟამს ვერცხლ-მოყვარეობის გავრცელებას იმასვე აბრალებდნენ; მაგრამ დრტვინვა თუ გაისმოდა, ისევ მაღალ წოდების მხრივ. ხოლო ამ დრტვინვის მიზეზი ის იყო, რომ დავითი მედგრად ჰლაგმავდა მათს თვითნებობას. და, კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, დავითს ბევრი რამ კარგი გაუკეთებია ⁄ ბევრი ღირსებაცა ჰქონდა. მამა მისი, ლევანი, სიცოცხლეში ძალიან უყვარდათ და სიმღერებში ახლაც იხსენიებენ მისს სახელს; მაგრამ ლევანი მთავარი კი არა, მოქეიფე კა-

ცი იყო, მონადირე, არშიყი, თავის დღენი იქით-აქეთ დადიოდა და საქმეს გაურბოდა.

პირველი და უძირითადესი მთავრული მოქმედება დავითისა იყო დაწესება: 1) უმაღლესის მართვა-გამგეობისა, რომელსაც ეკითხებოდა უმაღლესი ადმინისტრატიული გაწესრიგება ქვეყნისა და უმაღლესივე სამოქალაქო სამართალი, და 2) ადგილობრივ მდივანბეგთა, რომელთაც დაევალათ სასოფლო პოლიციის მოხელეობა და სამოსამართლო-პოლიციური გარჩევა და გადაწყვეტა იმ დავათა, რომელნიც 150 მანეთს არ აღემატებოდნენ.

მდივანბეგის ინსტრუქციებმა 1840 წელს დაიწყო მოქმედება. ხავი-და-თავი მოვალეობა მდივანბეგთა იყო: 1) ცვა-ფარვა ყველას საკუთრებისა და ალაგმვა მეტად გაკადნიერებულ თვითნებათა, რათა ყველა ქვეშევრდომი მთავრისა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ თავის საკუთრების მოხმარება თავისუფლად შეეძლო და მისის ნაშრომის ნაყოფს არავინ წაართმევდა ძალათი; 2) მორიგება მოდავეთა საქმის დაწყებამდის; 3) შეეტყოთ, მცხოვრებთ ვის რა უჭირდა, და წარმოედგინათ თავიანთი აზრი მათის მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ; 4) მიეღოთ, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი საჩივარი მცხოვრებთაგან, განურჩევლად ყველასაგან, და სამართალი დაედგინათ სამეგრელოში არსებულის კანონის, ან ძველი ჩვეულების თანახმად; 5) სამართალი სისწრაფით დაედგინათ და ყველა მომჩივანთათვის სათანადო პასუხი მიეცათ და ისე დაეყენებინათ საქმე, რომ მომჩივანნი საქმეს არ მომცდარიყვნენ.

ამ საზოგადო წესების მფარველობას ქვეშ იყო ყველა წოდება. გლეხს შეეძლო თავის მებატონესათვის ეჩივლნა და მდივან-ბეგი მაშინ უეჭველად უნდა გარეულიყო ყველა საქმეში, რომელიც კი მებატონესა და მისს ხელქვეითთა შორის ასტყდებოდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ბრძანება მთავრის დავითისა, 1843 წელს გამოცემული, რომელშიაც ნათქვამია:

„გავიგე, რომ ზოგიერთნი თანამდებობის პირნი და მებატონენი მომჩივანთ ჩემთან მოსვლის ნებას არ აძლევენ. მე თვითონ ჩემის თვალით დავინახე სარკმლიდან, რომ მებატონემ მომჩივანი, თავისი გლეხი, ჩემთან არ მოუშვა და გარეთ გააგდო. ამიტომ, მდივანბეგებს ვუბრძანებ, გამოუცხადონ მებატონეთა—ასე კვლავ არა ჰქნან, ხოლო მდივანბეგებმა მომჩივანთაგანს არავის დაუშალონ ჩემთან მოსვლა“.

მაშინდელ უმაღლესს მმართველობის არხივიდანა სჩანს, რომ

გლეხების საჩივრების გარჩევა და სამართალის გარდაწყვეტა მიენდობოდათ ხოლმე როგორც პირველხარისხოვან, ისე მეორეხარისხოვან მდივანბეგებს.

აქ ამოვწერთ რამდენსამე ბრძანებას უმაღლესს მმართველობის ჟურნალიდან.

„24 მაისს 1849 წ. № 2295. გლეხმა ახალკოჩი შელიამ თავის ბატონს თავადს გიორგი ა—ს უჩივლა—მიწა და საქონელი წამართვაო. ამიტომ, სოფ. ჯვარის მდივანბეგს ებრძანება, გაარჩიოს ეს საჩივარი და თუ გლეხი მართალია, წანართმევი დაუბრუნდეს და შემდეგშიაც დაფარულ იქნას შევიწროებისაგან“.

იმავე წლის 16 აპრილს, მარტვილის მდივანბეგს ებრძანა გარჩევა გლეხის ივანე ცხაკაიას საჩივრისა და კანონიერ განკარგულების მოხდენა. ეს გლეხი თავის მებატონეებს, თავადთ ჩიქოვანთ, უჩივოდა, —მიწა წამართვესო.

27 მაისს მდივანბეგს თავადს როსტომ ჩიქოვანს ებრძანა გლეხების არჯევანი და ჯარა ჟორდანიების საჩივრის გარჩევა და დაკმაყოფილება, თუ მათი საჩივარი საფუძვლიანი აღმოჩდებოდა. ეს გლეხები თავის მებატონეს თავადს დადიანს უჩივოდნენ—უკანონოდ თავის ქალს მზითევში გაგვატანაო.

30 აპრილს 1850 წ. № 964-ით სოფ. სუჯუნის მდივანბეგს შემდეგი მიწერილობა გაეგზავნა: „მებატონეს თავადს დადიანს თავისი გლეხი ხახულია ხორშია აუყრია და გაბუნიასათვის მიუცია. მებატონეს უფლება არა აქვს გლეხი სხვაგან გადაასახლოს, შეუძლიან მხოლოდ სხვას მისცეს იმ პირობით, რომ წინანდელ მიწაზე დასტოვოს და მიწაც არ წაართვას, ამიტომ აღეკრძალოს თავადს დადიანს აყრა ზემოდ დასახელებულის გლეხისა“.

მახარიკა ფაჩულია მებატონეს შალამბერიას უჩივოდა—უმამულოდ სხვას მიჰყიდა ჩემი თავიო, ამის გამო 30 იანვარს 1850 წელს № 289 სუჯუნის მდივანბეგს ებრძანა: „თუ მთხოვნელი მოჯალაბე არ არის, მებატონე ვერსად გადაასახლებსო; შეუძლიან გაჰყიდოს, მაგრამ სადაცა სახლობს, იქიდან ვერ აჰყრისო“.

ამ ზემორეთქმულისა და რამდენსამე, სახელდახელოდ დასახელებულ, მაგალითს შემდეგ აშკარაა, რომ მებატონეთა იურისდიკაცია კიდეც რომ ყოფილიყო, უნდა გამქრალიყო დავითის მთავრობის დროს. ხოლო თვით ხალხიც, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, თუ მემამულე თავადს ან აზნაურს შეეძლებოდათ თვისთა ქვეშევრდომთა მოსამართლედ ან საპოლიციო ორგანოდ ყოფილიყვნენ

თავიანთის მამულების საზღვრებში. მთავარმა დავითმა იმდენად შეამსუბუქა ბატონ-ყმობის სიმწვავე, რომ რუსეთის იმ დროის საერთო კანონმდებლობასაც გაუსწრო წინ.

აი, მთავარი მიზეზი იმისა, თუ რისთვის ემდუროდა მაღალი წოდება დავითს. როგორ არ დაემდურებოდნენ, როცა ნებას არ აძლევდა ამ წოდებას ხალხი ხელში ჩაეგდო, და თვითონ ერეოდა მათს საქმეში. რა თქმა უნდა, დავითს დიდი ბრძოლა სჭირდებოდა მამა-პაპათაგან შესისხლხორცებულ ჩვეულებასთან, ძლიერთა ფეოდალურ სისასტიკესთან, თვის ურჩ თავადიშვილების თავგასულობასთან. მაშინაც კი ბევრი უსამართლობა ხდებოდა, ძალ-მომრეობა იმის დროსაც სტანჯავდა საწყალს ხალხს.

დავითის სიკვდილს შემდეგ ოთხმა წელმა განვლო, ისე 1857 გლეხები მებატონეებს აუჯანყდნენ. ამის მიზეზით, სანამ მთავრის მემკვიდრე, ნიკოლოზი, სრულიწლოვანი გახდებოდა, სამეგრელოში რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული. ეს აჯანყება ხალხისა ღირსია აღწერისა. უძალმომრეობოდ ხალხმა მხოლოდ უკმაყოფილება განაცხადა და, რადგანაც ჩვეულების თანახმად არ გვექცევიან მებატონენი, სამართალს ვითხოვთო. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და ფიცსა სდებდნენ,—მებატონეებს იმაზე მეტს ნუ მივცემთ, რასაც ჩვენნი მამა-პაპანი აძლევდნენო; ძალ-მომრეობა არავისთან უხმარნიათ, მხოლოდ ზოგიერთ მებატონეებს მოახლენი წაართვეს, და გაათხოვეს, წაართვეს აგრეთვე ხაჯალურები და რკინის ჯაჭვები, რომლითაც ზოგიერთს მებატონეს თავიანთი ურჩი გლეხები ჰყავდათ დაჭერილი. სამეგრელოში ამ დროს ერთის კერძო კაცის ძაფისსახვევ ქარხანაში ერთი ფრანგი-მჭედელი მუშაობდა, რომელიც მოწმე იყო პარიზის ბარიკადებისა, ან, შეიძლება, შიგაც ერია. რომ უთხრეს, სამეგრელოში ხალხმა რევოლუცია მოახდინაო, ყურები სცქვიტა და ბზად იყო მარსელიოზაც კი შემოეძახნა, მაგრამ მალე გაუცუდდა იმედი: დაინახა, რომ რუსის მოხელემ გლეხები დააშოშმინა და ისინიც თავთავიათს სახლებში წავიდნენ და მუშაობას მიჰყვეს ხელი. ფრანგმა ვერ მოითმინა და წამოიძახა: Fichtre! ces gredins-là ne savent pas même faire une révolution! (ფუი, ამ გლახებმა ისიც კი არ იციან, როგორ უნდა რევოლუცია!).

თვითონ ამ საქმის ვითარებამ დააყენა რუსის ადმინისტრაცია სათანადო გზაზე. ვერც ისა ჰქნა, რომ გლეხი ბატონის სრულ თვითნებობისთვის დაემორჩილებინა, ამიტომ რომ ისეთი საქციელი მე-



ძველად გახურებულის შანთით თვალების ამოწვა დამნაშავესთვის.

ტის-მეტი უსამართლობა იქნებოდა; ვერც ის მოახერხა, რომ გლეხი სრულიად დამოუკიდებული გაეხადნა, ამიტომ, რომ მაშინ იტყოდნენ, თვითონ ადმინისტრაცია თანაუგრძნობს აჯანყებულთაო. ადმინისტრაციას ერთად-ერთი, საჩოთირო და ძნელი საშუალება დარჩა; ორს, ერთმანეთს ჩამოცლილ წოდებას ახალი პირობები დაუდო, ე. ი. გლეხებს უთხრა: რასაც ადრე იხდიდით და რაც ჩვეულებისაგან დაკანონებულია, ახლაც აძლიეთ მებატონეთაო. გარდა ამისა, ადმინისტრაციამ იკისრა, როცა კი საჭირო იქნებოდა, მებატონეთა და გლეხთა შორის ატეხილი უთანხმოება გაერჩია და ორივე მხარე მოერიგებინა. ამ წუთიდან ხასიათი ერთისა და მეორისაც ე. ი. ბატონისა და ყმისა, შესამჩნევად გამოიცვალა. გლეხს ბატონთან, რაც ემართა, თავის დროზე მიჰქონდა, მხოლოდ რაც ჩვეულებისაგან იყო დაკანონებული, იმას ერთ ბეწოს არ მოუმატებდა და აღარც დაუკლებდა, და, თუ ვინიცობაა, ბატონი ზედ-მეტს მოსთხოვდა რასმე, გლეხი მაშინათვე რუსის ადმინისტრაციას მიმართავდა ცვა-ფარვისთვის: მებატონემაც, თავის მხრივ, ზედმეტის თხოვნას თავი ანება და მხოლოდ იმასა სცდილობდა, გლეხთან უსიამოვნება რამ არ შემემთხვესო. ბანძასა და ნახუნუში თავადმა ფაღავებმა, ადგილობრივის ადმინისტრაციის ჩაგონებით, შეადგინეს სია, თუ რა და რა ემართათ მათს გლეხებს; ამას ხელი მოაწერეს თვითონ გლეხებმა, და ამის შემდეგ სრული მშვიდობა დამყარდა ბატონთა და გლეხთა შორის. საცა ამგვარი დამოკიდებულება არის, იქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი მეტია მებატონეთა სამამულო იურისდიკციის არსებობის შესახებ.

---

2. მებატონენი თავიანთს თავს მოვალედ სრულებით არა სთვლიან შიმშილობისა ან სხვა უბედურობის დროს გლეხებს მიხედონ და დაეხმარნენ, ხოლო რაკი სამამულო იურიდიკაცია არ არსებობს, პასუხსაც არ აგებენ თავიანთის ქვეშევრდომების ზნეობის და ყოფა-ქცევის შესახებ.

3. ერთის გვარის მებატონეთ და ნათესავებს ხშირად აქვთ ხოლმე მამული გაყოფილი; უმეტეს ნაწილად, საერთოდ, განუყოფელადა ჰფლობენ მიწა-წყალს. ყმები ბატონებს შუა არიან ხოლმე დანაწილებულნი, ხოლო მიწას და ტყეს ერთად სარგებლობენ. ამ ჩვეულებას ხშირად ასეთი ამბავი მოჰყვება ხოლმე შედეგად: ბატონები მრავლდებიან და მათი და მათის ყმების რიცხვი ერთმანეთს დაშორდება ხოლმე. მოხდება ხოლმე, რომ მებატონე ათი კომლია,

ხოლო ყმა—ხუთი: ყოველი კომლი ყმა ვალდებულია ორს კომლს მებატონეს ემსახუროს ხოლმე და სხ. და სხ. ისეც მოხდება, რომ ერთი კომლი ყმა შვიდს ბატონს ემსახურება. მთავარმა დავით დადიანმა დააწესა: ასეთ შემთხვევაში ერთმა მებატონემ სხვა მონაწილე მებატონეთაგან შეისყიდოს საზიარო გლეხი და ამნაირად გლეხი ერთსა იმავე დროს შვიდის ბატონის მსახურებისაგან განთავისუფლებულ იქმნესო.

4. მებატონეს უფლება აქვს დაეპატრონოს მამულს იმ გლეხისას, რომელიც უძეოდ ამოსწყდება, ან და ქალი ან ქალები დარჩება. უკანასკნელ შემთხვევაში ბატონს შეუძლიან ამოწყვეტილ გლეხის ერთ-ერთი ქალი თავის სახლში წაიყვანოს გასაზრდელად, მაგრამ ნათესავების თანხმობაც უნდა ჰქონდეს უეჭველად, და, ქალი სრულიწლოვანი რომ გახდება, ბატონს არ შეუძლიან გათხოვება აღუკრძალოს. სხვა ქალები და ქვრივი ამოწყვეტილის გლეხის მიწაზე სცხოვრობენ, სანამ არ გათხოვდებიან.

5. დასახლებული მამული და უმამულო ყმები მემკვიდრეობით გადადის ბატონებზე, მხოლოდ მემკვიდრედ მამრობითის სქესის და ისიც პირდაპირის შტოის შვილნი არიან. ქალებს არა რჩებათ მემკვიდრეობა, მაგრამ დედ-მამის სიცოცხლეში თუ გათხოვდებიან, მშობლები მზითევში ატანენ ყმებს. ხოლო თუ მებატონეს სიკვდილს შემდეგ არ დარჩა ძე და არც შვილის-შვილი, მისი ქონება მეორე შტოის მემკვიდრეებზე გადადის. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრის ნებართვაა საჭირო, რადგან მთავარს შეუძლიან უძეოდ ამოწყვეტილ ოჯახის მამულს დაეპატრონოს. ვალისთვის მამულს სამუდამოდ ვერავინ ჩამოართმევს, გაყიდვაც იშვიათად მოხდება ხოლმე, ამ შემთხვევას ხალხი ცუდის თვალით უყურებს და სძრახავს; დროებით ჩამორთმევა მამულისა, დაგირავება ხშირად არის ხოლმე და ჩვეულებისგანაც ნება-დართულია. მამულის გადასვლას ერთი კაცის ხელიდან მეორის ხელში ძალა მაშინ-ღა ექნება, როცა ამის შესახებ მთავარი სიმტკიცის ქაღალდს შეადგენს; ამის წესი მთავარმა დავით დადიანმა 1840 წელში შემოიღო.

6. აქ არსებულის სტუმარ-მოყვარეობის ჩვეულების თანახმად მებატონე სულმუდამ მზად არის სახლში შემოუშვას ყველა, ვისაც კი ბინა და მისი მფარველობა სჭირია. დიდ სირცხვილად ითვლება სტუმრის მიუღებლობა. ამ ჩვეულების ძალით გლეხს შეუძლია თავის ბატონის უდიერობას თავი დააღწიოს და მეორე, უფრო შეძლებულ მებატონესთან გადავიდეს. თუ ახალი ბატონი ძლიერი მფარველი შე-

ექმნა, გლეხი თავისს ძველს ადგილს აღარც კი უბრუნდება, რადგან წინანდელ ბატონს გაუჭირდება ძალით დაბრუნება მისი. უფრო სუსტი მებატონენი ძლიერებს ურიგდებიან და, რაკი გლეხის სასყიდელს მიიღებენ, ამას სჯერდებიან და გაქცეულ გლეხების დაბრუნებას არ გამოეკიდებიან ხოლმე. ამნაირევე ჩვეულება აქვთ მეზობელ მხარეებში—სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ამიტომ ამ მხარეებში ხშირად მირბიან ხოლმე სამეგრელოს გლეხები. განაწყენებული მეგრელი გლეხი იქეთკენ კიდევ იმიტომ მირბის ისეთის სიადვილით, რომ იქაური მიწა ორჯერ მეტად ნაყოფიერია სამეგრელოსაზე და არც ბატონ-ყმობაა იქა. ბატონ-ყმობის მაგივრად თავისუფალი, პირობებზე დაფუძნებული, დამოკიდებულებაა მიწის პატრონსა და იჯარადარ-გლეხს შორის. გლეხს, როცა უნდა, მაშინ შეუძლია ერთს მებატონეს თავი დაანებოს და სხვასთან გადავიდეს. ამ ჯურის გლეხებს სამურზაყანო-აფხაზეთში **ფიოში** ჰქვიან. საზოგადოდ, შეგრელ გლეხის შესახებ ის ითქმის, რომ გადასვლა-გადმოსვლა მეტად ეადვილება. აქ გლეხს ერთი ფიცრული სახლი, ან მოწნული ფაცხა უდგას და ორი, სამი მოწნულივე სასიმინდე; ეზოს, სადაც ესენი დგანან, შემოვლებული აქვს ნარ-ეკალა, რომელიც იმ ზომამდე გაიზრდება ხოლმე, რომ ვერც კაცი გაატანს და ვეღარც მხეცი. სახლში მხოლოდ კარები და ჩარჩოებია წაბლის სქელ ფიცრებისა, თორემ სხვა მასალა, რაც მოხვდებათ, იმ ხისაა, ხოლო თვითონ სახლს ან ისლით ხურავენ, ან-და მუხის ყავრით. ამ მასალის შოვნა ყველგან შეიძლება. ამიტომ გლეხი წაბლის ფიცრებს,—სახლის თავი-და-თავ მასალას,—ურემზე დაუდებს და ოჯახიან-საქონლიანათ სამურზაყანოსა ან აფხაზეთში მიდის. მთელი მოსახლეობა მისი ურემზე ეტევა და სანამ ასე ეადვილება მისი გადატანა, ერთ ადგილს იმ ზომამდე არ აფასებს და აღარც სცდილობს მიწაზე ფეხის მოკიდებას, დაფუძნებას და ბინადრობას.

7. სასოფლო საზოგადოებას სამეგრელოში ვერ იპოვით; ესეთი საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელიცაა იქ, სადაც არ არის მამულის საერთო მფლობელობა, ერთგვარობა სოფლის მცხოვრებთა და მათის ინტერესების ერთიანობა. ყოველი გლეხი თავისთვის, განცალკევებულადა სცხოვრობს, თავის მიწასა ხნავს და სთესავს და მისსა და მეზობელს შუა ისეთი ღობეა გაკეთებული, თითქო ერთმანეთის მტრები იყვნენო. მცხოვრებთა საზოგადოებრივი უფლებანი ერთიმეორეს არა ჰგვანან და მათს შორის გაურღვეველი კედელია აღმართული.—რა უნდა ჰქონდეს საერთო აზატსა და სამსახურს, ხოლო

უკანასკნელსა და გლეხს—ერთმანეთთან!.. მოჯალაბეთა შესახებ, თუ გნებავთ, ნურას ვიტყვით: ერთი თითქმის თავისუფლადა სცხოვრობს, მდიდრულად, მეორეს კი-კისერზე ათასი გადასახადი აწევს მებატონისა, ჰკვნესის და გაჩენის დღეს ᲬᲬყევლის. მსახურისა და აზატის შეურაცყოფისა და სისხლისათვის ადათისა და ვახტანგ მეფის კანონის ძალით დამნაშავეს 24 თუმანი უნდა გადახდეს, გლეხისათვის კი—ამის ნახევარი; ამიტომ გლეხი მსახურის ნახევარი კაცია. ასეთს, ერთმანეთთან განცალკევებულ მკვიდრთა შორის საერთო პასუხისგება და თავდებობა განა შეიძლება?!.. ეს უერთიანობა სოფლის მცხოვრებთა და განცალკევება მოსახლეობისა დიდს გასაჭირში აგდებს ხოლმე სოფლის პოლიციას. სამეგრელო დაუსრულებელი ლაბირინთრა ტყეებისა და ბაღებისა, სადაც ხშირად ადგილობრივს მკვიდრსაც კი გაუჭირდება შეუმცდარათ გზის ჩვენება. და საცა გზის ნახვა სჭირს, იქ, რა გასაკვირველია, ქურდობა ისეთის სიადვილითა ხდებოდეს!

8. გლეხი მებატონის მიწაზე მიკრულია, ეს მიწა მისი საკუთრებაა და იურიდიულად ამ მიწას მაშინ შორდება, როცა სრულებით თავისუფლდება და თავს იხსნის მებატონისაგან. მაგრამ გლეხი ფაქტიურად რომ პატრონია მიწისა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იურიდიულადაც ამავე გლეხს ეკუთვნოდეს მიწა. ამ გარემოების მიზეზი ორი წესია: წესი გლეხის მიერ მიწაზე დამყარებისა და წესი—ღალისა და ბეგრის გადახდევინებისა. მაგალითით დავასურათოთ ჩვენი ნათქვამი. ვთქვათ, მებატონემ თავის გლეხს თორმეტი ქცევა მიწა მიუზომა, ზედ დაამყარა და ყოველწლიურად ხარკი დაადო, რომელიც, ფულად რომ ვაქციოთ, ვთქვათ, ხუთ მანეთს უდრის. რამდენსამე წელს უკან გლეხის ოჯახმა იმრავლა და ერთ სახლში ვერ მოთავსდა, მაშინ ერთი კომლი რრ, სამ კომლად გაიყო და კომლად გაყოფასთან ერთად მიწაც გაიყვეს. ყოველ ახალ კომლს ოთხ-ოთხი ქცევა ერგო და სამივე კომლი გაყოფას შემდეგ პირველს ორ წელიწადს, რომელიც საშეღავათო წლებად ითვლება, მებატონეს იმავე ხუთს მანეთს აძლევს, რასაც თავდაპირველად ერთი გაუყოფელი კომლი იხდიდა; მესამე წელიწადზე ყოველი ახალი კომლი ხუთ-ხუთ მანეთს იხდის, ასე რომ მებატონეს იმ თორმეტ ქცევიდან ახლა 15 მანეთი შემოუდის. ვენახზე კი ამ წესით არ ახდევინებდენ ხარკს.—ღვინის გადასახადი იმნაირადვე ნაწილდება, როგორადაც ოჯახი კომლებად იყოფა, და სხვა გადასახადებივით არა მრავლდება. მიწა გლეხის მემკვიდრეებსა რჩება და მემკვიდრეების გაყოფასთან

ერთად ისიც გაიყოფა. ხარკი კი ისევ ისა რჩება, რაც უნდა ცოტა მიწა ერგოს თითო კომლს. ამასთან, განსაზღვრული არ არის, თუ რის ნაკლები არ უნდა ჰქონდეს გლეხს მიწა და თუ აკლია მიწა, მებატონე მოვალეა თუ არა, დადებული რიცხვი ქცევა მისცეს განაყარს კომლს, ან და რაკი მიწა მცირედი ექნება, გადასახადიც უნდა შეუმციროს, თუ არა. ადათისა და ჩვეულების ძალით, მებატონე თავისს თავის თავს მოვალედ არა სთვლის—გლეხებს, რაც ერთხელ მისცა, იმაზე მეტი მიუზომოს მიწა.

ამ წესწყობილების მიზეზით გლეხებს ხშირად არა ჰყოფნის ხოლმე მიწა; არ შეუძლიანთ არამც თუ გადასახადი აძლიონ მებატონეს, არამედ ოჯახი არჩინონ. ამიტომ, იძულებულნი არიან დიდმამულიან მებატონეთ მიმართონ ხოლმე, მიწა გამოართვან, სახნავ-სათესად და მოსავლის მეათედი (**მოდი**) აძლიონ. გლეხი, თავის ბატონის ნებართვით, დაქირავებულ მიწაზე გადადის და იურიდიულად პირველ ბატონის კუთვნილებადა რჩება, ხოლო ფაქტიურად—უვადო მოიჯარადრე ხდება მეორე ბატონისა. ამ შემთხვევაში გლეხი ორ ბატონზეა დამოკიდებული და ხშირად მოხდება, რომ იჯარა, ნაქირავებ მიწისთვის რომ იხდის, ნაკლებია იმ გადასახადზე, რომელსაც ძირეულ მებატონეს აძლევს. ისიც მოხდება ხოლმე, რომ გლეხი ქირავობის მაგივრად მთლად ყიდულობს მიწას, მაშინ თვითონ მესაკუთრედ იქცევა, მაგრამ მოვალე გლეხად მაინცა რჩება.

ზემონათქვამიდან შემდეგი დავასკვნათ: **გადასახადი სამეგრელოს გლეხებისა ადათითა და ჩვეულებით არის დაწესებული და განსაზღვრული, გარნა ამ გადასახადის რაოდენობა დამოკიდებული არ არის სიმცირე-სიბევრეზე იმ მამულებისა, რომელსაც მებატონე თავისს გლეხს აძლევს სამუშაოდ, ამიტომ ამ გადასახადს პირადის შეხედულებით შემოღებულის გადასახადის ხასიათი აქვს.**

რა თქმა უნდა, ამნაირი ამბავი არ არის იქ, სადაც მებატონეს მიწა-წყალი ბევრი აქვს. დიდმამულიან მებატონის მიწაზე დამყარებულ გლეხის გადასახადი არამც თუ შეუფერებელია სამუშაოდ მიცემულ მამულის რაოდენობასთან, პირიქით, გლეხს იმდენი მიწა აქვს, რომ ერთს კი არა, რამდენსამე კომლსა ჰყოფნის და თითქმის მდიდრულადაც კი აცხოვრებს. სოფ. კოტიანეთში 6 კომლ გლეხს, ბევარად გოგიებს, 3,000 ქცევაზე მეტი აქვთ. ერთი მესამედი ამ მიწისა ტყით არის დაფარული, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი სახნავ-სათესად არის გაშვებული. მაგრამ ასეთი დიდმამულიანი მებატონენი ბევრნი არ არიან. საკმარისია აღვნიშნოთ ვრცელი და ნა-

ყოფიერი მიწები თავადთ დადიანთა სოფ. ნოქალაქევსა, აბედათსა და ჯოლევში, რომლებსაც სხვა და სხვა სოფლების მებატონეთა გლეხები სამუშაოდ იღებენ და პატრონებს მოდს (მოსავლის მეათედს) აძლევენ.

9. მთავარმა დავით დადიანმა 1840 წელს აღკრძალა გლეხთა ოჯახების დანაწილება, როცა ესენი ერთიდან მეორეს ხელში გადადიოდენ; აკრძალა აგრეთვე უმამულოდ გაყიდვა გლეხებისა. ეს კანონი მოჯალაბეთ არ შეეხებოდა.

———

10. გლეხს უფლება აქვს თავის სახელობაზე მიწა იყიდოს და ისარგებლოს, როგორც თავისი საკუთრება. ხშირად თვითონ მემამულე, გლეხის მებატონე, მიჰყიდის ხოლმე ამ გლეხს მამულს და ნასყიდობის ქაღალდს აძლევს. ამით მებატონე აღიარებს, რომ გლეხს უძრავ ქონების შეძენისა და პატრონობის ნება აქვს. გლეხის უძრავ ქონებას მაშინდელი სამართალი იფარავდა. ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია დაცული წინანდელ საქმეებში. დასასრულ, ყველაზე უკეთეს დასამტკიცებელ საბუთად იმისა, რომ მთავარმა დავით დადიანმა აღიარა ყმების უფლება მამულის შეძენისა, ის გარემოებაც არის, რომ როცა მღვდლები ბატონ-ყმურ მდგომარეობისაგან გაანთავისუფლეს, მათ მიერ კეთილ-შეძენილი მამული მათვე შეანარჩუნა მთავარმა.

———

11. მებატონეს შეუძლია თავისი ყმა აჰყაროს ერთი ადგილიდან და მეორე ადგილზე დაასახლოს, მხოლოდ საჭიროა ორთავე მხარის ნება-ყოფლობა და თანხმობა. ამ შემთხვევაში პირველ ორ წელიწადს გლეხს ის შეღავათი ეძლევა, რომ გადასახადისაგან თავისუფალია, მერე კი იმავე გადასახადს იხდის, რასაც წინანდელ მამულზე ყოფნის დროს იხდიდა. ეს წესი ისეთი ზედ-მიწევნილებით არის დაცული, რომ ორს, ერთმანეთზე დაშორებულ სოფელბში ორი ერთი მოგვარე მეკომური გლეხი რომ ესახლოს, გარდასახადი ერთსაც ის ექნება, რაც მეორესა აქვს. თუ მებატონემ მეტი მოსთხოვა, ყმა ეტყვის: ჩემი მოგვარე მავანს სოფელში ამდენსავე იხდის და მე მეტი რისთვის გადავიხადოვო. ასე რომ გლეხი არ ივიწყებს—სად დაიბადა და სად გადმოსახლდა.

———

აჰა, ის ფორმები, რა ფორმებშიაც გამოიხატა ბატონყმობა სამეგრელოში; ეს ფორმები საზოგადო ცხოვრებისა დაწერილი არ

ყოფილა, კანონად არ ქცეულა, სული ედგა და არსებობდა მხოლოდ ადათისა და ჩვეულების ძალით.

ბატონთა და ყმათა შორის დამოკიდებულება განსაზღვრულია. ბატონი მთელი თავისი დღენი სხვისის ნაოფლარითა და ნაწვავ-ნადაგითა სცხოვრობს, თვითონ აღარ მუშაობს და გონივრული საოჯახო მუშაობა შეუძლებლადაც მიაჩნია. მისთა ქვეშევრდომთა-ყმათა ხელნი ერთს რომელსამე საქმეს არიან მიჩვეულნი და შეუძლებელია სხვა რამე გააკეთონ თვინიერ იმ საქმისა, რაც ერთხელვე უკეთებიათ. ერთხელ შემთხვევა მოგვეცა დაგვენახა, როგორ მოჰქონდათ სამზარეულოდან სადილი სხვა-და-სხვა ქოთნებით 13 კაცს, ძონძებში გახვეულებს. ძალა-უნებურად გავიკვირვე,—ორის კაცის მოსარევ საქმეს ცამეტი კაცი რატომ აკეთებს-მეთქი?! ამაზე მებატონემ ამოოხვრით მიპასუხა: ჩემი **სამზარეულოა**, ესე იგი მზარეულებია, ცამეტმა კაცმა მოიყარა თავი და საჭმლის კეთების მეტი არაფერი უნდათ; მათი რჩენა თვეში ხუთ თუმანზე ნაკლები არ მიჯდება; თუ სახლიდან დავითხოვე, ამის შემდეგ სულ არაფერს გამიკეთებენ, ამიტომ იძულებული ვარ ძალაუნებურად შევინახოვო.

გლეხი მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც მისი მამა-პაპა შვრებოდა: სთესავს სიმინდს, პურს, ღომს, მაგრამ არაფრის გულისათვის არ მოჰკიდებს ხელს სხვა სამუშაოს, ამიტომ რომ ეს სხვა სამუშაო ახალ ბეგრად დაედება. რა თქმა უნდა, შეიძლება, მებატონემ უტყვ მოჯალაბეს, რასაც ეტყვის, ყველაფერი გააკეთებინოს, მაგრამ ასეთ ყმათა რიცხვი მცირედია: მაღალ წოდებას მოუწევს 639 კომლი მოჯალაბე, დანარჩენი 351 კომლი გლეხებს ეკუთვნის. ამიტომ, კიდეც კიდეც რომ მოინდომოს მებატონემ მოჯალაბეთა შემწეობით თავის ყოფა-ცხოვრების გამოცვლა საუკეთესოდ, მაინც ვერას გახდება. ერთმა თავადმა მოინდომა ბრინჯი მოეყვანა, მაგრამ ყმები პირდაპირ უარზე დადგნენ: ამ მცენარეს არ მოვუვლითო. ასე რომ მებატონე იძულებული შეიქმნა მუშები ექირავებინა. მაგრამ მუშების ქირაობა ყველას არ შეუძლიან, რადგან აქაურს მებატონეებს ფული სულ ცოტა აქვთ, გარდასახადს გლეხები ბუნებრივის ნაწარმოებით იხდიან, და რაც შემოუვათ, თვითონვე ხარჯავენ მებატონენი, და გასავალიც არა აქვთ.

მეორე მხრით გლეხი თითქო დამონებული არ არის და თითქო სულ იმასა სცდილობს.—ბატონსა და იმას შუა განსაზღვრული დამოკიდებულება იყოსო, მაგრამ თავის დღეში არ შეუძლია უკეთეს დღეში იქნეს, ერთთავად დავიდარაბაშია თავისს ბატონთან. დღეს,

ვთქვათ, კარგად არის ბატონთან. ერთმანეთთან სადავო არაფერი აქვსთ, თანხმობითა სცხოვრობენ და ერთმანეთს ეხმარებიან, მაგრამ, ხვალ ერთბაშად ხუშტური მოუვლის ბატონს, მოინდომებს გლეხის გაკრეჭას, tailler d'en haut et d'en bas, როგორც ფრანგების სუზერენები ამბობდენ ხოლმე, და მყისვე, დაუფიქრებლად, შეუდგება გულისნადების აღსრულებას. ვინ იცის, რამდენი საშუალება არა აქვს მოგონებული გლეხის გასაფცქვნელად!.. ამ შემთხვევაში ბატონი არც თუ მკაცრად და უკმეხად იქცევა, არა, პირიქით, ალერსითა და ფერებით გადის ფონს: მოვა გლეხთან და იმის სახლში ერთ კვირამდე იცხოვრებს, ან, ეტყვის, ჯარიმა უნდა გადაგხდესო და საქონელს წაართმევს, ან კიდევ, ვითომ უცაბედათ მომივიდაო და მიწას ჩამოუჭრის და გლეხის მეზობელს მიჰყიდის და მრავ. სხვ. ათას ამ გვარ შარს მოსდებს. გლეხი ერთთავად შიშშია და ამიტომ, სიამოვნებით ანებებს თავს თავის სამშობლოს და სამუშაოდ კახეთში მიდის. იქ შრომის სასყიდელს უკლებლივ შოულობს, შეუძლიან ფული მოაგროვოს და ბატონისაგან თავი დაიხსნას სამუდამოდ.

—

ეჭვი არ არის, რომ 8 ნოემბერი 1864 წლისა [1]) ახალის ხანის დღეა კავკასიის იმ ნაწილებისათვის, სადაც იმ დღემდე ბატონ-ყმობა არსებობდა; იგივე მნიშვნელობა აქვს იმ დღეს იმ კუთხეებისათვისაც, სადაც ეს რეფორმა უეჭველად უნდა მომხდარიყო. ამათს რიცხვში იყო სამეგრელოცა. ათის, თხუთმეტის წლის შემდეგ კაცი ველარც კი იცნობს სამეგრელოს,—ისე გადასხვაფერდება მისი შინაური ცხოვრება. ახალს სამიწაწყლო პირობებს, ახალს წესებს წოდებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულებისას, ახალს სასოფლო სასამართლოების წესწყობილებას—ყველა ამ უმთავრესს საფუძველს საგლეხო რეფორმისას—ის მოჰყვება, რომ თავს წამოჰყოფს ახალი, ხელუხლებელი ძალ-ღონე ქვეყნისა და სწორ ეკონომიურ განვითარების გზას დაადგება. რა თქმა უნდა, მაღალი წოდება დროებით შეწუხდება, მსხვერპლის შეწირვა მოუხდება, მაგრამ ჩვენის აზრით, შესწუხდება მხოლოდ უმცირესობა შეძლებულ მემამულეთა, რომელთა ცხოვრება, მსგავსად რუსეთის მებატონეთა ცხოვრებისა, ძირითადათ გამოიცვლება ყოველ მხრივ. ამათ ხელი უნდა აიღონ იმ ცხოვრებაზე, როგორითაც მანამდე ცხოვრობდნენ, მსგავსად მამა-პაპათა, მუქთა-ხორებით გარშემოხვეულნი. და ეს, რა თქმა უნდა, გაუჭირდებათ.—

[1]) ამ დღეს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ყმების განთავისუფლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში.

„თუ ყმები არ მეყოლება,—ჰგოდებს სამეგრელოს შეძლებული მემამულე, სულ დავიღუპები: არც ხვნა შემიძლია, არც ხის მოჭრა, აღარც საჭმლის კეთება,—რა მეშველება?“ რა თქმა უნდა, მისი გოდება ცოტათი გაზვიადებულია, იმდენათ საშიშო არ იქნება მისი მდგომარეობა, რომ ვერ შეეთვისოს; მაგრამ რაკი მუშაობას შეუჩვევარია და მომზადებული არ არის მომავალ ცხოვრებისათვის, მწარე დღე ბევრი დაადგება. მაგრამ, ვიმეორებთ, შესწუხდება მხოლოდ უმცირესობა მცონარა-მდიდრებისა, ხოლო უმრავლესობა მებატონეთა კი, აზნაურები, რომელნიც ისე განებივრებულნი არ არიან, ძალიან ადვილად აიღებს ხელს მუქთა-ხორულ ჩვეულებაზე და შეუდგება მრეწველობას და მოსაგებ საქმის კეთებას, სადაც კაცს თავის ღონისა და გამჭრიახობის იმედი-ღა უნდა ჰქონდეს.

—

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით სამეგრელოში სასწავლებლები ძალიან ცოტაა. მხოლოდ მარტვილშია ერთი სასწავლებელი, სადაც სწავლა-განათლებას ღებულობენ მიმავალნი სულიერნი მამანი სამეგრელოში. ამ სასწავლებელში მეტად მწირს და და რუსულის ენის ნახევრად საეკკლესიო ცოდნას ღებულობენ თავად-აზნაურთა შვილები. ამას უნდა მუვუმატოთ სამხედრო სკოლა, ახლახან ზუგდიდში გახსნილი, რომელიც სამეგრელოს უნივერსიტეტად მიაჩნიათ. სწავლის სურვილი კი დიდი აქვთ აქაურებს, ისე დიდი, რომ სოფლებში აქა-იქ თავისთავად გაიხსნა სკოლები, სადაც მასწავლებლებად თითქმის უვიცნი არიან. ერთ ამგვარ სკოლათაგანში ჩვენ ერთად-ერთი წიგნი შეგვხვდა რუსული,—„სამხედრო დებულება“ და ამ წიგნის შემწეობით ბავშვების ხროვა რუსულს კითხვასა სწავლობდენ. მთავრობა, რა თქმა უნდა, ეცდება, რამდენადაც კი შეიძლება, გაამრავლოს რიცხვი სკოლათა, რომლებიც ასე საჭიროა სწავლას მოწყურებულ ხალხისათვის ამ საზოგადო რეფორმის დროს. სასურველია აგრეთვე, რომ თუ სამეგრელოს თავად-აზნაურობამ გლეხების განთავისუფლებისათვის ფული მიიღო, ერთი ნაწილი ამ ფულისა, აღმოსავლეთ საქართველოის თავად-აზნაურობის მსგავსად, სკოლების გასახსნელად გადასდოს; სასურველია, არ დაივიწყონ ის გარემოება, რომ ამ დაწესებულებათა გახსნა-შენახვა მარტო მთავრობას არ უნდა აწვეს კისერზე, არამედ საზოგადოებამ თვით უნდა ითავოს და გაუძღვეს ასეთ საქმეს.

—

მაგრამ ასე იქნება, თუ ისე, ოცდაათ წელს უკან ეს მხარე, ახლა რომ ტყითა და ხშირი გვიმრით არის დაფარული, ეს მხარე, ზღვის პირზე ერთიანს, გაუვალს საფლობებს რომ წარმოადგენს, ეს მხარე, რომელიც ჰიპპოკრატის დროიდან ციებ-ცხელების ბუდედ ითვლებოდა,—სრულიად გამოიცვლება, გადასხვაფერდება. უცხოელები გარედან დიდძალ ფულს შემოიტანენ და მისის ძალუმის ნიადაგის დასამუშავებლად დახარჯავენ. ეს ფული მხოლოდ იმას ელოდება, რომ კავკასია დამორჩილებულ იქნას და ადგილობრივი მკვიდრი ფეოდალურ წესწყობილების უღლიდან განთავისუფლდეს.

ტფილისი,
მაისის 21, 1865 წ.

სამეგრელოს წარსულიდან

I

ღვინობისთვე საქართველოს შავიზღვის ნაპირის ნაწილში საუკეთესო დროა წლისა. ფოთოლი ხეებიდან ცვენას მაშინ იწყებს; მწვანე სამოსლით დაფარული მხარე შიშვლდება; მკვიდრთა ყველა მხარეს გაფანტული სახლები, რომელიც ზაფხულობით არც კი სჩანს, თავისებურის სიმშვენიერით თავს გამოჰყოფს და ხილული ხდება ხოლმე. მათს მახლობლად ადამიანს თვალწინ გადაეშლება გაჭრილი ყანები, საიდანაც მშრომელმა გლეხმა უხვად მოიწია სიმინდი, ღომი, ჰური. ცა მოწმენდილია, ჰაერი კიდევ იმ ზომამდე გამჭვირვალე, რომ ადამიანის თვალს შორის მანძილიდან შეუძლია დაინახოს დაფარული მწვერვალები მთათა და მათზე გაარჩიოს სინათლე და ჩრდილი. ჰაერში მაცოცხლებელს, სულისჩამდგმელს რასმე ჰგრძნობს ადამიანი, სითბო ზომიერია და მზე მხოლოდ შუადღისას გამოსტყორცნის ოდნავ, მსუბუქად მკბენარე სხივს და ამით-ღა მოგაგონებსთ წარსულ ზაფხულის მწვავე სიცხეებს.

მას აქეთ ბევრმა წელიწადმა განვლო, სახელდობრ 1882 წელს, სწორედ შემოდგომას, სამეგრელოს ფართე ვაკეზე, რომელსაც ოდიშს ეძახიან, მდინარე ტეხურისა და აბაშას შუა, ორი ცხენოსანი ერთიმეორეს პირდაპირ დადგა და ხმა-მაღლა ერთმანერთს მეგრულად გამოელაპარაკა:

— სწორე გითხრა, ჩემო კოსტა, მუსტაშა უკეთესი ხყო, მეგონა. დახე, როგორ მოვუტყუებივართ იმ ფრანგს!.. ცოტა ხეირიანი რომ ყოფილიყო, ის კურდღელი როგორ უნდა გაეშვა? ძაღლი კი არა, კაცი ხელით დაიჭერდა, ისე ნელა მირბოდა.

— რასა ბრძანებთ, ბატონო! ფრანგულ მწევარს სად შეუძლია ჩვენებური კურდღელი დაიჭიროს! აკი მაშინათვე მოგახსენეთ— ასე იქნება-მეთქი!.

— ღმერთი და რაც წმიდანებია, სულ ციდან ჩამოიყვანა, მეფიცებოდა—ასეთს მწევარს მთელს დუნიაზე ვერ იპოვითო!

— ესე იგი, ასეთს გლახას! ხა, ხა, ხა!.. აბა ჩვენს მერცხალას უყურეთ, ბატონო, რა ჰქნას, როცა ყურდღელს გამოეკიდება: ფრანგის მწევარს ზედაც არ შეხედავთ, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს!

ერთი მოლაპარაკე ცხენოსანთაგანი ასე ორმოცდაათის წლისა იქნებოდა, ჩასუქებული, საკმაოდ მაღალის ტანისა, სახის მსხვილ ნაკვთებიანი. დიდი, შავი თვალები, კეხიანი ცხვირი, გრძელი ჭაღარაშერთული ულვაშები, ნაოჭებშეპარული შუბლი მის სახეს სიმშვიდის, დიდებულობის და გულკეთილობის გამომეტყველებას აძლევდა. თავთ ეხურა განიერ-კალთებიანი ნაბდის ქუდი. როცა მოიხადა, გამოუჩნდა მელოტი თავი, რომელსაც ჭაღარაშერთული თმა რგოლივით უვლიდა გარშემო. ტანთ ეცვა იისფერი ხავერდის კაბა, კვერნის ტყავ-ამოკრული, კაბაზე ქამარი ერტყა და ქამარზე კიდევ ვერცხლით მოჭედილი სატევარი ეკიდა. კაბას ზემოდან შავი ჩოხა ეცვა, ჩოხის გულზე თეთრის ძვლის მასრები ჰქონდა გაკეთებული; თითბრის ღილებით შესაკვრელი პაჭიჭები ფეხთ ეცვა, ხოლო პაჭიჭებზე ამოკრული ჰქონდა მოხამუზი.

ეს მხედარი იყო ბეკო საბახთარი, პირდაპირი შთამომავალი იმ საბახთარის, რომლის სტუარტმოყვარეობა ორასის წლის წინად ალმოსავლეთის განთქმულმა მოგზაურმა ფრანგმა შარდენმა აღწერა. წმინდა სისხლის ყარაბაღულ ოქროსფერ ულაყზე იჯდა. მარცხენა ხელში თავადს ორი წკეპლა ეჭირა, თასმით ერთმანეთზე გადაბმული. ეს წკეპლა თოფის ზუმბა იყო, პატრონი ამ ზუმბას ხელიდან არ იშორებდა, რადგან ზუმბაც იყო და, როცა უნდოდა, წკეპლაცა.

მეორე მხედარს, ასე ოცდაათის წლის თეთრგვრემანს ყმაწვილს კაცს, მეტად ცოცხალის სახის პატრონს, ჟღალი სქელი ღართი ეცვა. გრუზა, გრძელი, ხუჭუჭა, ქვევიდან რგვლად შეკრეჭილი თმა დაფარული ჰქონდა ფაფანაკით. ამ ნაირ სუბუქ თავსახურავის ხმარება შეუძლია მხოლოდ ხშირ თმის პატრონს, რომელსაც კაცი სამხრეთის ძეთა შორის ხშირად შეხვდება.

ქერა მხედარი თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი. სატევრისა და ხმლის გარდა ზურგზე გადაგდებული ჰქონდა ორი თოფი, ტყავის ბუდეებიანი, მარჯვენა მხარეს ქამარზე დამბაჩა ეკიდა, მარცხენა მხარეს—გრძელი ქისა, რომლიდანაც თავი ამოეყო ჩიბუხს. აშკარად ეტყობოდა, რომ ყმაწვილ კაცს წამოღებული ჰქონდა როგორც თავისი, ისე ბატონის იარაღი. მხედარი თავად ბეკოს ყმა იყო. სახელად კოსტა ერქვა. პატარა ზერდაგ ცხენზე იჯდა, მარჯვენა ხელით ორი მწევარი ეჭირა—ფრანგული მუსტაშა და შინგაზრდილი—მერცხალა.

მხედრებს მალე სხვებიც მოემატნენ: იქით-აქეთ ჯაგებიდან თავი გამოჰყო მინადირეთა გროვამ. სხვა და სხვა ფერის ტანისა-

შოსი ეცვათ: ყვითელი, ნაცრისფერი, თეთრი; ყველა კოსტას ტანი-ტანისამოსის მგზავსად იყო შეკერილი. ზოგს ძაღლები ეჭირა, ზოგს —დახოცილი ყურდღელი. ცხენოსანი და ქვეითი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთი-მეორეში ირეოდა.

ერთმა ბიჭმა, სახეგაბრწყინებულმა, მწევრის დაჭერილი და გაგუდული კურდღელი თავად ბეკოს ცხენის ფეხებთან დასდო.

— ყოჩაღ, ჩემო პეხუ!—უთხრა თავადმა.—შენმა ფრიალამ დაიჭირა?

— დიაღ, ბატონო, აი ამათა ჰკითხეთ, როგორ უყელა ყურდღელს; ყურდღელმა მარჯვნივ გადაუხვია, მაგრამ გვიანლა იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადახტა და ყურდღელი გადააკოტრიალა კიდეცა...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ეტყობა, ჩვენი მწევრები მართლა კარგები..

მაგრამ ბეკომ ვერ მოასწრო სიტყვა გაეთავებინა, ისე რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გაისმა წკრიალა ხმა მეორე ბიჭისა. მონადირენი მიხვდნენ, რასაც იძახდა ბიჭი...

ახალი ყურდღელი გამოაგდეს. საინტერესო იყო ამ დროს ეს თავმოყრილი ხალხი. ყველა რაღაც გამოურკვეველმა გრძნობამ აიტანა. მონადირეთ და მათთან ერთად თავად ბეკოს თვალები აენთოთ, დაავიწყდათ ყველაფერი და შურდულივით წინ გაქანდენ; მწევრები და მონადირენი—ყველანი ერთად საცოდავ ყურდღელს გამოუდგნენ. მიდამო საშინელმა, ყურთა-სმენის წამღებმა ყვირილმა მოიცვა. ეს-ღა ისმოდა: „არიქა! არიქა! არიქა!“..

მინდორს იქით სოფელი იწყებოდა და ყურდღელიც სწორედ სოფელში შევარდა. მთელი სოფელი, დიდი და პატარა ფეხზე დადგა, ყველა ყვირილით გამოუდგა ცხოველს. კურდღელმა ბუჩქებში შეჰყო თავი, და ორომტრიალი კარგა-ხანს გაგრძელდა, რადგან დამალულ ყუდღლის დაჭერა არც მაგრე ადვილი იყო. ბოლოს მაინც გამარჯვება კოსტას დარჩა—მისმა მერცხალამ ამხელად თავი ისახელა.

ხალხი და ძაღლები დაილალნენ და დასვენება ეჭირებოდათ. თავადი ქვაზე ჩამოჯდა დიდ კაკლის ძირას; სხვები ზმორებით შემოეხვივნენ და დაჭერილ ყურდღლის შესახებ გააბეს ლაპარაკი. ამ დროს რამდენიმე ცხენოსანიც მოვიდა, რომელთაც ნადირობაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

ახალმოსულთა წინ მწვანე ანაფორიანი მღვდელი იდგა. გრძელი ჭაღარა წვერი გულზე ეყარა, ჭროღა, ჭკვიანი თვალები ჯერ ისევ შავ წარბებს ქვემოდან სახეს უმშვენებდა. მღვდელს უკან მის-

დევდა პატარა კაცუნია, ასე ოცდახუთი წლისა. ტანთ ეცვა ნახევრად რუს მოხელის ტანისამოსი: ხავერდის არშიანი და კოკარდიანი ქუდი, გალსტუხი და სირმა-გადაკერებული ღართი. ახლადმისულთაგანი ერთი თავადის მოძღვარი იყო, ხოლო მეორე—მდივანი. მათ მისდევდენ დანარჩენნი კარის-კაცნი და მსახურნი. მათს შორის ერთს ხელზე ქორი ეჯდა, ხოხობის საჭერად გაწვრთნილი.

ახლადმოსულნი კაკლის ხეზე ცოტა მოშორებით გაჩერდენ, ჩამოხტენ ცხენებიდან, მიუახლოვდენ თავადს და მოწიწებით სალამი მისცეს. იმანაც ტკბილად თავი დაუკრა.

— გეტყობათ, კარგად გინადირნიათ, ბატონო, – მოახსენა მღვდელმა.

— არა უშავს-რა. თქვენც კარგ დროზე მოხვედით. აბა, გზას უნდა გავუდგეთ, ბინამდე კიდევ კარგა მანძილია. ნეტა, რომელი საათი იქნება?—ჰკითხა თავადმა თავის მდივანს.

მდივანმა ოსმალური საათი ამოიღო უბიდან და მოახსენა,—დაღამებამდე ორი საათი კიდევ არისო.

— პა, პა, პა!.. როგორ დაგვგვიანებია! შეიძლება, ღამემაც გვისწროს გზაში. აბა, ჩქარა გავუდგეთ გზას!

მწევრები და მონადირეები ამ სიტყვების გაგონებაზე ყველანი ზეზე წამოიჭრნენ და რამდენსამე წუთს შემდეგ ერთს სასოფლო გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს, სულ უკანასკნელი, ოცდაათის კაცისაგან შემდგარი ქარავანი დაადგა.

II

თავად ბეკო საბახთარს აუარებელი კომლი ყმა ჰყავდა აზნაურებისა და გლეხებისა. თავის მხარეში განთქმულ და გავლენიან კაცად ითვლებოდა. მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისათვის სიბერემდე იოტის ოდენადაც არ უღალატნია. დაიბადა თუ არა, ძიძას მისცეს, აფხაზეთში. ძიძა სამ წელიწადს აწოვებდა ძუძუს, ამის შემდეგ ორს წელიწადს კიდევ ისე ჰყვანდა სახლში. მერე საბავშვო უნაგირით შეკაზმულ ცხენზე შესვეს. თან გამოჰყვა ძიძა და მისი ნათესავები და მამის სახლში მოიყვანეს. მამამ შვილის გასაზრდელი ძიძას თხუთმეტი ცხენი, ოცდაათი ძროხა და ორი კომლი მოჯალაბე აჩუქა; მთელი ეს ჯოგი მოჯალაბიანად აფხაზეთის გზას გაუდგა. ხოლო თავადის ყრმას ახალი ხანა დაუდგა აღზრდისა.

მშობელთა სახლში მთელი ნახევარის წლის განმავლობაში ბეკო მგელივით სულ ტყისკენ იყურებოდა, არავის ეკარებოდა. უნდა

გადასჩვეოდა ძიძას, ძიძიშვილებთან თამაშობას და შესჩვეოდა დედ-მამას; აფხაზურ ენის მაგიერ მეგრული უნდა ესწავლნა. საბედნიეროდ, საქმე კარგად წავიდა და შვიდის წლის ბეკო მამამ თავის შინაურ მდივანს, ბერუკა ჯიქიას, მიაბარა წერა-კითხვის სასწავლებლად.

მდივანი ბეკოს მამის ყმა-აზნაურთაგანი იყო. ჭკვიანი, მიხვედრილი სახის გამომეტყველება ჰქონდა. თმა ნახევრად დაჭაღარებოდა: მეცნიერებამ უდროვოდ დააბერა. ზეპირად იცოდა მთელი საღმრთო წერილი, საეკლესიო წესები; სახორციელო შინაარსის მწერლობიდან იცოდა „ვეფხის-ტყაოსანი"; წაკითხული ჰქონდა ჩახრუხაძის ბრძნული ნაწერი, გეოგრაფია და ისტორია ვახუშტისა, ხელნაწერი ნაწყვეტები ჰეროდოტეს, არისტოტელის და პლატონის თხზულებათა. მისი მიდრეკილება საფილოსოფიო წიგნებისა და საზოგადოდ სწავლა-მეცნიერებისადმი აიხსნებოდა, როგორც ეს ხშირად ხდება, მის მახინჯ გარეგნობით. ცნობილია, რომ ბრძენნი იშვიათად არიან ამავე დროს ხორციელადაც ლამაზნი. ამიტომ ბერუკა ჯიქიას სიმახინჯე მის ცოდნასთან ერთად არავის უკვირდა. პატარაობითვე საცოდავს სიარულის მაგიერ ფოფხვა-ღა შეეძლო უთოების მსგავს ჯოხების საშუალებით. ამ ხორციელმა სიმახინჯემ ბერუკა ჩამოაშორა სხვებს, რომელნიც მარტოოდენ მოძრავ და მაწანწალა ცხოვრებას ეწეოდენ, და ძალაუნებურად მიაჩვია წიგნის კითხვას. ბატონის სახლში ბერუკა მდივნად იყო; იმას უნდა ეთქვა ყველასათვის, როდის რა მარხვა იყო, უქმე-დღესასწაული რა დღეს მოდიოდა, აეხსნა სიზმრები, რა დღეს რის გაკეთება შეიძლებოდა და რისა არა და სხ.

ბეკო მოუსვეს ანბანს და ისიც ხმა-მაღლა გასძახოდა: ან, ბან, გან... ასე იძახოდა, სანამ მთელი ანბანი ზეპირად არ ისწავლა. ზეფხულობით ბეკო კაკლის ხის ძირას იჯდა და იქა სწავლობდა, ზამთრობით—გახურებულ ბუხრის წინ. ანბანის გათავებას შემდეგ ხელში დავითნი მისცეს და დავითნის სწავლა მაშინ გაათავა, როცა წიგნი სადმე მონასტრის სარდაფში მთელის საუკუნის განმავლობაში ნაგდებს და თაგვებისაგან დახრულ ხელნაწერს არ დაემსგავსა.

გადიოდა წელიწადები. სწავლების საქმე თანდათან წინ იწევდა. თოთხმეტის წლის ბეკოს მასწავლებელმა, რაც თვითონ იცოდა, იმის ნახევარი ასწავლა, და, ამის გარდა, ბეკომ ისწავლა, რომ მზე მიწის გარეშე ჰბრუნავს და არა მიწა—მზის გარეშემო. მამამ მასწავლებელს გიმოუცხადა,—ჩემს შვილს ახლა კი ეყოფა სწავლაო.

მასწავლებელს ძალიან ეწყინა, მაგრამ არც ის შეეძლო, წინააღმდეგი ეთქვა რამე.

ბეკო უკვე ლამაზი, მოწიფული ყმაწვილი კაცი დადგა; უნაგირზე მშვენივრათ იჯდა, აჭენებდა უბელო გადარეულ ცხენებსაც; თხუთმეტ ნაბიჯის მანძილზე დანას თოფიდან ტყვიას ახვედრებდა, ოცდაათზე—კვერცხებს ამტვრევდა, ჰაერში ძერასა ჰკლავდა; მიმინოთი მწყრებზე ნადირობდა; ძაღლებით ირმებს, შვლებს, მელიას იჭერდა; შინა-ყმებთან ყოველგვარ მეგრულ სიმღერებსა მღეროდა, თამაშობდა აფხაზურად და ლეკურად და ამასთან მეტად მოხდენილად და სირცხვილეულად დახრიდა თვალებს და წითლდებოდა ლამაზ ქალის შეხვედრაზე თამაშობის დროს.

მამამ ბეკოს ერთბაშათ შეაწყვეტინა სწავლა; ერთბაშადვე, მისთვის არც კი უკითხავს, ისე აიღო და ცოლი შერთო. ცოლად შერთო ერთის ცნობილ თავადიშვილის ერთად-ერთი ქალი და მემკვიდრე მთელის ქონებისა. პატარძალი 25 წლისა იყო, ამდენს ხანს ქალი გაუთხოვრად იმიტომ კი არა მჯდარა, რომ უშნო იყო, არამედ იმიტომ, რომ დედმამა შესაფერ საქმროს ველარ ჰპოულოდა თავადიშვილებში; რაც ახალგაზდა თავადიშვილები იყვნენ, ინგურიდან მოკიდებული სურამამდე, უეჭველად ენათესავებოდენ ქალს; ძარღვებში ბებიის მხრიდან მეფის სისხლი ედგა, ბებიის დედის მხრიდან—მფავრისა; საბახთარები კი, როგორც ვიცით, სამასის წლის წინად გათავადიშვილდენ, ლიპარიტ დადიანის დროს; ამიტომ ქალის მშობლებს ბეკო თავიანთ შესაფერ სიძედ არ მიაჩნდათ და თუ მაინც ქალი მიათხოვეს, მიათხოვეს იმიტომ, რომ ეშინოდათ, ქალი გაუთხოვრად ხელში არ შემოგვაბერდესო.

ჯვარისწერის შემდეგ ბეკოს ცოლი მართა თავის მშობლების სახლში ხუთ წელიწადს სცხოვრობდა და თავისს ქმარს მხოლოდ ხანდახან ხედავდა. ბეკო ერთი-ორის დღით თუ მოვიდოდა ცოლეურის სახლში სტუმრად. ამასობაში აწყობდენ მზითევს, რომელიც სწორედ იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც აღნიშნული იყო მზითვის სიაში, ბეკოს სიმამრს თუ ვინმე ჰკითხავდა, რატომ არ აძლევ სიძეს ქალსაო, თავს იმით იმართლებდა, რომ ერთად-ერთი ქალი მყავს და ასე მალე როგორ მოვიშოროვო. მეექვსე წელიწადს ბეკომ ცოლი თავისს სახლში წაიყვანა და დიდის ამბით გადაიხადა ქორწილი.

ამის შემდეგ ბეკოს ცხოვრებაში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: ოცდათიანს წლებში ბეკომ მონაწილეობა მიიღო ჯიქების



ტირილი სამეგრელოში

წინააღმდეგ გალაშქრებაში, სადაც თავისი, ასის კაცისაგან შემდგარი, რაზმი ჰყავდა მეგრელებისა, ხოლო ორმოციან წლებში მიწას მიაბარა ჯერ დედა და მერე მამა.

ამის შემდეგ ბეკომ დამოუკიდებლათ იწყო ცხოვრება.

მისმა ყმებმა ყველამ იცოდა თავისი მოვალეობა, ჩვეულებით დაკანონებული, და ყველაფერს უკლებლივ ასრულებდენ. აზნაურები საპატიო მხლებლებადა ჰყავდა, აზნაურებივე ჰყავდა მოურავებად, მოლარეთ-ხუცესებად, მეჯინიბეებად. მათ ებარათ მარანი და სხ. გლეხებს მოჰქონდათ სხვა და სხვა სურსათი: ღვინო, პური, ცხვარი, ძროხა და სხ. ყველამ იცოდა, რა ემართა და თავისს ვალს უკლებლივ იხდიდა; მაგრამ რაც ემართათ, იმაზე ზედმეტს ვერავის გამოართმევდით. მაგალითად, ერთს ოჯახს ემართა ბატონის სასახლეში ზურგით შეშის ზიდვა. ბეკომ განიზრახა გადასახადი შემსუბუქებანა და ურემი მისცა, მაგრამ გლეხმა გადაჭრილი უარი უთხრა ასეთ შემსუბუქებაზე,—ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგიაო. „ბატონი ჯერ თავისს ურემს მომცემს,—ამბობდა თავისთვის გლეხი,—შეშის საზიდავად, მერე მეტყვის—შენის ურმით მომიტანეო, შემდეგ კი ამავე ურმით სიმინდის მოტანას მიბრძანებს; ეს-კი ჩვეულებად გადამექცევა და მეც ახალი გადასახადი დამედება.—ურმით შეშის ზიდვა. მერე შეშა ისევ მოაგონდებათ და ძველებურათ ზურგით მაზიდვინებენ“...

ასე ეჭვის თვალით შეხედა გლეხმა ბეკოს წინადადებას გადასახადის შემსუბუქების შესახებ და, სანამ ბატონყმობა არ გადავარდნილა, ზურგით უზიდავდა ბატონს ხვედრ შეშას.

თივადიც ძალას არ ატანდა, ამიტომ რომ შედეგი ცუდი მოჰყვებოდა: „კომლი“ აფხაზეთში გაექცეოდა.

გლეხების უმეტესი წილი ვალდებული იყო წელიწადში რამდენიმე დღე ერჩინა თავისი ბატონი, და რათგან საბახტარის მამული დიდს მანძილზე იყო გაფანტული, იმასაც ერთავად გადასვლა-გადმოსვლა უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. ჩვენის ამბის დასაწყისში თავადს ჩვენ სწორედ ასეთის მოგზაურობის დროს მოვესწარით: თავის სამშობლოს ზეგან ადგილიდან, ლეჩხუმიდან, დაეშვა ოდიშში და გაემართა ერთ ვაკეზე მდებარე სოფლისაკენ, სადაც უნდა გამასპინძლებოდენ მასა და მთელს ჯალაბს. გზა-გზა ბეკო ნადირობით ერთვებოდა. ჯალაბი უკან მისდევდა და ასე—ორის კვირის უკან უნდა შეერთებოდა. მისს ჯალაბს შეადგენდა: კნეინა მართა, თხუთმეტის წლის მშვენიერი ქალი საბედა და ვაჟები არჩილა, ათის წლის, და ბატა—რვა წლისა.

III

უკვე ბნელოდა, როცა თავადი ბეკო თავის მრავალრიცხოვან ამალით სოფელში შევიდა. გზა ბილიკით მიდიოდა, ტყე-ტყე, ვაზებით შემოხვეულ ხეებს შორის. ზოგან ვაზი ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა ორი-სამის მხარის მანძილზე და მოგზაურნი იძულებულნი იყვნენ ან ზევით აეწიათ ვაზი და ისე გაევლოთ, ან თავი დაეხარნათ. საბრალოა შეუჩვევარი მხედარი ამ ვაზების ქსელში, რადგან ღამის სიბნელეში მათი გარჩევა თვალებს უჭირდება: ან კისერი უნდა დაუშავდეს ან სახე და ან ქუდი უნდა გადაუვარდეს.

ბევრი ხრამი და ღელე გაიარეს; ერთხელ დიდ მდინარეზეც გავიდნენ მოგზაურნი. ამათს შორის უცხო კაცი რომ ყოფილიყო, ამ მხარეში პირველად ნამყოფი, ამ გზაზე ხეებისა და ჯაგების მეტს ვერაფერს შეამჩნევდა და მცენარეთა ამ ერთფეროვან და ხშირ სამეფოში თავის დღეში ვერ დაბრუნდებოდა იმავე გზით მანდ, საითგანაც წამოვიდა, და მარტოდ-მარტო დარჩენილი უეჭველად დაიბნეოდა. მაგრამ ჩვენი მგზავრები სულ გაუჭირებლად და დაუბრკოლებლივ მიდიოდენ, ყოველმა მათგანმა იცოდა, რამდენი დარჩენოდა სოფლამდე.

სოფელში შევიდენ. მაგრამ აქ უფრო ადვილი იყო გზის დაკარგვა; ერთი სახლი მეორეზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული, ყოველს სახლს ეზო ჰქონდა, ეზოს კიდევ ღობე ევლო; ეზოებს შორის მიიკლაკნებოდა ბრუნდე, ვიწრო და ზოგან ძალზე ალაფებული ბილიკები. მაგრამ აქაც მგზავრები ბაწარაღებით ისე მიდიოდენ, თითქო დღე ყოფილიყოს და სისწორით უხვევდენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ. ხანდისხან ცხენები იძულებულნი იყვნენ თხრილებზედაც გადამხტარიყვნენ, მაგრამ თითქო არაფერიო. სოფელში სიჩუმეს გლეხების გაბმული ყვირილი არღვევდა. ერთიმეორეს გასძახებდა:

— ივანია... უ-უ-უ!—რამდენჯერმე ასე დაძახებას შემდეგ პასუხად გაისმოდა:

— პეტრეია... უ-უ-უ!..

და გააბამდენ ხმამაღლა ყვირილით ლაპარაკს.

ხანდისხან სოფელში ძაღლების ყეფა ასტყდებოდა: დაიწყებდა ჯერ სადმე ქოფაკი, ბანს მისცემდა მეორე, მეორეს—მესამე და მათი კონცერტი მთელს სოფელს მოეფინებოდა. ჯერ გაშმაგებით ჰყეფდენ, მერე უკლებდენ, ბოლოს ხმა სადმე შორს მისწყდებოდა და

ძაღლები მიყუჩდებოდენ. ნახევრად გაღებულ სახლებიდან მოსჩანდა კერაზე დანთებული ცეცხლი, რომელსაც გარშემო უსხდენ ოჯახის წევრნი.

ნახევარი საათი მეტი ხან მარჯვნივ უხვევდენ, ხან მარცხნივ, ბოლოს, როგორც იქნა, მიადგენ ერთ ღობეს. მოწინავე ცხენოსანი ცხენიდან ჩამოხტა და ლაბახას[1]) შლა დაუწყო. ეზოდან ხმაურობა მოისმა. წკავწკავით წამოიშალნენ ძაღლები, განათებულ სახლის კარები გაიღო და გამოვიდა რამდენიმე კაცი. ერთი წინ მირბოდა ანთებულ მუგუზლის ქნევით გზის გასანათლებლად.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ!—იძახდა გლეხი.—მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონო! აი აქეთკენ, აქ ცხენიდან კარგი ჩამოსახტომია... აქამდე გელოდით... გელოდით... მერე ვიფიქრეთ, დღეს ვერ მობრძანდებიო...

თავადი ცხენიდან ჩამოხტა სახლის მახლობლად, ცხენი კოსტამ ჩამოართვა. მუგუზლიანმა გლეხმა მუგუზალი ხელიდან გააგდო და ბატონს მუხლებზე კოცნა დაუწყო. აგრეთვე მოიქცნენ სხვებიც, ვინც სახლის წინ იდგნენ.

— გამარჯვება შენი, ბახვა! გამარჯვება პეტეია! გამარჯვებათ, გამარჯვებათ! —ეუბნებოდა საბახთარი მის მუხლებისა და ხელების საკოცნელად მისულებს და მეგობრულად ყველას თავებზე ხელს ადებდა.

მისალმებას შემდეგ თავადი სახლში შევიდა. სახლი მოზრდილი იყო, კერაზე გაჩაღებული ცეცხლი გუგუნებდა. ორსავ მხარეზე ტახტები იყო შეკრული, ერთზე ძველი ნოხი ეფინა და ორი მუთაქა თავით და ფეხთით იდო. თავადი ამ ტახტზე ჩამოჯდა და მეავჟანდემ მოხამულისა და პაჭიჭების ხდა დაუწყო. ხოლო სახლის პატრონმა იარაღი ჩამოართვა: ეს მისი განსაკუთრებული უფლება იყო.

მღვდელი, მდივანი და დანარჩენი ამალაც შემოვიდა სახლში და მოწიწებით კარებთან გაჩერდენ, სანამ თავადმა არ უთხრა, დასხედითო.

მგზავრობის დროს დაწყებული და დროებით შეწყვეტილი ამბავი ჯიხვებზე ნადირობისა ხელახლა განაგრძეს. ჯიხვებზე ნადირო-

---

1) ლ ა ბ ა ხ ა—სამეგრელოში ძველებურ ჭიშკარსა ჰქვიან. იქით-აქეთ დასობილ სარებს გაყრილი აქვს გორიზონტალურად ხუთი-ექვსი გათლილი ან გაუთლელი ლარტყა კაცის სიმაღლეზე. როცა ცხენით ან ურმით შესვლა უნდათ ეზოში, ყველა ლარტყა სათითაოდ უნდა გამოაცალონ.

ბასებრ თავადს არაფერი უყვარდა და ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა ყველას ამ ნადირობის ამბავს. გზაში ორმა მონადირემ თავისი მოგონებანი გაუზიარა, და ახლა კოსტას მიერ მოკიდებული ჩიბუხი ხელში დაიჭირა, მოსწია და თვითონ დაუბრუნდა ნადირობის ამბავს.

— არა, ახლა სადღაა წინანდებურათ ნადირობა!—დაიწყო ბეკომ,—ლევან დადიანის დროს უნდა გენახათ, რა ამბავი ყოფილა.

— ნადირიც გაწყდა, როგორც ამბობენ,—სიტყვა ჩაურთო მღვდელმა.

— გაწყდა და მერე როგორ! ახლა მაგალითად საქორიას მთაზე კაცი თითქმის ვერ შეხვდება ჯიხვს. თხუთმეტის წლის წინად კი, ჯიხვების ბუდეს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ეს მთა.

თავადის ამ უკანასკნელ სიტყვებზე სახლში შემოვიდა ასე სამოცდათის წლის მოხუცი, მთლად გაჭალარავებული, წელში მოხრილი, მაგრამ მაინც ძალზე მაღალი; მისს შავს თვალებს, სქელ, გათეთრებულ წარბებით დაფარულს, წყალი ჯერ კიდევ არ გამოჭლეოდა. შუმოსულს ყველაზე განსხვავებული ჰქონდა გრძელი, გულზე ჩამოყრილი ულვაშები, ნარინჯის ფრად შეღებილი და ბოლოში თეთრები. როცა ბეკომ შემოსული დაინახა, სახე გაუბრწყინდა, ტახტზე წამოჯდა და ღიმილით მიუბრუნდა:

— ააა, ჩემო გიგო! შენა ხარ? დიდსხანს მიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი! როგორა ხარ, მოხუცო, როგორ კარგად გიკითხო?

გოგია მივიდა საბახთართან, დაუჭირა ხელი და ეამბორა. ბეკომ კი თავზე აკოცა.

— გავიგე, რომ დღეს მობრძანდებოდი და მეც წამოვჩანჩალდი შენს სანახავად.

— მადლობელი ვარ, ჩემო გოგია, მადლობელი. მრდი, ჩამოჯექი, ჩემო კეთილო... ისევ ახალგაზდა ყოფილხარ, ძველებურად ყოჩაღი... ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა... დაჯექ... დაჯექ...

გოგია ჩამოჯდა და განიერი ფაფანაკი თავზე ჩამოიფხატა.

— ჰა, მითხარ, როგორა ცხოვრობ, ბაბუა?

— ეჰ, ჩემი ცხოვრება რა სახსენებელია, ბატონო! დავეხეტებიძ ძაღლუმადურად, მოხუცის კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ. მთავრისა და თქვენის წყალობით მიდგას სული... ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს...

— შარშან რომ ძიწას დაგპირდენ, ხომ მოგცეს?

— მოცემით კი მომცეს, მაგრამ ის კი არ მოუციათ, რასაც

დამპირდენ. სახლთუხუცესმა, —ღმერთმა კი მისი კუბო მაჩვენოს,— არ მიხედა ჩემ მოხუცებულებას და მიწის მაგიერ კლდე მომიზომა. მთავართან მინდა ვიჩივლო. გოგიას ახლა ყველა იჯაბნებს, კაცად აღარავინ აგდებს...—მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და ერთ წამს შემდეგ დასძინა:—ცხონებულ ლევან დადიანის დროს ამას ვინ გამიბედავდა!..

— სწორედ შენის შემოსვლის წინად მოვიგონეთ განსვენებული... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მოვიგონეთ საქერიას მთაზე ნადირობაც...

თავადი და გოგია გაჩუმდენ და ფიქრებს მისცეს თავი. ეტყობოდა, ორსავე მოაგონდა ტკბილი წარსული დრო. გოგიას სახე დაუღონდა, მწარედ ამოიოხრა, ქისიდან პატარა ჩიბუხი ამოიღო, ნელ-ნელა გასტენა თუთუნით, ცეცხლი მოუკიდა, დაებჯინა თავის ჯოხს და ხელახლა დაფიქრდა.

— მითხარ, ჩემო გოგია,—დაიწყო ისევ თავადმა ბეკომ, რომელიც თითქო გამოერკვა წარსულის მოგონებიდანო.—შენ ახლდი ლევანს საქერიას მთაზე, როცა ერთს მის მონადირეს გზა დაჰკარგვოდა?

— როგორ არ ვიყავი! განა არ მოგეხსენებათ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ლევანის გვერდით გავატარე!..

მოხუცმა პირიდან კვამლი ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა, ჩიბუხი გამობერტყა, ხელახლა გასტენა თუთუნითა, მოუკიდა, ცოტახანს ჩუმად იყო, თითქო აზრს იკრებსო, და დაიწყო:

IV

— ეს ამბავი, ბატონო, სწორედ იმ წელიწადს მოხდა, როდესაც დედოფალი მართა ახალ სასახლეში დაბინავდა, სოფ. მურში. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია: ქმარს, ლევან დადიანს, მართასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ერთი კვირა იყო თუ ცოტა მეტი, იცხოვრა მართასთან მურში. მერე ქულბაქში გადასახლდა, რომ საქერიასთან ახლო ყოფილიყო.

„ნადირობა სამარიამობოთ დავიწყეთ და კვირა იშვიათათ გამოერეოდა, რომ საქერიაზე ორჯელ-სამჯერ არ ავსულიყავით. ქულბაქიდან გათენებისას გავიდოდით, და შუადღისას კი მთას მოვექცეოდით, ღამეს სანადირო ქოხში გავათევდით, ხოლო საღამოს ისევ ქულბაქში დავბრუნდებოდით.

„ასე ვინადირეთ სექტემბრის თვემდე. მთა უკვე ერთხელ ჩამოთოვლა, მაგრამ რამდენსამე საათში ისევ აიღო. დრო იყო, ნადი-

რობა გაგვეთავებინა, რადგან ჯიხვი სულ მაღლა იწევდა მიუვალ, ციცაბო კლდეებისაკენ. მაგრამ ლევანი მეტად გაიტაცა კარგმა ნადირობამ და არ უნდოდა საქერიასთვის თავი დაენებებინა. თუ ყოფილხარ ამ მთაზე, უეჭველად გენახვება ის მხარე მთისა, რომელსაც გულის-თავს ეძახიან... სანადირო ქოხის მარცხნივ ადგილი სრულებით მიუვალია, ნადირმა კი ამ ადგილს მიაშურა. ლევანმა კი გადასწყვიტა, მოდი, ბედსა ვცდი ამ მთაზედაო.

„თან ორმოც კაცზე მეტი ვახლდით. მთის ყოველს ასავალ-დასავალს ვიცნობდით, მაგრამ გულისთავზე ჩვენგანი ბევრი არა ყოფილა. აქ ასულან: სიკო ელამი, ინგურში რომ დაიხრჩო, მერე ბატაია ორბელია, ახლა მარტვილის მონასტერში მნათედ რომ არის, და ოქროპირი, ჩემი ცოლის ძმა; ამათს გარდა აქ არავინ ყოფილა. მაგრამ ლევანმა გვიბრძანა ავსულიყავით. სიკო გავიძღოლიეთ და ყველანი უკან გავყევით. ავედით პირველ ზურგზე, ლევანიც ჩვენთან მოდიოდა. ღრუბლები ჩვენს ქვემოდ იყო დაკიდებული; ხრამში გადავიხედეთ, იქნება, სადმე მიმალულია ჯიხვიო, ვსთქვით. ამ დროს დავინახეთ, რომ მთელი ხრამი ნისლში გაეხვია. უნდა გავჩერებულიყავით, აქ დაგვეცადნა, სანამ ნისლს გადიყრიდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირებია: დაუბერა ნიავმა, მიჰფანტ-მოჰფანტა ნისლი და ხევი ნათლად გამოჩნდა ჩვენს წინაშე. მის ძირის ერთ გორაკის ბუსნოზე დავინახეთ მთელი ჯოგი ჯიხვებისა.

„ტანში ახლაც მაჟრჟოლებს იქ ნახულის მოგონებაზე... სიხარულის კანკალმა აგვიტანა ყველანი.

„მაგრამ უცბად წამოუქროლა ქარმა, ხევში ისევ მოჰრეკა საიდგანლაც ახალი ნისლი და შიგ გახვია ჯოგი!

„მაშინ ლევანმა წამოგვჩურჩულა: „აბა, ძმებო, ზურგზე გადავიდეთ და გავსწიოთ წინ“. მყისვე ავასრულეთ მისი ბრძანება და თავქვე დავეშვით ხევში. კატებივით მივცოცავდით ფრთხილად; უნდა მოგვესწრო და სანამ ნისლს გადაიყრიდა, მანამ მივპაროდით ჯიხვების ჯოგს ახლო. ნისლს კარგა ხანს არ გადაუყრია, ასე რომ ჩვენ ძალიან ძირს დავეშვით. მაგრამ როცა ხელახლა შემოუბერა ქარმა, ჩვენს წინ ბუსნო გამოჩნდა, მხოლოდ ჯიხვები კი ყველანი გაპარულიყვნენ. ძალიან ფრთხილად მივიპარებოდით, მაგრამ მათ მაინც გაეგოთ და გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ორს მათგანს მოვკარით თვალი: შორს, ფრიალო კლდეზე ადიოდენ. დავინახეთ თუ არა, ჩვენც უკან გავყევით. სიკო ისევ წინ წაგვიძღვა, იმას კიდევ უკან მიჰყვა ჯერ ისევ ახალგაზრდა ბიჭი კირვალია. ღვთის წინაშე,

ყველას კი გაგვიკვირდა მისი გამბედაობა. რომელლამაც გამოცდილმა მონადირემ მიაძახა კიდეც: „ბალღო, სად მიდიხარ, ღმერთი არ გაგიწყრეს და სადმე ხრამში არ გადაიჩეხო“. მაგრამ კირვალიამ ყური არ ათხოვა, აფოფხდა და ელვის სიმალეზე სიკოსთან ერთად თვალთაგან მოგვეფარა.

„ღონე გამოგველია მთელი დღე ბობღვით. ნადირი სულ გაგვირბოდა, სათოფეზე არ გვიდგებოდა. მთავარმა მხოლოდ ერთხელ დასცალა თოფი და შველი დასჭრა, ისიც ძლივს ჩამოვათრიეთ კლდიდან, სადაც ტყვიის მოხვედრის შემდეგ აფოფხდა. იმასაც ვერ მივაგნებდით, რომ ორი არწივი არა, რომელთაც სწორედ ამ ადგილას ზემოდან, სადაც დაჭრილი შველი იწვა, ჰაერში კამარა შეჰკრეს. ლევანიც დაიღალა, ღოროტოტო დააკვრევინა და ყველანი სადილად გვიხმო. დავეშვით მთიდან, მის კალთებზე ერთი ვაკე ავირჩიეთ და დავბინავდით. სანამ სადილს აკეთებდენ, მონადირეებმა დენა იწყეს. როცა ყველამ თავი მოიყარა, თვლას შევუდექით: ერთი დაგვაკლდა. ვიღაცამ წამოიძახა—კირვალია გვაკლიაო. ჰკითხეს სიკოს. იმან-კი ისა სთქვა, რომ გულისთავზე ერთმანეთს დავშორდით, მე მარჯვნივ გავყევი კლდეს, ის კი ზევით წავიდაო... მერე არაფერი მინახავსო...

„ვიღაცამ წამოიძახა: „ნუ გეშინიათ, დაბრუნდება, სად უნდა დაიკარგოსო“.

„მაგრამ მთავარმა, როცა გაიგო ამბავი, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ნაბადზე წამოჯდა და შეშინებულისა და დაღონებულის სახით გამოაცხადა: ახლავე შეუდექით კირვალიას ძებნას; სანამ არ მომიძებნით, პირში ლუკმას არ ჩავიდებო.

„ყველანი დაღლილ-დახოცილნი იყვნენ, მაგრამ მაინც მეტი გზა არ დარჩენოდათ, მთავრის სურვილი უნდა აესრულებინათ, მისი ურჩობა აზრად არავის მოსვლია. ოციოდე კაცი ისევ გულისთავას აღმართს შეუდგა. სხვები კი, და მათს შორის მეც, ლევანმა თავისთან დაგვტოვა.

„უნდა მოგახსენოთ, რომ კარგი მსროლელი ვიყავ, მაგრამ საცა სიკო და ორქროპირი მიდიოდენ, იქ ასვლას მაინც ვერ მოვახერხებდი.

მოხუცმა პატარა შეისვენა და მერე განაგრძო:

„ცოტა ხანს უკან მონადირეთა ძახილი მოგვესმა, ამით ამხანაგებს ატყობინებდენ—ვინ სად იყო. მათი ძახილი თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს თითქმის მისწყდა, მთავარი ყველას ყურს

უგდებდა და გვეკითხებოდა,—რამე ხომ არ შეგატყობინესო?.. ხმები ხელახლა მოგვესმა, ახლა კი უფრო მკაფიოდ იძახდენ. მოგვეჩვენა, თითქო რამდენიმე მონადირე ერთმანერთს შეხვდა და სხვებს საშველად ეძახდენ. მთავარი ერთ ალაგას ვერ გაჩერდა, ხელით გვანიშნა —უკან გამომყევითო და მიაშურა იმ ადგილას, საიდანაც ძახილი მოისმოდა. როცა ქაქანით ავბობღდით და მივუახლოვდით მონადირეებს, ერთი კლდე გვიჩვენეს. თმა ყალხზე შეგვიდგა, როცა კლდის ნაპირას, საცა ერთი კაცი ძლივას დაეტეოდა, დავინახეთ კირვალაია.

„კლდე საშინელი მაღალი იყო, იქიდან ხმის მიწვდენა გაჭირვებით-ღა შეიძლებოდა. ეტყობოდა, ყმაწვილს სიფიცხე მოჰრეგია. ასვლით კი ასულა, მაგრამ რადგან უკან დაბრუნება ვეღარ მოუხერხებია, იქავე მიწოლილა. როგორ უნდა ჩამოგვეყვანა? ახლა ახალი დარდი გაგვიჩნდა. გაჭირებულის საშველად მონადირენი გამოჩნდებოდენ, მაგრამ სწორედ ამ დროს საღამომაც მოატანა: ამ ადგილას ასვლისას სულ ჩამობნელდებოდა და მაშინ კირვალიასაც ვერას უშველიდენ და თითონაც დაიღუპებოდენ ტყუილა-უბრალოდ. რა უნდა გვექნა! დავფიქრდით ყველანი. ლევანი საშინლად იყო დაღონებული, თვალებზე ცრემლები მოადგა; საშინლად ებრალებოდა საცოდავი ბიჭი და უნდოდა უეჭველად ეხსნა გაჭირებული ყმაწვილი.

„—ჩემო შვილო!—დაუყვირა, რაც ხმა ერჩოდა, კირვალიას,— თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ლევანი გიყვარს, იწექ და არ გაინძრე. ჩემს თავს გეფიცები, შვილები არ დამეხოცება, ხვალ დილას უვნებელს ჩამოგიყვან. მხოლოდ იწექი და აღარ გაინძრე. ნუ შეგეშინდება და ჩვენს ძახილზე როგორც შეგეძლოს, ისე გვიპასუხე.

„დიდხანს ვიდექით დაფიქრებულნი; არ ვიცოდით, რა გვექნა. ვცდილობდით, ხმა მიგვეწვდინა, იქნება შენძრეულიყო და სიცოცხლის ნიშან-წყალი რამე დაენახვებინა ჩვენთვის. მაგრამ მხოლოდ თავს ვიტყუილებდით, მეტი არაფერი. ვიღამაც ჩაილაპარაკა: ყველაფერი მორჩომილია, ვერაფერს ვუშველით; ისევ ისა სჯობია—მღვდელი ვიხმოთ, პანაშვიდი გადავახდევინოთ და თითონ კირვალია სვავ-ყორნების საწიწკნად დავაგდოთო. ფიქრებისაგან ყველანი მთავრის ლაპარაკზე გამოვერკვიენით.“—ჩემო შვილებო,—გვითხრა მთავარმა, —გუშინ ამ ბიჭს შევფიცე გასაჭირისაგან გიხსნი-მეთქი; უნდა როგორმე ჩამოვიყვანოთ, და თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ ჩემის ფეხით და მე ჩამოვიყვან, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც.

„ამ სიტყვებს შემდეგ ურჩობა არ შეიძლებოდა. ყველამ კარგათ

ვიცოდით, რომ მთავარს ფუჭად ლაპარაკი არ უყვარდა, თავის ნათქვამი კაცი იყო.

„წინ წამოდგა ოქროპირი. კლდე სალი იყო და წინწაშვერილ ქიმების შემწეობითლა შეიძლებოდა ბობღვა. ოქროპირმა თოკები მოითხოვა. მაშინათვე მივაწოდეთ, რამდენიც საჭირო იყო: ზოგს ქამარში გვქონდა, დანარჩენი უნაგირებს მოვხსენით ყველა და ისე მივეცით. თოკებიანად გასწია ოქროპირმა. როცა კი შეიძლებოდა, ქვებს მოაბამდა ხოლმე თოკს და მარყუჟებს აკეთებდა კიბესებ, ისე, რომ კაცს ადვილათ შეეძლო იმით ასვლა. ოქროპირი დიდხანს მუშაობდა და წინ უეჭველის ნაბიჯით იწევდა და სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. კლდის ნახევრამდე უკვე ავიდა, ისე უცბად გაჩერდა. ყველანი იმას შევცქეროდით, სულ-განაბულნი. მოგვიბრუნდა და ძლივს გასაგონის ხმითა გვითხრა: მეტი ასვლა ვეღარ შემიძლიანო. მთავარმა შეჰყვირა, ძირს დაეშვიო. ოქროპირი ნელ-ნელა დაეშვა. წამდა-უწუმ ჩერდებოდა და თავის მიერ გაკეთებულ კვანძებს ეძებდა ფეხის გასაყრელად. ძირს ჩამოვიდა თუ არა, მკვდარივით გაიშხლართა.

„მაშინ სიკომ წვერი გამოართვა, პირჯვარი გადაისახა და ოქროპირის გაკეთებულის კიბით ასვლა იწყო. ჯიხვივით აიჭრა იმ ადგილამდე, სადაც ოქროპირი შედგა და მისი დაწყებული მუშაობა განაგრძრ. ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც კირვალია იწვა.

„საცოდავს გადაუბერტყა ზევიდან წაყრილი თოვლი, დიდსხანსა შინჯავდა და ბოლოს, რაც ხმა ერჩოდა, დაგვიყვირა: ცოცხალიაო. ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაგვიყვირა—ვინმე მომაშველეთო. კიბით ბატაია ორბელია ავიდა, იმისათვის ადვილი იყო მზამზარეული კიბით ასვლა. ხელად აცოცდა და სიკოსთან ერთად უხიფათოდ ჩამოიტანეს ქვევით სიცივისაგან გაშეშებული კირვალია.

— მერე მოსულიერდა?—სიტყვა გააწყვეტინა გოგიას საბახთარმა.

— სწორედ სასწაული მოხდა: მოსულიერდა. დაუზილეს კარგად ტანი და ღვინომაც უშველა.

— რა თქმა უნდა, ვისაც სიკვდილი არ უწერია, რაც უნდა დაემართოს, ცოცხალი დარჩება,—შენიშნა ერთმა მსმენელთაგანმა.

— აბა ლევანს გაეხარდებოდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად გათავდა!—სიტყვა ჩაურთო თავადმა.

— გაეხარდა და იგრე!. კირვალიას იმიტომ, რომ გაუგონა და უნძრევლად იწვა კლდის წვერზე, ულელი ხარი აჩუქა; სიკო, ბატაია და მათი შთამომავლობა გააზატა და თითო თოფი აჩუქა;

ოქროპირს კი ისეთი სახნავი მიწა უბოძა, რომ მის შემდეგ გლეხმა სამუდამოთ სული მოითქვა. ლევანი კაცი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი, მისის საარაკო გულკეთილობის ამბავი მთელ დუნიაზე ყველამ იცოდა!

— მართალი ხარ, გოგია,— დასძინა თავადმა,— სხვისათვის სულიც არ ეშურებოდა; რასაც იშოვიდა, მაშინვე სხვებს ურიგებდა.

მასპინძელმა როცა დაინახა, რომ გოგიამ თავისი ამბავი გაათავაო, მოწიწებით მიუახლოვდა ბატონსა და ჰკითხა, დრო თუ იყო ვახშმის მიტანისა. და როცა თავადმა უთხრა, მოიტანეო, ისიც სწრაფად გავიდა სახლიდან.

V

არ გაუვლია ერთს წუთს, მასპინძელი ისევ შემოვიდა: ხელში დოქი ეჭირა, უკან მეორე მისდევდა, იმას კი ტასტი მოჰქონდა, მესამეს პირსახოცი ჰქონდა მხარზე გადაგდებული. ფაცხაში რომ შემოვიდნენ, მწკრივად დადგნენ და ბრძანებას დაუწყეს ლოდინი ბეკომ თავი დაუქნია და ტასტიანმა მის წინ დაიჩოქა. ბახვამ დოქით წყალი დაუსხა ხელზე, ხოლო მესამემ პირსახოცი მიართვა. დამსწრეთაგანმა ყველამ დაიბანა ხელი. შემოიტანეს ტაბაკები და წინ დაუდგეს ტახტზე მჯდომარეთ. თავადს გვერდით მოუჯდა მღვდელი, იმას იქით მდივანი, შემდეგ კოსტა და სხვები. ფაცხის მეორე მხარეს სუფრას გოგია და ამალის სხვა წევრები მოუსხდენ. ზეზე იდგნენ მასპინძელი და მისი ცოლშვილი.

ტაბაკები რო დადგეს, მსახურნი ისევ გავიდნენ ცოტა ხნით და შემოიტანეს დიდი კარდალით ღომი და ყოველ სტუმარს ტაბაკზე წინ დაუდვეს ჩოგნით ორ-ორი დაგეპა ცხელი ღომი. ამავე დროს სტუმრებს წინ ჭიქები დაუდგეს, ხოლო ბეკოს მისი სამგზავრო ვერცხლის ჭიქა. მსახურნი ისევ გავიდნენ და შემოიტანეს ხონჩა, რომელზედაც დაჭრილი შემწვარ ქათმის ხორცი ელაგა. თავადთან ყველაფერი პატარა თეფშებიო, მოჰქონდათ, ხოლო სხვებს პირდაპირ ტაბაკზე უწყობდენ.

როდესაც ყველას ჩამოურიგეს საჭმელი, მღვდელი წამოდგა, „მამაო ჩვენო“ სთქვა, სუფრა აკურთხა და ყველანი ჭამას შეუდგნენ.

მსახურნი საოცარის სიმარჯვით დადიოდენ. შემოიტანეს რამდენიმე კოკა ღვინო, ვაზის ფოთლებით თავებდაცმულები. სტუმრებს დაუსხეს ღვინო, მაგრამ ჭიქას არავინ ჰკიდებს ხელსა, სანამ თვით თავადმა არ აიღო პირველად ჭიქა ხელში, მოიხადა ქუდი, როგორც

ძღვდლის მიერ ლოცვის თქმის დროს და წარმოსთქვა: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ გაგვიმარჯვე!“ მერე დამსწრეთ თავი დაუქნია, ქუდი დაიხურა და ჭიქა გამოსცალა. ამავე დროს დამსწრეთ უპასუხეს: „ღმერთმა გაგიმარჯოს!“ და ყველამ თავ-თავის ჭიქას მოჰკიდა ხელი.

პირველ თავ საჭმელს სხვა მოჰყვა: შემოიტანეს ქათამი მჟავე საწებლიანი, ინდოურის საცივი, მოხარშული კრავი, მერე ბეჭი.

ყველანი ხელითა სჭამდენ, თითოეული მათგანი მეგრულის დანით ითლიდა ხორცს. ყოველ თავ საჭმელიდან თავადი კარგ ნაჭერს აიღებდა და უძღვნიდა თავისს იმ თანამოსუფრალთაგანს, რომლისათვისაც თავის კეთილგანწყობილების გამოცხადება სურდა. ძღვნის მიმღები ადგებოდა, ფაფანაკს მოიხდიდა და მადლობას მოახსენებდა.

როცა ღვინო კაი ძალი დაილია, წამოდგა კოსტა, ფაფანაკი მოიხადა და თავადს სიმღერის ნება სთხოვა. თავადმაც მხიარულათ გადიქნია თავი, და ერთს წუთს შემდეგ გაისმა მშვენიერი სიმღერა. თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა.

სიმღერას ბოლო არც-კი მოეღებოდა, რომ ძალზე დაღლილს ბეკოს არ ეთქვა მომღერლებისათვის—გაჩუმებულიყვნენ.

თავადის ამალა თანდათან შეთხელდა. ნელ-ნელა გამოდიოდენ ფაცხიდან. შიგ დარჩნენ მხოლოდ: მღვდელი, მდივანი და გოგია. ბოლოს იმათაც მდაბლად თავი დაუკრეს თავადს და სხვა, იმავე ეზოში მდგარ, ფაცხებისაკენ გაემართნენ დასაძინებლად. კოსტამ და სახლისპატრონმა თავადს ქეშსაგები შემოუტანეს და ტახტზე გაუშალეს. თავადი საღამოს ლოცვად დადგა. მთელ ნახევარ საათს ლოცულობდა ბეკო და რამდენიმე მეტანიაცა ჰქნა. ბერუკა ჯიქიასაგანა ჰქონდა ჩანერგილი ღვთის მოკრძალება და ლოცვის სიყვარული. ფაცხაში ბახვა და კოსტა სულგანაბულნი იდგნენ, რომ ბატონისათვის ხელი არ შეეშალნათ. მერე თავადმა მათის შემწეობით ტანთ გაიხადა და დაწვა. კოსტამ თავი დაუკრა და გავიდა. ბატონთან მხოლოდ ბახვა დარჩა.

ფრთხილათ მიუახლოვდა ბახვა კერას, ახალი ფიჩხი დააყარა და ცეცხლს ბერვა დაუწყო. სიცხისა და კვამლისაგან დანაოჭებულ სახეზე რაღაც სურვილი ეხატებოდა: ხან ცეცხლს დააცქერდებოდა და ხანაც თავადს გადახედავდა; ეტყობოდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ჩაახველა. თავადი მისკენ მოტრიალდა და თვალები გაახილა. ბახვას სახეზე მაცთურობა და ლაქუცი დაეტყო.

— შენა ხარ?— ჰკითხა თავადმა.—ხომ მშვიდობაა შენს სახლში?

— მადლობა ღმერთს, შენის წყალობით სული გვიდგას, ბატონო,—უპასუხა ბახვამ სვენებით,—უკეთესად ვიქნებოდი, მაგრამ..

ბახვას ენა დაება.

— რა იყო?

— არაფერი, ბატონო, ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, და ჩვენ..

— როგორ არაფერი? თქვი რა გაქვს, სათქმელი?

— რა უნდა მქონდეს სათქმელი, შენი ჭირიმე! ღმერთს იმას ვეხვეწები, თქვენი თავი გვიცოცხლოს, ჩვენ კი, ვინც რა უნდა გვიყოს, ამისათვის თქვენ აბა როგორ უნდა შეგაწუხოთ!

— ვინ რა დაგიშავა, რატომ არ მეტყვი?

— აბა ვინ იქნება, ბატონო! მდივანბეგი...

— სულს გვართმევს, ბატონო. ხანჯალურით*) დაგაბამო, მემუქრება, ქურდობაზე ხელი უნდა აიღოვო.

— შენ რაღას ეუბნები?

— რაღა უნდა ვუთხრა! თავი რიღათი ვირჩინო? ჩემი მამა-პაპა ქურდობით ცხოვრობდენ და მეც ეს ხელობა მასწავლეს. მეუბნება: მე იმას არ დაგიდევ, თუ ვისი ყმა ხარო; ქვესკნელში რომ ჩახვიდე, იქაც კი მოგძებნიო, ვერსად დამემალებიო. თვით შენის ბატონის სახლიდან გამოგათრევ და შეგკრავო.

— აი, უწინამც დღე დაქცევია, სანამ ამას გაჰბედავდეს, ის მუდრეგი, ისა!—წამოიძახა თავადმა ბეკომ და ერთბაშად გადმოტრიალდა ლეიბზე.

— „მე იმის არ მეშინიან, რომ შენი ბატონი თავადია, პირდაპირ სახლში მივუხტები და შენ იქიდან წამოგათრევო“, მემუქრება.

— კაი ბიჭია და მობრძანდეს, ერთი ჩემი მათრახების სუსხიცა ნახოს!

— დამიფარე, შენის მუხლის ჭირიმე, ბატონო,— დაიკვნესა ბახვამ და თავადის ფეხებს კოცნა დაუწყო.—ისეთი ძღვენი მოგართვა, რომ უკეთესი კაცის თვალს არ ენახოს.

— კარგი, კარგი, წადი, ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა შეძინება. არა, ვერ უყურებ იმ ოხერს, რეებს მაჰქარავს!.. მე, საბახთარს, სახლიდან ყმები უნდა მომტაცოს!..—ბუტბუტებდა ბრაზმორეული თავადი და მეორე გვერდზე გადატრიალდა.

*) ხანჯალური—რკინის ჯაჭვია, რომლითაც ბატონყმობის დროს სამეგრელოში ყმებს აბამდენ ხოლმე დასასჯელად.

ქორწილი სამეგრელოში

მალე ყოველივე მიჩუმდა. არ ეძანათ მხოლოდ ტურებს. მაგრამ მათს მკვეთრს, გულის გამაწვრილებელ ჩხავილს ისე იყენენ აქაურნი მცხოვრებნი მიჩვეულნი, რომ ამის მიზეზით ძილი არავის გაულკრთებოდა.

ეს აღწერა მეგრელთა ცხოვრების მახლობელ წარსულისა მკითხველს დაუჯერებლად ეჩვენება, თუ ამ მხარეს ახლა ნახავს. დიდი ცვლილება მოხდა სამეგრელოში, მაგრამ ამასთან ამავე ხნის განმავლობაში რამდენი რამ გამოიარა ამ მხარემ!..

ყირიმის ომის დროს მთელის ექვსის თვის განმავლობაში ომერ-ფაშა ბატონობდა ამ მხარეში. 1857 წ. გადავარდა მთავრის გამგეობა და ამის მაგიერ რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული; 1866 წ. როცა თავადი ნიკოლოზ დადიანი სრულიწლოვანი გახდა, თავის ნებით ხელი აიღო მთავრის უფლებებზე და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთა საბოლოოდ. 1869 წ. ბატონყმობა გადავარდა. ამას მოჰყვა მომრიგებელი სასამართლოების შემოღება.

ყოველსავე ამასთან ამ მხარეში გაჰყავდათ შოსეს გზები, გაიავანეს რკინის გზა, რომელმაც შავი ზღვა კასპის ზღვას შეუერთა, ხალხის ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან იზრდებოდა; ფაცხების ყდგილას ოდები წამოჭიმეს; ვაჭრობა განვითარდა იმ ზომამდე, რომ აქაური საქონელი მილიონობით გააქვსთ რუსეთისა და საზღვარგარეთის ნავთსადგურებში.

განჭრნენ, რა თქმა უნდა, სამუდამოთ ისეთი ტიპებიც, როგორიც იყო საბახთარი და მისი ამალა.

ბატონყმობა სამეგრელოში.

(რაფ. ერისთავისა)

გლეხები სამეგრელოში სამის ხარისხისაა: I. მოჯალაბე (დელმახორე), II.—მებეგრე და III—აზატები.

ვეცადოთ, რაც შეიძლება სრულად აღვწეროთ ყოველი ამ კლასთაგანი, ანუ, უკეთ, ზედმიწევნილობით აღვნიშნოთ მათი ყოფაცხოვრება, რაც შეიძლება დავუახლოვდეთ სინამდვილეს და მათი სხვადასხვა ბეგარა და გადასახადი ამა თუ იმ კატეგორიაში მოვათავსოთ.

ამისათვის, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ თითოეულ დასახელებულ კლასთა მდგომარეობა სამეგრელოს სხვადასხვა ნაწილებში: ა) ქვემო სამეგრელოში, ბ) მის ზემო ნაწილში და გ) ლეჩხუმსა და ცხენის-წყლის სვანეთში.

I

მოჯალაბე (დელმახორე) ნიშნავს ოჯახის საკუთრებას ან ბატონის ოჯახში მყოფ მონას. სამეგრელოში ყველაზე დაბალი წოდების გლეხი—მოჯალაბეა. არსებითად მოჯალაბე არაფრით განსხვავდება **მებეგრისაგან**, თუ განსხვავებად არ ჩავთვლით იმას, რომ მოჯალაბეს სხვათა შორის ვალად აწევს ღომის ძეხვა (ღუმუშ ჩხვარუა), რაც სამეგრელოში ყველაზე ტლანქ და უღირს სამუშაოდ ითვლება, რადგან ღომის გარჩევის და ძეხვის მოვალეობა პირდაპირ გვიჩვენებს, რომ მისი მკეთებელი მონათა ჩამომავლობისაა. მებეგრეს, ფულზე რომ გადავიყვანოთ, გაცილებით მეტს იხდის მებატონის სასარგებლოთ, უფრო საპატიოა მისი გადასახადი და უფრო ძვირფასიცაა, ვიდრე **მოჯალაბის** ვალდებულებანი, ყველა ერთად აღებულნი.

ა) მოჯალაბე ქვემო სამეგრელოში.

მოჯალაბე ბატონს შეეძლო გაეყიდნა და მზითევში გაეყოლებინა როგორც მთელის ოჯახით, ისე ცალ-ცალკე წევრი ოჯახისა. თავის ოჯახიანათ მოჯალაბე ბატონის ეზოში სცხოვრობს, თავს

ირჩენს ბატონის ნასუფრალით, აგრეთვე ღომის გაძეხვის შემდეგ ნარჩენ ქატოთი, სიმინდით, გოგრით, ლობიოთი, მხალით, რომელსაც თვითონვე მოიწევდა ბატონის ბოსტანში; მასვე ეკუთვნის შიგნეული ბატონის ეზოში დაკლულ საქონლისა. ტანთ იცვამენ ბატონისა და ბატონის ოჯახის წევრების გამონაცვალს ან ვისიმე ნაჩუქარს ძველძულებს, საერთოთ დაგლეჯილი და ძონძები აცვიათ.

მოჯალაბე და მისი ოჯახის წევრები ემსახურებიან ბატონს სახლში და მის ეზოში; რაც უნდა სამუშაო იყოს, მათთვის შესაფერია და უარს ვერაფერზე იტყვიან. ზევითა ვსთქვით, რომ მოჯალაბის ერთი მოვალეობათაგანი—ღომის ძეხვაა; გარდა ამისა, მარგლავენ ყანასა და ბოსტანს, მკიან და ჭირნახულს აბინავებენ, ყურძენსა ჭკრეფენ და სხ. ქალები ხსენებულ სამუშაოშიაც ხომ ღებულობენ მონაწილეობას და ამას გარდა კიდევ მათი მოვალეობაა: მოაშენონ შინაური ფრინველი, მოიყვანონ აბრეშუმის ჭია და სხ. უფრო ხელმოკლე მებატონესთან მოჯალაბე მსახურის როლს ასრულებს და ყველაფერს აკეთებს, მაგ. მზარეულის, მეჯინიბის, მეწისქვილის და სხ. საქმეს.

მთავართან ან დიდ მებატონესთან მოჯალაბენი ვერც-კი ასწრებენ პურის გალეწვას, ღომის გაძეხვას, მის მოხარშვას, ფრინველების მოვლას, რაც სხვა მოხარკე გლეხებმაც უნდა აკეთონ. მაგრამ თუ დრო გადარჩებოდათ, ზემოაღნიშნული საქმე დიდ მებატონეთათვისაც უნდა გაეკეთებინათ.

მოჯალაბის ქალებისაგან მებატონე თითო **მოახლეს** (მუარხე) აიყვანდა მოსამსახურედ; სხვა ქალები მოჯალაბეს შეეძლო გაეთხოვებინა, მაგრამ ყოველ გათხოვილ ქალისათვის ურვადი უნდა მიეცა მებატონისათვის 5-დან 10 მანეთამდე. მეგრელი მოჯალაბე გასათხოვარ ქალისათვის მშობლები ცდილობენ თავიანთი ქალი, თუ შესაძლებელი იქნება, როგორმე, მოათხოვონ **მებიგრეს** ისეთს, რომელსაც მხოლოდ გადასახადი ადევს, და ამ სახით გააუმჯობესოს თავის ქალის მდგომარეობა. თუ ეს ვერ მოხერხდა, ისევ თავის ტოლს აძლევს. ახალგაზდა საცოლე მოჯალაბესთვის ბატონი სცდილობს ვინმე უფასოდ შერთოს, და, თუ ეს ვერ მოახერხა, ურვადს იხდის ქალისთვის 150—300 მანეთამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის მოახლესა რთავს. თუ მოჯალაბე ისე მოკვდა, რომ ვაჟი არ დარჩა, მისი ქალები ყველანი ბატონის მოახლეებად ხდებიან და მის ნებასა და კაცთმოყვარეობაზეა დამოკიდებული ერთ-ერთ მათგანის ვათხოვება.

მოჯალაბეს, სანამ მებატონის ეზოში სცხოვრობს, საკუთარი ადგილ-მამული არა აქვს, მაშასადამე, საკუთარ თავისთვის ხვნა-თესვას არ მისდევს; მაგრამ ათასში ერთხელ მოჯალაბე ბატონის მიწას, თავისუფლად მიგდებულს, ბატონის ნებართვით დათესავს, წინასწარ თოხით დაამუშავებს, რათგან სახნისი და საკუთარი მუშა საქონელი არ გააჩნია.

მოხდება ხოლმე, რომ ბატონი თავის ეზოდან გაუშვებს მოჯალაბეს, და თავის მიწაზე დაასახლებს. ასეთი წყალობა ბატონისა მოჯალაბემ რაიმე დიდი სამსახურით ან ფულით უნდა დაიმსახუროს. ამ შემთხვევაში მისი მოვალეობანი ბატონის მიმართ იგივე რჩება, მხოლოდ მიწის ბოძებისათვის და გლეხების უკეთეს ხარისხში გადასვლისათვის ანუ **მობეგრედ** გახდომისათვის თავის ნებით კისრულობს ბატონს წელიწადში მიართვას: 1 ღორი, 1 ქილა [1]) ღომი, 1 ქათამი და 1 კოკა [2]) ღვინო. ღვინოს იმ შემთხვევაში აძლევს, თუ მის მიწა-წყალზე ვაზები(ჯ) არის; ხოლო თუ მებატონესაგან ნათქვამი აქვს, ბოძებულ ადგილზე ვაზი გააშენეო, 1 კოკა ღვინოს ვენახის გაშენების შემდეგ აძლევს; ე. ი. ხუთი წელიწადი რო გავა.

ბ). მოჯალაბე ზემო-სამეგრელოში.

მოჯალებენი აქ ბატონის ეზოში არა სცხოვრობენ, არამედ თავისი სახნავ-სათესი აქვსთ, მსგავსად ქვემო-სამეგრელოს მოჯალაბეთა, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან; ესენიც იმავე გადასახადს იხდიან და იგივე მოვალეობანი აკისრიათ, მხოლოდ შემდეგის განსხვავებით: მარგლავენ სიმინდს ეზოში, მაგრამ ეზოს გარეთ მდებარე ყანას არა სთოხნიან, ამ მიწას წინასწარ გაჰკაფავენ და ახოს გასჭრიან. ამასთანავე ღომის მკაში შველიან და მოჭრილი ჩალა ღომისა თუ სიმინდისა ბატონის სახლში მიაქვთ.

აქ მოჯალაბენი **თითოეულ კოჭლიდან** თითო მოახლეს აძლევენ ბატონს, იგინივე ვალდებულნი არიან ბატონის ოჯახისათვის ძიიტანონ თიხის ჭურჭელი, რამდენიც საჭირო იქნება, როგორც მაგალითად: ჯამები, კოკები, საღვინე ხელადები და მ. სხ.

მოჯალაბის ოჯახს მიაქვს სახლში გასაძეხვავად ერთი კვა [3]) ღომის თაველები და გაძეხვილს უბრუნებს მებატონეს ორ ბათმანს, [4]) დანარჩენს თვითონ იტოვებს.

---

1) ქილა—საწყაო ხორბლეულისა, უდრის 37 გირვანქას.
2) კოკა—საწყაო სითხისა, უდრის 30 გირვანქას.
3) კვა—ერთი ფუთი, 36 გირ. და 24 მისხალია
4) ბათმანი ღომი—22½ გირ.

ბ) მოჯალაბე ლეჩხუმში

აქ მოჯალაბეს იგივე მოვალეობა აწევს კისრად და იგივე უპირატესობა აქვს, როგორც ქვემო სამეგრელოში, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ მოახლეს აძლევენ თითოეულ ცოლქმარზე კი არა, არამედ ერთს **კომლიდან**, როგორც ზემო-სამეგრელოში და მებატონე მოჯალაბის დაქორწინებაში ხარჯს არ ეწევა.

ჩვენ აღვწერთ მოჯალაბეთა კლასი, დავინახეთ, რომ იმათაც შეუძლიათ თავი დააღწიონ თავიანთს აწინდელს მონურ მდგომარეობას, თუ მიწაზე გადავლენ, გაერევიან გლეხების უკეთეს კლასს, რომელსაც **მებეგრე** ან ბეგრის გადამხდელი ჰქვიან. მაგრამ არ აგვიხსნია, თუ რატომ არ მოელო ბოლო და არ გადავარდა ეს კლასი ამ გზით. მოჯალაბეთ რაც უნდა დაიხსნან თავი და რაც უნდა ეცადნენ ყველას მიერ ყბადაღებულ და ათვალისწუნებულ კლასიდან უფრო გაკეთილშობილებულ კლასში გადასვლას, მებატონე სულ მუდამ ახერხებდა დანაკლისი შეევსო. მაგ. ბატონი მოჯალაბედ აქცევდა: 1) მოახლეთა უკანონოდშობილ შვილებს, 2) მიგდებულ ბავშვებს, 3) ბრძოლის ველიდან მოყვანილ ტყვეებს, 4) სხვათა გლეხებს, რომლებსაც სისხლის აღების საფასურში სხვა მებატონენი აძლევდენ და ბოლოს, 6) თავის საკუთარ გლეხებს, რომელნიც დიდს დანაშაულს რასმე ჩაიდენენ მათს წინააღმდეგ.

ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ ბატონს თავისი გლეხები მოჯალაბედ გაუხდიათ—**სრულებით უსაბუთოდ**, სრულიად უმიზეზოდ, მაგრამ ამ შემთხვევაში მებატონე ხელმძღვანელობდა თვითნებობით და არა კანონითა და ადათით.

2

მებეგრე—ბეგრის გადამხდელია. ეს სიტყვა ოსმალურად—მოვალეობასა ნიშნავს. სამეგრელოში ეს სიტყვა ნატურალურ გადასახადსა ჰქვიან. სიტყვა **ბეგარას** მაგიერ სამეგრელოში ზოგჯერ ამბობენ **დებულებას**, ე. ი. **რაც დადებულია, დაწესებულია ჩვეულებით.** ეს კლასი სამეგრელოში, მოჯალაბეთა კლასთან შედარებით, უფრო საპატიო კლასად ითვლება. მაგრამ სხვადასხვა გადასახადებით გლეხობის არცერთი წოდებაა ისე დაბეგრილი, როგორც **მებეგრე**. ამ წოდების გლეხების ყოველს კომლსა ჰმართებს: ა) **თავი-ბეგარა** (უმთავრესი ანუ ძირითადი გადასახადი), ბ) **დაჭატებითი** სხვადასხვა სახელწოდებით და გ) ბეგარა სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა სა-

ხელწოდებისა. არ შეიძლება იყოს ისეთი კომლი **მებეგრეთა** კლასისა, რომ თავი-ბეგარა (დუდი-ოგაფური) არ ემართოს, მაგრამ ისიცაა, რომ როცა თავ-ბეგარას იხდის, შეიძლება დამატებითს გადასახადს არ იხდიდეს, თუ იხდის დამატებითს გადასახადებს, იხდის დამატებითის გადასახადების ყველა სახეს ან და მხოლოდ ზოგიერთს მათგანს.

ახლა განვიხილოთ, თუ რა და რა გადასახადებს იხდიან **მებეგრენი**. სამეგრელოს ზემოაღნიშნულ სამ ნაწილში რაში გამოიხატება ეს გადასახადები და რა ზომით იხდიან?

ა) გადასახადები ქვემო სამეგრელოში.

1) **ბეგარა** ანუ თავი გადასახადი ანუ, უფრო სწორე იქნება, — **თავი-ბეგარა**—ძირითადი გადასახადი, შეიცავს: 1 ღორს 4—5 მანეთიანს, 1—10 კოკა ღვინოს, 15 ქილა ღომს და ერთი ქათამს.

დამატებითი გადასახადი

2) **საური**—საერობო გადასახადია და ეკუთვნის თვით სამეგრელოს მთავარს. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არის რამდენიმე მამული, რომლებიც ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენენ, და მთავრის მაგივრად მებატონენი ღებულობენ ამ გადასახადს, რომელსაც ყოველწლიურად იხდიან გლეხები და რომელიც კომლზე ათ შაურს შეადგენს.

3) **საუდიერო**. ეს წარმოსდგება სიტყვა **უდიერი, უდები**-საგან, რომელიც ნიშნავს: ურჩს, გაუგონარს, და იხდიან საურად. ეს გადასახადი განსაკუთრებულ შემთხვევისათვის არის დაწესებული, მაგრამ მისი გადახდა ჩვეულებად გადაიქცა. ამ გადასახადს ბლეხები უმეტეს წილად იხდიან, როგორც საურს, მაგრამ, ზემოხსენებულ გამონაკლისთა გარდა, არის შემთხვევა, როცა მთავარი საუდიეროს გადახდევინებას უთმობს გლეხების ბატონს. ასე და ამგვარათ ეს გადასახადი არსებითად იგივე საერობო გადასახადია, რომელსაც გლეხები იხდიან მათი კერძო მებატონეთა სასარგებლოდ.

ამ გადასახადს ყოველწლიურად ამნაირად იხდიან: თითო ორ მანეთიანს ღირს, 10-დან 15 კოკამდე ღვინოს, 1—5 ქილა ღომს და 1 ქათამს.

4) **ოჩამური ანუ ოჭკომური**, რაიცა პირდაპირ ასე გადმოითარგმნება: საჭმელი, სასაზრდოებელი. ბატონი თავის ცოლშვილიანათ წელიწადში ერთხელ და ხან ორჯელაც ეწვევა გლეხს, რომელ-

საც ესა მართებს. აქ ბატონს უნდა აჭამოს და ასვას გლეხმა. აქედან ბატონი მეორე კომლს მიადგება, იქიდან სხვებს, სანამ ყველას არ მოიგლის.

საჭმელად უნდა მოიტანოს გლეხმა ერთი წლის ბურვაკი ან თხა, ერთი კოკა ღვინო, ერთ ბათმანიდან ერთ ქილამდე ღომი და ერთი ქათამი.

5) **ცხენის-ჭაობა**—გამოკვება ბატონის ერთის ცხენისა და მეჯინიბესი ერთს ზამთრის თვეში. ერთი თვე რომ გავა, ცხენი გადაჰყავსთ მეორე კომლის სახლში, ვისაც ეს ბეგარა მართებს და ა. შ. ჩალა და სიმინდი ცხენს იმდენი უნდა დაუყარონ, რამდენსაც მოერევა, ხოლო მეჯინიბეს სუფრაზე ხსნილში ეძლევა: ღორის ხორცი, ქათამი, ყველი, ან რასაც იშოვნიან, მარხვაში—ლობიო, მხალი და მ. სხ. როგორც ხსნილში, ისე მარხვაში სასმელად ღვინოც ეძლევა.

მოხდება ხოლმე, თუმცა იშვიათია ასეთი შემთხვევა, როცა ბატონი ინებებს, რომ ცხენი საკუთარს თავლაში ებას. მაშინ გლეხებს ბატონთან მოაქვსთ საკვები ცხენისათვის და საჭმელი მეჯინიბესათვის, ამ ზომით: ცხენისათვის ყოველს კომლს მოაქვს 300 კონა ჩალა და 3 ქილა სიმინდი, მეჯინიბესათვის 1 ქილა ღომი, 1 კოკა ღვინო და სხვა საჭმელი: ხსნილში—სახსნილო და მარხვაში სამარხო.

6) გამოკვება **მისულ სტუმრების** ცხენებისა და მეჯინიბეთა. ეს ბეგარა ერთდროულია და შემთხვევითის ხასიათისა. მოსულ სტუმრების ცხენებსა და მეჯინიბეთ სოფელში გლეხებს გაუგზავნიან და, სანამ სტუმრები ბატონთან არიან, ყოველმა კომლმა გლეხმა რიგ-რიგობით უნდა აჭამოს და ასვას ცხენ-მეჯინიბესა.

7) **საბოჭი ქათამი**—ქათმების მობოჭვა ან მოკრეფა. ხსნილში ბატონი მოითხოვს თუ არა, თითოეულ კომლს თითო ქათამი უნდა გამოართვან; მაგრამ თვეში ერთჯელ მეტად არ იქნება ქათმების მობოჭვა.[1]) თუ ეს ბეგარა ბატონმა ამა თუ იმ დროს არ მოითხოვა, გადაუხდელ ბეგარად არ ჩაეთვლებათ გლეხებს.

8) **ოქირსე-პური** (ქრისტეშობის მარხვისა). ამ ბეგარას იხდიან ქრისტეშობის თვის მარხვაში. მოაქვსთ ბატონთან: ორი დოდო-პური (დიდი პური), ერთი მჭადი, **ბადიდი ჭიდი**—გაფუვებული მჭადი, და სამარხო სურსათი: 1 **კოთხო** ლობიო და შესანელებლად მისი სიმყოფი კაკალი, ხახვი, მარილი, წიწაქა და მწვანილი, აგრეთვე ხულისა, ჭარხლისა, ოხრახუშისა და სხვათა მწნილი.

---

[1]) არის ისეთი მამულები, სადაც ამ მოთხოვნას საზღვარი არა აქვს, მაგრამ აქ, ჩემის აზრით, ადგილი აქვს ბატონის თვითნებობას და არა ადათს.

9) **საყველიერო**—ყველიერის ბეგარა. ვისაც ეს მთავრის სასარგებლოდა მართებს, ბატონისათვის აღარ იხდის, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა. ეს ბეგარა შესდგება: 30 კუბილ ყველისაგან (იმერული ყველი), 30—40 კვერცხისა და სხვადასხვა სიდიდისა და ჯიშის თევზისაგან, იმის და გვარად, თუ როგორ მართებს.

10) **ოდიდპიჩური** (სადიდმარხვო). ამ ბეგარას დიდმარხვაში იხდიან. ეს გადასახადიც იმდენივეა, როგორც ქრისტეშობისთვის მარხვის გადასახადია, მხოლოდ მიემატება კიბოცა.

11) **სამარხო**, ე. ი. მარხვისათვის. სხვა დანარჩენ მარხვაში იხდიან სხვადასხვა და მცირედის რაოდენობით კავალასა, ლობიოსა და მწვანილსა.

12) **სააღდგომო**. აღდგომის კვირისათვის, როგორც ყველიერში, იხდიან ბეგარას. ზოგიერთი მებატონე ამ ორ ბეგარიდგან მეორეს ახდევინებს, მხოლოდ პირველის სახელით.

13). **ობატკური**—საბატკნო. ეს ბეგარა გამოგონილია, თითქმის თვითნებურია. იხდიან ნააღდგომევს. გადასახადია ციკანი ერთი ანუ ორი. გადასახადის აღება დაიწყება მაისის თთვიდან, როცა გუგული პირველად დაიძახებს „გუგუს“ და, მაშასადამე, გუგულის ხმიანობის შემდეგ დაბადებული თიკნები საშენად არ ვარგაო. კარგი რამაა მოგონებული ბეგარის ასაღებად!..

14) **ძღვენი**—ჰქვიან ხორაგის მირთმევას არა მარტო ბატონისათვის, არამედ ყველა სხვა საპატიო სტუმრისათვისაც. ეს ბეგარა ასე გაჩნდა: პირველად ნებაყოფლობით მიართმევდენ ხოლმე გულის მოსაგებად, სტუმარმოყვარეობით. იქ, საცა ეს ბეგარა დღესაც ნებაყოფლობითია, ძღვენს მიართმევენ ხოლმე სხვადასხვა მიზეზით. როცა უნდათ ბატონისაგან თავი გამოისყიდონ პირადად, ან შეისყიდონ მამული, ან თავი გაინთავისუფლონ სხვადასხვა ბეგრისა და გადასახადისაგან, ან, დასასრულ, როცა თხოულობენ მიწას, რისამე მოყიდვას, დამოყვრებას და სხვ. ყველა ამ შემთხვევას წინ უძღვის ძღვენი. იქ, სადაც ძღვნის მირთმევა სავალდებულოა, ძღვენი მიაქვს საშობაოდ და სააღდგომოდ. პირველ შემთხვევაში, ე. ი. საშობაოდ, ძღვენი შესდგება: **ღვეზელისა**—დიდი ოვალური პურისა, რომელშიაც ჩატანებულია მაგრად მოხარშული კვერცხები, ზოგჯერ ყველიცა; ერთი-ორ ყვერულისა; ტიკჭორა ღვინისა და **კვერეხისა** (იმდენი კვერია, რამდენიც ბავშვია სახლში). უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. სააღდგომოთ კი მოჰყავსთ: ბატკანი, ციკანი ან ყვერული (მთხოველის შეძლების კვალობაზე), ტიკჭორა ღვინო და ცხრა კვერცხი.

15) **სამასპინძლო**—ბატონისა და მისის ოჯახის გამასპინძლება წელიწადში ერთხელ. ეს ბეგარა თვითნებითია, იხდიან მას უფროსერთ შემთხვევაში **აზატები** ან მესამე და უკანასკნელ ხარისხის გლეხები.

16) **საპურე-პური** ანუ **სამახებო**. ეს ბეგარა ადევს პურის მოსავალზე. მიაქვთ ორი **დედო პური**, ანუ დიდი მრგვალი პურები, კერაზე გამომცხვრები, ერთი ტიკჭორა ღვინო (სამ მანერკამდე), ერთი ქათამი ან ორი სულგუნი.

17) **სამაჭრო** ანუ **სამაჭრეპო**. ეს ბეგარა უკანონოა, მაგრამ შემოსულია და ყველა იხდის და იმავე ზომით, როგორც **ოჭკომურს**.

18) **სახურო**—ხუროებისათვ ს. ეს ბეგარა შემოიღო ლევან დადიანმა მაშინ, როცა შენდებოდა ზუგდიდში ეკლესია და მდინ. ხობისწყალზე სოფ. ხორგაში პირველი სანდლები რომ ააგეს. და ამავე მიზნისათვის იყო შემოღებული; მაშასადამე, ეს ბეგარა დროებითის ხასიათისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მერეც არ გაუუქმებიათ და ახდევინებენ ყველა მეგრელს მთავრის სასარგებლოდ. ზოგიერთმა მებატონემ ეს შემთხვევა ხელზე დაიხვია და თავიანთს საბატონოშიაც შემოიღო და ახლა ახდევინებენ გლეხებს, როცა ხუროები უყენიათ და სახლებს იშენებენ, რომ ოსტატებსა და მუშებს აჭამონ. ეს გადასახადი იმავე ზომით გადახდებათ, როგორც **ოჭკომური**.

19. **საკერძუალო**--კერძუალების შესანახი
20. **საბაზიერო**—ბაზიერთა შესანახი
21. **სამეჯოგე**—მწყემსების შესანახი

} სამი კოთხო ღომი, თითო კოკა ღვინო და თითო ციკანი წელიწადში.

22) **სამეჯინიბო**—შესანახი სამეგრელოს მთავრის მეჯინიბეთა, რომლებიც უვლიან დაბმულ ცხენებს. სხვა მებატონეებს, დადიანთა გვარის თავადებს გარდა, ამ გადასახადის გადახდევინების უფლება არა აქვს მინიჭებული, და თუ, ვინიცობაა, ასეთი გადასახადი არსებობს სადმე, ცხადია, თვითნებობაა, ძლიერის უფლებაზე დამყარებული. ყოველი კომლი უმასპინძლდება წელიწადში ერთხელ შეძლებისა-და კვალად.

23) **საუნადო**. ამ გადასახადს იხდიან ყანაში პირად მუშაობის მაგივრად. ეს მართებს ყველა ოჯახს, საცა არის მამაკაცი, რომელიც ვალდებულია ყანაში იმუშაოს. შეთანხმებაზედაა დამოკიდებული და ისე თითოული კომლი იხდის წელიწადში ღომს ათ ქილამდე ან ფულად, ხოლო სამუშაოზე ვინც არ გამოვა, დღეში ათ შაურიდან ოთხ აბაზამდე იხდის.

24) **საქორწილო**—ჯვარისწერის გადასახადი. იხდიან მაშინ,

როცა ბატონის ოჯახიდან ქალს ათხოვებენ ან ვინმე ცოლს ირთავს. ეს გადასახადი შემთხვევითია და გლეხები თავიანთის ქონების კვალობაზე იხდიან—ზოგი კომლი ერთს ძროხას იხდის, ან ერთს ძროხას ორი კომლი ერთად, ან, კიდევ, ფულად იხდიან, რაც ძალიან იშვიათად ხდება, თუმნიდან თუმანახევრამდე.

25) **სამარხი**—მიცვალებულის დასამარხავი. ეს გადასახადიც შემთხვევითია. როცა ვინმე მოკვდებოდა ბატონის ოჯახის წევრთაგანი, გლეხები იხდიდენ 1-დან 5 მანეთამდე.

26) **საჩექმო**. ამას ახდევინებდენ გლეხებს მაშინ, როცა ათხოვებდენ გლეხის ქალს და მიათხოვებდენ ისეთს კაცს, რომელიც იმავე ბატონს არ ეკუთვნოდა. რაოდენობა გადასახადისა იყო თუმნამდე. ხოლო როცა თვითონ გლეხს მოჰყავდა ცოლი, სამეფოს ართმევდენ ექვს აბაზს. როცა თავის მოახლეს სხვათა გლეხზე ათხოვებდა გლეხი, მებატონე ღებულობდა 2 მანეთიდან სამ თუმნამდე.

27) **საქვრივო**,—როცა გლეხის ქვრივი სხვა მებატონეს კაცს მისთხოვდებოდა, მებატონე ერთს ხარს ახდევინებდა.

28) **სალაშქრო**—შემთხვევითი და ერთდროული გადასახადია იმ დროისა, როცა ბატონი ლაშქრად მიდის. ერთის სიტყვით, ხუთსავე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გლეხი მოვალეა თავისს ბატონს დაეხმაროს **შეძლების-და კვალად**, განსაკუთრებით სურსათით და საკლავით და ზოგჯერ ფულითაც.

29) **საციხო**. ეს გადასახადი შემოღებულია შესანახად ციხისა, ე. ი. მცველებისა და ტყვეებისა, სახელმწიფო, საზოგადო და საერობო საჭიროებისათვის; კერძო მებატონეთ ამ გადასახადის მიღებაში წილი არ უდევსთ. მეტად და მეტად იშვიათია იმის შემთხვევა, რომ კერძო მებატონეს მოენდომებინოს გლეხისათვის ეს გადასახადი გამოერთმიოს. ამ გადასახადის ძალით გლეხი აძლევს 1 კოკა ღვინოს, 1 ქილა ღომს ან ხორბალს და 1 ქათამს.

30) { **კულუხი** / **საკულუხო** / **საჯედოფლო** } ერთი და იგივე გადასახადია, ოდითვე არის შემოღებული და დედოფლის სასარგებლოდ იკრიბება. მთავრის მეუღლის გარდა ამ გადასახადის აღების უფლება არავისა აქვს. თითოელი კომლი წელიწადში ერთხელ იხდის თითო გორო ხორბალს.

31) **საბოურაო**—მოურავთა შესანახი. საერობო ბეგარაა და მიდის ადგილობრივი საპოლიკიო მმართველობის შესანახად. რაოდენობა იმდენია, რაც **საციხო** იყო.

32) **ხედლი აბრეშუმი**. აბრეშუმის ყოველ ახალ მოსავალზე ყოველი კომლი იხდის 1—4 ლანდს.

გარდა ამისა, ახდევინებდენ: ცვილს, თაფლს, ქერს, კანაფს, სელს, კანაფის თესლს, სელის თესლს, ტილოს, თოკს, ბრინჯს, თუთის ფოთლებს, ხილს და სხ.

ბ. ბეგარა

სამეგრელოში სამგვარი სამსახური ემართათ:

1) **შინაყმა** ანუ **ფარეში**—ოჯახში მოსამსახურე. ყოველი **მებეგრე** კომლი მოვალეა ბატონს მისცეს მუდმივი მოსამსახურე—ფარეში ანუ შინაყმა. ამ ბეგრისაგან მხოლოდ ის თავისუფლდება, ვისაც აზატობის ქაღალდი უბოძება ან როცა კომლში ერთი მუშა-ხელის მეტი არ არის.

ფარეში ბატონის ოჯახში ყველაფერს აკეთებს, ღომის ძეხვის გარდა. მთავართან და საერთოდ დიდ მებატონეებთან ისეთი სხვადასხვა თანამდებობაზე ინიშნებიან ხოლმე და ამიტომ მხოლოდ დაკისრებულ საქმეს ასრულებენ; წვრილ მებატონეებთან კი ფარეში ანუ შინაყმა ყოველგვარ საქმეს აკეთებს (ღომის ძეხვისა და განიავებას გარდა), მაგალითად: ხნავენ, მკიან, ღობავენ, სიმინდს მარგლავენ, შეშა ძოაქვსთ ტყიდან, სუფრაზე ემსახურებიან, მზარეულობენ, მეჯინიბობენ, ხაბაზობენ და სხ.

2) **მოახლე**—მსახური ქალი. ზოგი მებეგრე ვალდებულია კომლზე თითო მოსამსახურე ქალი მისცეს და მასთან სამუდამოდ.

3) **ნადოლა**—ბატონის ყანაში მუშაობა. ყოველ კომლიდან გამოდის თითო კაცი ან სხვაგან შოულობენ ასეთს კაცს და თავის მაგივრად ჰგზავნიან სამუშაოდ. მიდის, საჭიროების და კვალად, ან ცარიელი ან თან მიაქვს ურემი. ეს მუშაობა ორშაბათობითაა. მუშაობის საგანს შეადგენს—თოხნა ყანისა, ჭირნახულის მოწევა. ზოგიერთ მებატონის მამულში გლეხები სამ დღეს მუშაობენ კვირაში. ნადობაშივე შედის მუშის მიცემა სახლის აშენების, საშენ მასალისა და შეშის ზიდვის დროსაც. პირველ შემთხვევაში გლეხებს აჭმევს ბატონი, უკანასკნელ შემთხვევაში კი—საჭმელი გლეხებისაა; უკეთუ ბატონს ნადი (მუშები) არა სჭირია, ან გლეხები ამა თუ იმ მიზეზით სამუშაოზე არ გამოცხადდენ, პირველ შემთხვევაში უნდა გადიხადონ წელიწადში 10 ქილა ღომი ან მისი საფასური ფულად, უკანასკნელ შემთხვევაში კი—ფულად იხდის ათ შაურიდან ოთხ აბამდე ზამდე დღეში და ამ ბეგარას ჰქვიან **საუნადო**, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

4) **ტვირთობა**. გლეხი ვალდებულია გადაიტანოს ბატონის ბა-

რგი ერთი ადგილიდან მეორეზე, როცა ბატონი ან მისი ცოლშვილი ერთ ადგილიდან სადმე მიდიან.

5) **მეციხოვნება.** საციხე სამსახური, ციხისა და ტყვეების სადარაჯოდ. ეს ბეგარა საერობოა.

3

გადასახადები:

ბ) ზემო სამეგრელოში

მთავარი გადასახადი:

1) ბეგარა ანუ თავი ბეგარა არის: 2 ღორი და 2 ცხვარი-2—3 მანეთად ღირებული; 6—10 კოკა ღვინო; 1—10 ჭილა ღომი და 1 ქათამი.

დამატებითი გადასახადი.

2) **საური**— ათი შაური.

3) **ნ.ურიოუ (საუდიეროს** მაგიერ): 2 ღორი ან 2 ცხვარი 2—3 მანეთიანი.

4) **ნათხიირი**—ნათხოვნი (**ოჩამური**—საკვების მაგიერ): 2 წვრილ-ფეხა საქონელი (ღორი ანუ ცხვარი) ერთი მანეთიანი და მეორე ექვს აბაზიანი და ორ-ორი ქათამი კვამლის **ყოველ ცოლქმარზე.** უცოლონი და ქვრივები ამ გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან.

5) **ცხენისჭამობა** ისევე, როგორც ქვემო სამეგრელოში, მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ აქ გლეხი ინახავს ორ ცხენს და ერთი მათს მეჯინიბეს ორის კვირის განმავლობაში, ზამთარში.

6) მოსულ სტუმრების ცხენებისა და მეჯინიბეთა შენახვა აქაც ისეთივეა, როგორც ქვემო სამეგრელოში.

7) **საბოჭი-ქათამ**, ისევეა, როგორც ქვემო სამეგრელოში.

8) **ოქირსეპიჩური** (ქრისტეშობის თვის მარხვისა).

9) **საყველიერო**

10. **ოდიდპიჩური** (სადიდმარხვო)

ამ მუხლებში აღნიშნული გადასახადი დადებულია ისევე, როგორც ქვემო სამეგრელოში, იმ განსხვავებით კი, რომ ხახვსა და მარილს სრულებით არ იხდიან, ხოლო ლობიოსა და კაკალს ერთის მაგიერ სამ **კოთხოს** აძლევენ.

11) **სამარხო**
12) **საალდგომო** } აქ არ არის.
13) **ობატკური**—ერთი ციკანი ან ბატკანი ექვს აბაზიანი.
14) **ძღვენი**—ისევე, როგორც ქვემო სამეგრელოში.
15) **სამასპინძლო**—ბატონის დახვედრა, **როცა კი ეს გლეხს ეწვევა.**
16. **ოციცირი (საპურე-პურის** მაგიერ)—ადრეული ღომი, მოსავალზე 1—2 ბათმანი.
17) **სამაჭრო**—1—3 კოკა ღვინო და ღომი 1 ბათმანიდან ერთ ჭილამდე.
18) **სახურო**—30 კბილი ყველი, $^1/_2$—1 კოკა ღვინო და 1 ბათმანი ღომი.
19. **საკერძუალო**
20. **საბაზიერო**
21. **სამეჯოგე**
22. **სამეჯინიბო**
23. **საუნადო.**
} იმ ნაირადვე და იმავე ზომისა, როგორც ქვემო სამეგრელოში.
24. **საქორწილო**—ყოველ სოფლიდან და ზოგჯერ ყოველ მრავალრიცხოვან ოჯახიდან თითო ძროხა.
25. **სამარხი**—სურსათისა და საკლავების მოგროვება, შეძლებისა-და კვალად, მაგ. ღვინისა, ღომისა, ლობიოსი და სხ. და ცხენებისა და მეჯინიბეთა შენახვა, თუ მიცვალებული ზამთრის თვეებშია დასამარხი.
26. საჩექმო
27. საქვრივო
28. სალაშქრო
} არ არის.
29. საციხო
30. კულუხი, საკულუხო, სადედოფლო
31. სამოურაო
} იგივეა, რაც ქვემო სამეგრელოში.
32. **აბრეშუმი**—თითო ლანდი ყოველ ცოლ-ქმარზე.
34. **საყაჭო**— გადასახადია აბრეშუმის ჭიის მოყვანის დროს ჭიის მომვლელთათვის. ეს გადასახადი იშვიათია და იმდენსავე ახდევინებენ, რამდენსაც **სახურო-ში,** და ეტყობა, აქ ძალდატანებითია, რადგან სამეგრელოს სხვა ნაწილებში არ არსებობს. სხვა დანარჩენი

წვრილმანი გადასახადების შესახებ აქ შეიძლება იგივე ითქვას, რაცა ვსთქვით ქვემო-სამეგრელოს შესახებ.

ბეგარა.

1. **შინა-ყმა**—იგივეა. და იგივე მოვალეობა აწევს, რაც ქვემო-სამეგრელოში.

2. **მოახლე**—ეს ბეგარა არ არსებობს მაშინაც კი, როცა ოჯახი უძეოდ ამოსწყდება. ოჯახის ამოწყვეტის დროს ბატონს მიაქვს **საპარტახო** და **საუშვილო**, რომლის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

3. ნადობა
4. ტვირთობა
5. მეციხოვნობა

} ამ ბეგრების შესახებ შეგვიძლია იგივე ვსთქვათ, რაცა ვსთქვით ქვემო-სამეგრელოს შესახებ.

გ) გადასახადი ლეჩხუმში.

მთავარი გადასახადი:

1. **ბეგარა ანუ თავი-ბეგარა.** ამაში შედის: ერთი ღორი—4 მანეთიანი, ღვინო—3—10 დორა[1]), ხორბალი[2])—2—5 გორო და ორი ქათამი[3]).

დამატებითი გადასახადი

2. **საური.** ამ გადასახადს იხდიან კომლობრივ: თითო კომლზე 2 ცხვარი, თითოეული ექვს აბაზიდან ორ მანეთამდე ღირებული.

3. **საუდიერო**—იგივე და იმავე რაოდენობისა, რაც ქვემო-სამეგრელოში.

4. **ოჩამური.** ეს გადასახადი აქ არ არსებობს.

5. **ცხენისჭამობა.** ბატონის ცხენის გამოკვება და მეჯინიბის შენახვა ისევე, როგორც სამეგრელოში, მხოლოდ იმ განსხვავებით,

---

[1]) განაკუთრებული შემთხვევებიც არის, როცა მთავრის გლეხებს გოგელიანებს, სანებლიძეებს და გასვიანებს და მებატონეებისას—ჩიქვანებს (ორი კომლი) და ჩარკვიანებს, რომელნიც გასვიანების და ფუკტარაძეების გვარსაც ატარებენ, 45—60 დორას ახდევინებენ კომლზე.

[2]) ლეჩხუმში ღომი არ იცის და ამიტომ გადასახადებში ღომის მაგივრად პურს ვამბობთ.

[3]) მებეგრეთა კლასის ზოგიერთი გლეხები მოვალენი არიან პური გალეწონ ხოლმე, რაც სამეგრელოში არ არის.

რომ ბატონს შეუძლია ცხენის მაგივრად გამოსაკვებად გაუგზავნოს გლეხს ძროხა ან ხარი.[1]) ამასთან, ცხენს უყრიან თივას, ქერს ან სიმინდს საძღომად, ხოლო მეჯინიბეს აძლევენ იმავე საჭმელს, რასაც რვითონა სჭამენ.

სვანეთში ცხენს მეტს საკვებს უყრიან, რათგან თივა ბევრია, უფროს მეჯინიბეს (ბზინდარს)-კი მთავრის მამულებში ისევ უმასპინძლდებიან, როგორც უცხო სტუმარს.

6. მისულ **სტუმრების** ცხენებისა და მეჯინიბეთა შენახვა აქ იმნაირადვე იციან, როგორც სამეგრელოში.

7. **საბოჯი-ქათამი**—ქათმების მოგროვება. მთავრის მამულებზე მოსახლე გლეხის კომლზე 12 ქათამს ახდევინებენ; თავად დადიანების მამულში ქათმების რიცხვი განსაზღვრული არ არის, ხოლო დანარჩენ მემამულეთა გლეხთა შორის 15 ქათამია წელიწადში კომლზე.

8. **ოქირსე-პიჩური**—აქ არ არსებობს.

9. **საყველიერო**—ყველიერის კვირაში გლეხებს, განსაკუთრებით სვანებსა, ახდევინებენ კვერცხებს.

10. **ოდიდი-პიჩური** (სადიდმარხვო)—აქ არ იციან.

11. **სამარხო**—იხდიან ლობიოს ორ ფოხალს და მხალს (ხული) ათიოდ ძირს.

12. **საალდგომო**—იგივე გადასახადია, რაც საყველიეროა, იხდიან აღდგომის კვირაში.

13. **ობატკური**—აქ არ იციან.

14. **ძღვენი**—მირთმევა მოსაკითხისა. აქ თითქმის თავის ნებითაა და მიაქვსთ საშობაოდ და საალდგომოდ ქათმები და კვერცხები; სავალდებულოდ ითვლება ძღვენი ნათლიღებას ჩიქოვან და ახვლედიან გლეხებისათვის; თან უნდა მიიტანონ თითოეულმა კომლმა თითო **ფარდაკი** ღვინო და თითო ღორის თავი, სახელდობ საირმე და ზოგიშის სოფლებიდან. ისიცაა, რომ აქ ძღვენს მიართმევენ თავის ბატონს, როცა ეს უკანასკნელი სასახლეს გარეთა სცხოვრობს რაიმე მიზეზით, ან გახიზნულია, მაგალითად, რაიმე გადამდებ სენის დროს და სხვა.

15. **სამასპინძლო**—ბატონისა და მისის ოჯახის გამასპინძლება ან მისსავე სასახლეში ან თვით გლეხის სახლში. **პირველ შემთხვევაში,**

---

[1]) აქ კამეჩები არა ჰყავსთ.

როცა ბატონი შეატყობინებს, გლეხი ვალდებულია მოართვას ბატონს მოხარშული ან შემწვარი ცხვრის ხორცი, სამყოფი პური, ღვინო და სხვა მასთან საჭირო სურსათი იმდენი, რამდენიც საკმაო იქნება ბატონის სასახლეში მყოფთათვის, აგრეთვე შემთხვევითი სტუმრებისათვის, როცა ასეთები იქნებიან. მეორე შემთხვევაში ბატონი, მისი ოჯახობა და სტუმრები ეწვევიან გლეხს და ეს ვალდებულია შესაფერისად გაუმასპინძლდეს თავის ბატონს და თან უნდა აჩუქოს რამე: იარაღი, საქონელი (ხარი ან ძროხა) შეძლებისა დაკვალად.

16. **საპურე-პური.** ამ გადასახადის მაგივრად სხვა გადასახადია—ახლის-ძღვენი: ორი ფოხალი ფქვილი ან გამომცხვარი პური, 2 ქათამი, 2 გვაჯილი (კვერეული ყველი), 2 პარდაკი ღვინო და, თუ აქვს, ხილიცა.

17. სამაჭრო
18. სახურო } ეს გადასახადი აქ არ არის.

1. საკერძუალო
20. **საბაზიერო**
21. **სამეჯოგე** } განსაზღვრული გადასახადი ამისა აქ არ არის, მაგრამ ყოველი გლეხი წელიწადში ერთხელ აჭმევს ბატონის მწყემსს და მის ბაზიერთუხუცესს, და ძაღლებს, როცა ნადირობიდან დაბრუნდებიან.

22. **სამეჯინიბო**
23. **საუნადო** } ისევე, როგორც სამეგრელოში.

24. **საქორწილო**—ისევე, როგორც ქვემო-სამეგრელოში.

25. **სამარხი**—ამ ბეგარის მაგიერ აქ იციან **საშავო**—შავების შესაკერი და იხდიან 3—5 მანეთს ან მის საღირალ სურსათს აძლევენ.

26. **საჩექმო**
27. **საქვრივო** } ხუთი მანეთიდან ერთ თუმნამდე

28. **სალაშქრო**—ერთი ცხენი მთელ სოფელზე და თითოეულ კომლზე 1—2 მანეთამდე.

29. **საციხო**—ისევე, როგორც ქვემო-სამეგრელოში.

30. **კულუხი**
საკულუხო
სადედოფლო } ეს გადასახადი ჰმართებსთ, სვანებსთ გარდა, ყველა გლეხებს და იხდიან იმ წესით, რომ ერთს წელიწადს აძლევენ

სადედოფლოს—დედოფალს თითო გორო ხორბალს კომლზე, ხოლო მეორე წელიწადს ეკლესიის სასარგებლოდ კომლზედვე იხდიან თითო გორო ღვინოს; უკანასკნელ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან გლეხები ჩიქვანები, ახვლედიანები, სოფ. ჭყვიშის სამთავრო გლეხები და სოფ. საირმეს მცხოვრებნი.

31. **სამოურაო**—იხდიან ისევე, როგორც **საციხის**, და, გარდა ამისა, ფულადაც აძლევენ შაურიდან მანეთამდე.

32. **აბრეშუმი და თუთის ფოთოლი**. ეს გადასახადი აქ არ არის.

წვრილ გადასახადებისაგან აქ იხდიან: $^1/_2$ ყურიაშო კანაფს, ერთ კონა კანაფს შვიდ კაპეიკიანს; სვანეთში, გარდა ამისა, აძლევენ გამხმარ ბალახს **ჭალაკოდას**—მარხვაში საჭმელად; მერე იხდიან: ცვილს, თაფლს, სელს, ტილოს 30 მწყთას, თოკს (სახეო ხეებისათვის) და გიდელს ყურძნის საკრეფად და 5—10 ურემს ფიცრებს ან ყავარს, საცა კი იციან თლა ფიცრისა და ყავრის ხდა.

ბეგარა

1. **შინა-ყმა**—იმნაირადვე და იგივე მოვალეობა აკისრია, როგორც სამეგრელოში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ შინა-ყმა, გარდა იმისა, ვალდებულია ბატონის პურიც გალეწოს ან სასახლეში ან თავის სახლში.

2. **მოახლე**
3. ნადობა
4. ტვირთობა
5. მეცხვანობა

ეს ბეგარა ისეთივეა, როგორც სამეგრელოში.

6. **ცხენისნათხოვრობა** ანუ ცხენის თხოვება. როცა ბატონს დასჭირდება, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გამოართვას გლეხს ცხენი და იმით ან თვითონ იაროს, ან სხვა ვინმე შესვას და გაგზავნოს სადმე. ამ ბეგარას ყველაზე მეტს იხდიან სვანები, და, ზოგ შემთხვევაში, **ნადობის** მაგივრადაც ამას იხდიან.

4

აზატი. გლეხების მესამესა და უკანასკნელ ხარისხს სამეგრელოში **აზატი** ჰქვიან, რაიცა სპარსულად ნიშნავს „თავისუფალს“.

მაგრამ აზატები აქ არ იხდიან მხოლოდ ზოგიერთს გადასახადსა და ბეგარასა. ზოგიერთ მათს გადასახადს მებეგრეს გადასახადზე უფრო მეტი ფასი აქვს კიდეც. და ამიტომ თითქოს გაუგებარი უნდა იყოს, თუ რისთვისა სცდილობს გლეხი მებეგრეს კლასიდან აზატების კლასში გადასვლას. მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა ის არის, რომ პირველ ყოვლისა, აზატს ღორის გადასახადი არ ადევს, და ეს კი კეთილ-შობილობის ხარისხის ნიშანია, ამიტომ რომ ღორის გადასახადი სირცხვილად მიაჩნიათ და ეს გადასახადი მებეგრე კლასის დამახასიათებელი ნიშანია. აზატი კი ამ ხარისხიდან უკვე გამოსულია და, ცოტა არ იყოს, უახლოვდება აზნაურთა წოდებას; მეორედ, აზატის კლასიდან გამოსული **შინა-ყმა** და **ფარეში** ბატონის სასახლეში მძიმე და ტლანქ სამუშაოს არ აკეთებს, მაგალითად, არ ეზიდება შეშას, არა სთოხნის, არა ხნავს, ტვირთი არ გადააქვს და სხ., და საერთოდ მის ღირსების დამამცირებელ საქმეს არ აკეთებინებენ და მესამედ, —აზატს უფრო მიესვლება ბატონთან და საპატიო ადგილი უჭირავს მასთან.

აზატის ხარისხში შეუძლია გლეხს გადავიდეს, თუ ისეთი რამ სამსახური გაუწია მებატონეს, ან გასააზატებლად ფული გადაიხადა. გასაოცარია ისა, რომ გლეხი ისე არსად არის გულით მონდომებული დაბალ ხარისხიდან მაღალ ხარისხში გადავიდეს, როგორც სამეგრელოში; აქ მოჯალაბე იმის ცდაშია, **მებეგრედ** იქცეს, მებეგრე—აზატობას ცდილობს, აზატი-კი იმასა ნატრობს—აცა, აზნაურად როდის გავხდებიო—და მ. სხ. აქ შესანიშნავია აგრეთვე კლასიური მედიდურობა: აზატი ცხვირაწევით უყურებს **მებეგრე** კლასს, საიდანაც თვითონ, ეს-ეს არის, გამოვიდა; **მებეგრეს** თავის მხრივ თავი მაღლა უჭირავს და ცდილობს საერთო არა ჰქონდეს რა მოჯალაბესთან, თუნდაც რომ მასთან აკავშირებდეს ან ნათესაური, ან სულიერი ან კიდევ საზოგადო კავშირი. ნამდვილად კეთილშობილებში ეს ქედმაღლობა არ არსებობს—და აზნაური მზად არის თავისს ბატონს და ყველა მაღალ წოდების ან მაღალ ხარისხის კაცს ემსახუროს და აამოს: მიართვას ცხენი, უზანგი დაუჭიროს, მოართვას ჩიბუხი, გახადოს ფეხთ და სხ.

ა) **აზატები ქვემო-სამეგრელოში.**

აზატი მოვალეა ბატონს გადაუხადოს **ყოველ ორ წელიწადში ერთხელ** თითო საუკეთესო ძროხა, 1—2 ქილა ღომი და 1—2 კოკა

ღვინო. უნდა გაუმასპინძლდეს ბატონსა და მისს ოჯახობას წელიწადში ერთხელ, მას ცხენით უნდა ეახლოს ყველგან, გაეგზავნება სხვადასხვა ადგილას და დროებით, საჭიროების-და კვალად, უნდა ათხოვოს ცხენი. ვალდებულნი არიან გამოჰკვებონ ხოლმე ბატონის სტუმრების ცხენები და აჭამონ მათს მეჯინიბეებს; ხშირად ინიშნებიან ხელოსნებად (მამასახლისი) მამულებში და ბატონის სასახლეში. ისეთი აზატიც არის ხოლმე, რომ იმ წელიწადს, როცა არ უნდა გადაიხადოს—ძროხა და ძროხასთან მისაყოლებული ხორაგი, ვალდებულია მოუყვანოს ბატონს თითო თხა ან ცხვარი, მოუტანოს თითო ქილა ღომი და თითო კოკა ღვინო.

ბ) **აზატები ზემო-სამეგრელოში**

აზატის მნიშვნელობა და მოვალეობანი აქ იგივეა, რაც ქვემოსამეგრელოში, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ აქ ისინი არ იხდიან ღომსა და ღვინოს, რომ აქ უმასპინძლდება ბატონსა და მის ოჯახს, როცა კი ეს უკანასკნელნი ეწვევიან და მიაქვს მასთან **ოქირსე-პიჩურის** (ქრისტეშობის მარხვისა) და **ოდიდი-პიჩურის** (დიდმარხვის) გადასახადისათვის დადგენილი სურსათი.

და **გ) აზატები ლეჩხუმში.**

აზატებზე აქ იგივე ითქმის, რაც სამეგრელოს აზატებზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ისინი მოვალენი არ არიან გაუმასპინძლდენ მებატონეს; მაგრამ თუ მებატონემ გააბედნიერა და ეწვია, აზატი ვალდებულია რამე შესაფერი საჩუქარი მიართვას. თუ აზატები ხელოსნები არიან—მჭედლები ან ზეინკლები, რამე რკინეული აზატმა უსასყიდლოდ უნდა გაუკეთოს. გარდა ამისა, აქ აზატები ვალდებულნი არიან შეიტანონ **საური**. სვანეთის აზატები ამ მხრის სხვა ადგილების აზატებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი მებატონეს **წელიწადში ერთხელ** აძლევენ ძროხასა ანუ ხარს.

რაკი გავეცანით გლეხების ამ სამ ხარისხს, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვაცა ვსთქვა: ა) გლეხთა მოვალეობის შესახებ მათის შებატონეების მიმართ; ბ) იმ გლეხების შესახებ, რომელნიც **მინდობილი**-ს სახელით არიან ცნობილნი; გ) იმ საგნების შესახებ, რომლების საშუალებით იხდიან გადასახადს, აგრეთვე როგორც ბაზრისა, ისე ნორმალურ ფასების შესახებ, რომლებიც დააწესა მთავარმა ლე-

ვან დადიანმა საქონლის მაგივრად გადასახდელად და დ) საწყაოს და საზომის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს გადასახადის გადახდევინების დროს.

ა) **მოვალეობანი გლეხებისა მათის მებატონის მიმართ.** ეს გლეხები მოვალენი არიან იხადონ ხოლმე გადასახადები იმ პირთა სასარგებლოდ, ვისაც უქვემდებარებიან მათნი მებატონენი. ეს გადასახადები და ბაგარა შემდეგია: საუდიერო, საური, ცხენის-ჭამობა, საყველიერო, ძღვენი, ნადობა, ცხენის თხოვება, გაგზავნინება და სხ. და სხ., ფარეშობა კი არ მართებსთ. რაოდენობა ამ გადასახადებისა და მათი გადამხდელების მოვალეობისა სხვადასხვა ნაირია. **გლეხის-გლეხს** მართებს მხოლოდ **ნადობა,** მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, როცა მათი მებატონენი, რაც გლეხებისაგან გადასახადები ერგებათ, თავის ბატონს უგზავნიან იმ გადასახადში, რომელიც მართებსთ მათ თავიანთის ბატონისა, ე. ი. მთავარ მებატონესი.

ბ) **მინდობილი.** ეს სახელი ერქვათ ისეთს გლეხებს, რომელნიც თავს შეაფარებდენ ხოლმე ამა თუ იმ მებატონეს. სამეგრელოს „მინდობილი" იგივეა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს—**ხიზანი** [1]. სამეგრელოში **მინდობილს** კიდევ ჰქვიან: სტუმარი და მიბარებული. ერთის სიტყვით, **მინდობილი** ისეთი გლეხია, ვინც სხვის ადგილ-მამულზედა სცხოვრობს. თავის მებატონეს უხდის ყველა გადასახადს, რაც მისგან ემართა, ხოლო მიწის პატრონს უხდის იმ გასახადებს, რაც ურთიერთი თანხმობით დაადგინეს. **მინდობილი** სამეგრელოში (გარდა ენგურის-პირის მცხოვრებთა) მიწის პატრონს აძლევს: ერთ სულ საქონელს, ორ მანეთად ღირებულს, ერთ ქილა ღომს და სამ კოკა ღვინოს. ენგურის-პირის სოფლებში: ორ სულ საქონელს, ერთს რვა აბაზიანს და მეორეს სამ აბაზიდან მანეთამდე ღირებულს. საერთოდ სამეგრელოში მინდობილს ემართა ყველა ის პირადი გადასახადი, რაც აზატს ემართა და, გარდა ამისა, ვალდებული იყო შეენახნა მოსულ სტუმართა ცხენები და მეჯინიბენი.

ლეჩხუმში სრულებით არ არის **მინდობილი.**

გ) საგნები, რომელთა საშუალებით იხდიან გადასახადებს, ფასები როგორც საბაზრო, ისე ნორმალური, რომელიც დაადგინა ამ საგნებზე სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა და რომელიც უნდა შეეტანათ ყმებს თვით საგნების მაგივრად:

---

[1]) ხიზანი აქა ჰქვიან ისეთსა, რომელიც თავს შეაფარებს ვისმე მტრის შემოსვლისა ან რაიმე გადამდებ სენის დროს და სხ.

სახელწოდება	საბაზრო ფასება	ნორმალური ფასი საგნების მაგიერ აღებული
ძროხა	20—25 მან.	ზუგდიდში . . 6 მ. საჩინოსა და ხორგაში . . 10 მ. დანარჩენ ადგილებში . . 7—8 „.
ცხვარი	2 მ. და 20 კ.—3 მ.	1 მ. და 20 კ.
ვაცი.	2—3 მ.	საური . . . 1 მ. და 40 კ. საუდიერო . . 1 „ „ 20 კ. სამაჭრებო. . 1 „ სახურო . . . 1 „
ღორი	2—4 მ.	ისევე
კრავი, ციკანი, გოჭი	1—1 მ. 40 კ.	„ 40 კ.
ქათამი	20 კ.—40 კ.	„ 10 „
კვერცხი ათეული	5—10 კ.	„ 5 „
კვერეული (კიპუ) ყველი	4	„ 1 მ.
ცვილი ერთი ოყა (3 გირ.) . .	1—1 მ. და 60 კ.	„ 1 „
ქილა ხორბალი	1 მ.	„ 40 „
„ ბრინჯი	3 მ.	„ 1 „ 60 „
„ ღომი	1 მ.—1 მ. 50 კ.	„ 60 „
„ სიმინდი	50 კ.	„ 40 „
„ ქერი	50 კ.—70 კ.	„ 30 „
„ ლობიო	1 მ.—1. 50 კ.	„ 40 „
„ კაკალი	60 კ.—80 კ.	„ 40 „
კონა კანაფი	გასასყ. არ არის	„ 5 „
ჯამი კანაფის თესლი.	გასასყ. არ არის	„ 1 „
ტოლი აზრეშუმი ანუ 3 ამოხვევა.	40—60 კ.	„ 40 „
ასეული ყავარი ანუ გონტუ . . .	1 მ.—2. 50 კ.	„ 1 „
ლეინის ნაჭერი (12 ადლი) . .	40 კ.—60 კ.	„ 20 „
კოკა ღვინო	3 მ.	„ 40 „
ძღვენი, რომელშიაც შედის ამ გადასახადის ყველა ჩვეულებრივი შინაარსი, ე. ი. საჭმელი და კოკა ღვინო (2 მანიერკა)	50 კ.—1 მ.	„ 40 „

პირადი გადასახადისათვის.

სახელწოდება	მნიშვნელობა	წლიური ნორმალური ღირებულება
ტვირთვობა	მოვალეობა ბატონის ტვირთის გადატანისა, რრცა საჭირო იქნება	განსაზღვრა შეუძლებელია, რათგან ფულზ. არ შეიძლება შეიცვალ.
ნადობა	ბატონის ყანაში მუშაობა.	1 მ. და 20 კ.—2 მ. და 40 კ.
მუშაობა	მუშაობა სრულდება მოთხოვნისდა კვალად.	შეუძლ. განსაზ.
კალატოზობა	მოთხოვნისდა კვალად შესასრულებელი	„ „
ქეშიკობა	ბატონთან განუშორებლივ ყოფნა	„ „
ცხენის-ჭამობა	ბატონის ცხენისა და მეჯინიბის შენახვა	2 მან.
შინაყმობა (სასახლეში სამსახური) და მასთან შეერთებული:		
მეჯინიბობა	ცხენის მოვლა	
ხაბაზობა	პურის ცხობა	15 მ.
მეთევზეობა	ბატონისათვის თევზის ჭერა	
პურის ლეწვა	—	15 მ.
მეწისქვილობა	—	
შეციხეობა	—	
ფ უ ლ ი		
ჭარჩილი . . . . 10 კაპ.	იყა—3 გირვანქა	
შაური . . . . . 5 კაპ.	ჩარექი—$2^1/_4$ ოყა	
რუბი . . . . . $2^1/_2$ კ.	ოყაში—2 ლაღარიკონ. ან 4 ქსანია	
	ქსანი—2 სტილი	
ზომა, საფუძველად რომ უდევს გადასახადის გამოსაანგარიშებლად:	**ბ) სითხის საწყაო**	
ა) წ ო ნ ა		
	გორო ღვინისა—2 დორა ან 2 კოკა	
შამაზური—3 ოყა ანუ 4 ჩარექი	გორო ანუ კოკა—2 ც. ანუ 3 ბათმ.	
	ბათმანი . . . —4 ლიტ. ანუ 6 ოყა	

გ) ხორბლეულის საწყაო.

გორო ხორბლისა—9 ქილა.

ქილა . . . . . 2 ბათმანი.

ბათმანი . . . 4 კოთხო, ან 4 ლიტრა, ანუ 6 ოყა.

ქილა ლეჩხუმში . 2 ფოხალია, ქალაქებში—3 ფოხალი.

დ) დაახლოვებითი ზომები.

ჯამი კანაფის თესლისა—1 სტილი ანუ 36 მისხალი.

ჯამი ლობიო—$1^1/_2$ ქსანი, ანუ 3 სტილი ანუ 1 ფ. და 12 მისხალი.

ბილი ყველი—20 დრახმი ან 15 მისხალი.

კონა კანაფი—1 ქსანი ანუ 72 მისხალი.

3 ლანდი, 3 დახვევა აბრეშუმისა—1 სტილი, ე. ი. 36 მისხალი.

მიწის საზომი.

ძხური ანუ ერთის დღის სახნავი—სვანეთსა და ლეჩხუმში უდრის თითქმის 450 საჟენს

ქცევა—სამეგრელოს სხვა ნაწილებში—900 კვ. საჟენს.

ქვემოთ მომყავს ცხრილი, თვალსაჩინოდ მაჩვენებელი განსხვავებისა საწყაოსა და საზომს შორის, რომლებიც იხმარება როგორც მთელს სამეგრელოსა, ისე ლეჩხუმსა და ცხენის-წყლის სვანეთში:

ცხრილი

სამეგრელოსა, ლეჩხუმსა და ცხენის-წყლის

ოლქებში	წონა				ხარბლეულის საწყაო			
		ფუთი	გირვ.	მისხალი		ფუთი	გირვ.	მისხალი
ზუგდიდისა და სენაკის ოლქებში	1) ყანთარი—ოსმალური 44 ოყა	3	20	26	1) ურმეული—15 კვა ანუ კალათი [1])	14	4	36
	2) ბათმანი—6 ოყა ანუ 2 შამახური	—	19	12	2) ქილა—2 კვა ან 2 ქილა[2])	1	35	24
	3) შამახური—3 ოყა ანუ 4 ჩარეკი	—	9	—	3) ქილა—12 ოყა ანუ კაჟი ანუ 2 ბათმანი [3]) . . .	—	18	60
	4) ჩარეკი—$2^1/_2$ ოყა . .	—	6	72	4) ბათმანი—6 კოთხო [4]) .	—	37	$33^1/_2$
	5) ოყა—2 ლაღარიკონი	—	3	18	5) კოთხო	—	3	$11^2/_6$
	6) ლაღარიკონი-2 ქსანი	—	1	57	1) ღომის თავთავის გამოსაწყავად			
	7) ქსანი—2 სტილი . .	—	—	76'2	2) მთავრის ქილა – 14 ოყაა, ჩვეულებრივი კი—12 ოყა			
	8) სტილი—50 დრამი	—	—	$38^1/_4$	3) სიმინდისათვისაა, ღომისთვის კი—15 ოყაა . .			
	9) დრამი	—	—	$1^1/_3$	4) ხოლო სოფ. გორდში და მის გარშემო—4 კოთხო			
ლეჩხუმის ოლქში და ცხენის-წყლის სვანეთში.	1) ოყა—4 ქსანი . .	—	3	—	1) გორო—4 ფოხალი .	1	32	—
	2) ქსანი—6 კვერცხი .	—	—	72	2) ფოხალი—2 კურიალი .	—	36	—
	3) კვერცხი	—	—	12	3) კურიალი	—	18	—

ლ ი

სვანეთში ხმარებულ საწყაოსი და წონისა

სითხეთა საწყაო				მიწის ზედაპირის საზომი			
	ფუთი	გირვ.	მისხალი		საჟენი	ალაბი	ჯამი
1) კოკა—3 ბათმანი . . .	—	30	—	1) მწყთა	—	—	$10\frac{3}{4}$
2) ბათმანი [1])	—	10	—	2) მტკაველი	—	—	5
3) დოქი—2 მანერკა ანუ $3\frac{1}{3}$ კვარტი	—	9	24	3) ალაბი ოსმალური . .	—	—	15 / $15\frac{1}{6}$
4) მანერკა	—	4	60	4) მხარი—პირქვე დაწოლილად ორისავე ხელის სიგრძე	—	—	—
1) ბათმანი გაიყოფა $\frac{1}{2}$, $\frac{1}{4}$ და $\frac{1}{8}$ ნაწილებად . .				5) ქცევა—900 კვ. საჟენი	—	—	—
				6) ორთვალი—დღიური სახნავი, 900 მხარი, ანუ 652 კვ. საჟ.	—	—	—
1) გორო—2 დორა . . .	1	20	—	1) მწყთა	—	—	$10\frac{3}{4}$
2) დორა—2 ცალი . . .	—	30	—	2) მტკაველი	—	—	5
3) ცალი—2 თუნგი . . .	—	15	—	3) გოჯი	—	—	1
4) თუნგი	—	5	—	4) მხარი (დაწოლილად ორისავ ხელის სიგრძე)	—	—	—
				5) ნიხა—ზოგან 300, და ზოგან კი—თითქმის 450 დაწოლილად ორისავე ხელის ხიგრძე . . .	—	—	—

აქ საჭიროდა ვსთვლი მკითხველს მივაწოდო რამდენიმე საზოგადო ცნობა, რომელიც დამყარებულია ჩვეულებაზე და ნაწილობრივ ადგილობრივ კანონზე და რომელსაც კავშირი აქვს როგორც წინარე თქმულთან, ისე იმასთან, რასაც ქვემოთ ვიტყვით.

მიწა სამეგრელოში ისე, როგორც საერთოდ საქართველოში, ცხადია, მემამულეებს ეკუთვნის. მაგრამ ის ადგილმამული და ტყეები, რომლებიც გლეხების ხელშია, რაც უნდა დიდის სივრცისა იყოს ეს ადგილ-მამული და ტყეები, მემამულეთ თავის დღეში არ ჩამოურთმევიათ გლეხებისათვის; მსგავსადვე რაც უნდა უჭირდესთ გლეხებს, მემამულენი ვალდებულნი არა ყოფილან მათთვის საჭირო ადგილ-მამული მიეზომნათ. აქედან ის გამომდინარეობს, რომ გლეხები, გაყრის შემდეგ, ბატონს იმდენსავე ღვინოს აძლევენ, რამდენსაც გაყრამდე აძლევდენ; და ასე მანამდეა, სანამ ბატონი ვენახს არ მისცემს, ან სანამ ახალ ვენახს არ გააშენებენ, თუნდაც საკუთარ მიწაზე. მაგრამ რაიცა შეეხება სხვა დანარჩენ გადასახადებს, როგორც მთავარ, ისე დამატებითს, პირველ სამის წლის განმავლობაში ერთად იხდიან გაყრილნი კომლნი. სამ წელს უკან კი ყოველი ახალი კომლი სათითაოდ იხდის პირვანდელის რაოდენობით. მოსამსახურეს (ფარეშს)-კი აძლევენ გაყრის ერთს წელს უკან.

მებატონეთა მამულებს და ტყეებს—**სახასო** ჰქვიან, ესე იგი, ბატონისაა, სახაზინო, და არავის შეუძლია ამ მიწებით უსასყიდლოდ ისარგებლოს. ასეთ მამულებით სარგებლობისათვის მიწის პატრონის სასარგებლოდ გადასახადს იხდიან, რომელსაც **მოდი** ჰქვიან. მოდს იხდის ყველა, ვინც კი სხვის მიწასა ხნავს და სთესავს: ლეჩხუმში—მოსავლის მეხუთედს, ხოლო სამეგრელოში—მეათედს. თუ გლეხი სხვათა მინდვრებზე ან ტყეში აძოვებს საქონელს, იხდის **ხაზას**—ყოველ ას სულზე ორს აძლევს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვსთქვა, რომ როცა გლეხები იყრებიან, ბატონი თავის ქვეშევრდომთაგან იღებს **გასამყრელოს**—უძრავიდან მეათედს, და ზოგჯერ მოძრავიდანაც ღებულობს.

მაგრამ ყველაზე სასაცილოა უკვე გადავარდნილი გადასახადი—**სამჯილო** ან მუშტი-კრივის გადასახადი, ან **საბრიყვო**—ბრიყვულ საქციელისათვის, ე. ი. ყოველგვარ დანაშაულისა და შეცდომისათვის. ერთის სიტყვით, თუ ვინმე ჩხუბს ასტეხავდა, ჯარიმად ახდევინებდენ 5-10 მანეთს თითოეულ შემთხვევისათვის.

აქ არსებობს აგრეთვე **უძეოდ ამოწყვეტის** უფლება, ანუ **საუშვილო**. მთავრიდან მოკიდებული სულ უბრალო გლეხამდე, ყველასა

ჰქონდა უფლება თავის სასარგებლოდ აეღო მამული და ქონება ამოწყვეტილ ქვეშევრდომისა. მამულს ამოწყვეტილის სახელი ერქვა მაშინაც-კი, როცა რჩებოდენ მარტო ქალები, რომლებზედაც მამის მემკვიდრეობა არ გადმოდიოდა, არამედ თავიანთის ჩამომავლობის და და დარჩენილ ქონების შესაფერ მზითევს მისცემდენ და გაათხოვებდენ. სამართლიანი იქნებოდა და დროცაა, ქალებსაც მიენიჭოს მემკვიდრეობის უფლება. ერთი მამული ვიცი, სადაც მემამულენი ამოწყვეტილობის უფლებით სარგებლობდენ იმ დროს, როცა გადაცვალებულ ვაჟის დედმამას ჯერ ისევ სული ედგათ; მაგრამ ეს უმეტესად არაბუნებრივი უფლება ახლახან მოისპო.

ამოწყვეტილ გლეხის ქალთაგან ერთი ბატონს მიჰყავს მოსამსახურედ და სხვებს გაათხოვებს. მაგრამ ისიც-კია, რომ სამეგრელოს მთა ადგილებში ამოწყვეტილ გლეხის ქალებს მოსამსახურეებად ვერ წამოიყვანს ბატონი, თუ ამაზე ქალის ნათესავების, თუნდაც შორეულების, თანხმობა არ იქნება.

გლეხთა, გარდა მოჯალაბეთა, ოჯახების დაქუცმაცება, ან მათი გაყიდვა უმიწა-წყლოდ და საერთოდ ერთ ადგილიდან აყრა, ორმოციან წლებში მთავარმა დავითმა პირდაპირ აკრძალა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მებატონეთ ნება ეძლეოდათ გლეხები ერთ ადგილიდან აეყარათ და სხვაგან დაესახლებინათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთი თანხმობა იქნებოდა, ესე იგი, გლეხისა და ბატონისა; ამ შემთხვევაში აყრილი გლეხი პირველ ორის წლის განმავლობაში გადასახადსა თუ ბეგარას არაფერს იხდიდა და მიწაწყალიც სამყოფად მიეზომებოდა. ეს რამდენიმე ხანია, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, მიწას განსაკუთრებული ფასი დაედო; მით უფრო, რომ გლეხებმაც მიჰყვეს ხელი მიწის შეძენას, ზოგჯერ თავიანთი მებატონეთაგან. და ამ შემთხვევაში სრულ მესაკუთრეებადა ხდებოდენ. მხოლოდ სანანურია, რომ აქ თუ **არ მეგრელს**, მიწის ყიდვა არ შეუძლია. და ეს კარჩაკეტილობა სამეგრელოს ძალიან სწევდა უკან და მომავალშიაც დააბრკოლებს და ხელს შეუშლის მრეწველობას, ვაჭრობას და ყოველგვარ წამოწყებულებას, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის დარგში.

II

პრივილეგიური წოდება სამეგრელოში

მაღალი წოდება, რომელსაც ყმები ჰყავს, შემდეგია: I. მთავა-

რი, II. მონასტრები ანუ სასულიერო უწყება, III. ბატონიშვილები (მთავრის გვარისანი—დაბდიანები), IV. თავადები, V. აზნაურები და VI. მღვდლები.

დაბალ წოდებიდან ანუ არაკეთილშობილთაგან ყმები გლეხებსა ჰყავთ.

მთავარი და სასულიერო უწყება ჩვენ აქ არ დავასახელეთ როგორც უფროსები—პირველი ხალხისა, ხოლო მეორე—ეკლესიისა და ჩავურთეთ წოდებათა რიცხვში სახელდობ იმისთვის, რომ, ჯერ ერთი, თანდათანობითად დაგვესურათებინა პრივილეგიური წარმომადგენელნი სამეგრელოსი ფეოდალურ იერარქიის მიხედვით და მეორედ, რომ აღვენიშნა ეგენი როგორც ყველაზე დიდი მებატონენი ამ კუთხისა.

1

საქართველოს მეფეების დროს სამეგრელოს მთავარი ერისთავად ან სამეგრელოს მმართველად ითვლებოდა; როდესაც საქართველო სამ ცალკე სამეფოდ და სამთავროებად გაიყო, 1469 წ., სამეგრელოს მთავარი ხალხის დამოუკიდებელ უფროსად, თავის ქვეყნის მეფედ იქცა. სამეგრელოს მთავრები სრულუფლებიანნი იყვნენ, სრული ბატონ-პატრონი, არავისგან დამოუკიდებელნი, სანამ მთავარმა გრიგოლმა 1803 წ. რუსეთის ქვეშევრდომობა არ მიიღო [1]).

მთავრის სასახლე იმერეთის მეფეების სასახლეებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ხოლო უკანასკნელ ხანს ფუფუნებითა და სიმდიდრით სჯობნიდა კიდეცა [2]). სამეგრელოს მთავრებს, როგორც ქვეყნის სამართავად, ისე სასახლეში თავიანთი თანამდებობის ხალხი ჰყავდა, მთელი სახლის შტატი, აურაცხელი შინამოსამსახურენი და შინაყმები სხვადასხვა საქმის შესასრულებლად.

ამ თანამდებობებსა და მოვალეობას შემდეგი სახელები ერქვა:

1. **სახლთუხუცესი** (ჰოფ-მარშალი), 2. **მდივანბეგთ-უხუცესი** (მთავრის საბჭოს თავმჯდომარე), 3, **ბოქაულთ-უხუცესი** (ბოქაულების უფროსი), 4. **მოლარეთ-უხუცესი** (ფინანსთა მინისტრი) 5. **ბაზიერთ-უხუცესი** (ქორ-მეძებრების ბაზიერების უფროსი), 6. **კილიტართ-უხუცესი** (კლიტე-გასაღებების გამგეთა უფროსი), 7. **მეჯი-**

---

[1]) რა თქმა უნდა, მთავრებს ამ დღიდან თავიანთის ქვეშევრდომის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება წაერთვათ.

[2]) მთავარი დავითი უკვე სავსებით ევროპულად და მდიდრულად სცხოვრობდა.

ნიბეთ-უხუცესი (ობერშტალმეისტერი), 8. **მეთოფის-თავე** (საიარაღო პალატის გამგე), 9. **მერიქიფე**—ღვინის მწდე, 10. **მეღვინეთ-უხუცესი** (ობერ-შენკი), 11. **კერძუალთ-უხუცესი** (ობერ-ეგერმეისტერი), 12. **მესტუმრე**—სტუმრების დამხვედრი და პატივისცემელი, 13. **მოურავი**, 14. **მოლარე**—განძთა შემნახავი, 15. **ბოქაული**—გადასახადების გადამხდევინებელი, 16. **მზარეული**, 17. **ქეშიკი**—საქონლის გადასახადის ამკრეფი, 18. **მეღვინე**—მარნის გამგე, 29. **ხაბაზი**—პურისმცხობელი, 20. **მეხულე**—ბეღლის გამგე, 21. **ხელოსანი**—სოფლის მამასახლისი, 22. **ფარეში**—მოსამსახურე, 23. **კერძუალი**—კერძების დამრიგებელი, 24. **ბაზიერი**—ქორ-მიმინოების გამგე, 25. **მეჯინიბე**—ცხენების მომვლელი, 26. **მეჯოგე**—ჯოგების მწყემსი, 27. **მეღომისრცხილე**—ღომის გამლეწველი. ახლა ქალები: **გამდელი**, **პირის-ფარეში** (პირადი მოსამსახურე), **მედოშაკე**—საბანგობანი ვისაც ებარა და **მოახლე**—მოსამსახურე.

გარდა ამისა, ზოგს თავის თანამდებობისაგან ჩამოაყენებდენ და სულ სხვა ახალ თანამდებობაზე დანიშნავდენ იმისდა მიხედვით, თუ რომელი საჭიროება მოითხოვდა ამა თუ იმ თანამდებობის დაწესებას. მაგალითად: გაიგებდენ შემთხვევით, რომ მავან ალაგას თევზი ბლომად აღმოჩენილაო, მაშინათვე **მეთევზეს** დანიშნავდენ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ თევზის ჭერა ევალებოდა; ვსთქვათ, ააშენეს წისქვილი—**მეწისქვილესაც** დანიშნავდენ; გავიხედოთ, ეწვივნენ სტუმრები,—ერთ-ერთს ფარეშს მიუჩენდენ და მათს წასვლამდე ფარეშს **ჩიხოული** ერქვა, და მ. სხ.

ზემოაღნიშნულ თანამდებობათაგან ცხრა ეჭირა თავადებს [1]), მეათე ნომრიდან ჩვიდმეტ ნომრამდე—აზნაურებს [2]). დანარჩენებს—მოჯალაბე, მებეგრე და აზნაური გლეხები და გლეხის ქალები ასრულებდენ, რომელთა შესახებ ზევითა გვქონდა ლაპარაკი.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მთელი რიგი თანამდებობათა სხვადასხვა, ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, ბუნდოვან, სახელწოდებათა. ეს თანამდებობის პირნი, კეთილშობილები იქნებოდენ ისინი, თუ გლეხები, გარდა იმ პირებისა, ვისაც უმაღლესი თანამდებობა ეჭირა, ყველანი საერთოდ იწოდებოდენ **შინა-ყმებად** (შინაური ანუ სასახლის მოსამსახურე), **ფარეში**-კი მხოლოდ გლეხთა წოდებიდან შეიძლებოდა ყოფილიყო.

---

[1]) მთავრების ძმები ხშირადა ყოფილან ეპისკოპოზებად, ბოქაულთ-უხუცესებად და მდივანბეგთ-უხუცესებად. ომის დროს მთავრებს ჰყავდათ აგრეთვე სარდლები—ჯარის უფროსები სახელოვან და ნიჭიერ თავადთაგან.

[2]) მდივანბეგებად თავადებიც იყვნენ ხოლმე.

ახლა დაგვრჩა რიგ-რიგათ განვიხილოთ თითოეული ამ თანამ-დებობათაგანი, გავიგოთ, რას ავალებდა ეს თანამდებობა ყოველ მათგანს და ერთი მეორესაგან რა გვარს დამოკიდებულებაში იყო.

1. **სახლთ-უხუცესი**—ნიშნავს სახლის უფროსს, ჰოფ-მარშალს, იგივე სასახლის მინისტრი. მას ევალებოდა თვალყური ეგდო მთელ მამულების შემოსავლისათვის, დაეცვა როგორც ეს მამულები, ისე მთელი ქონება თავის ბატონისა ისე, რომ არაფერი დაკარგულიყო; მასვე ევალებოდა ხარჯი გაეწია სასახლის და მამულის საჭიროები-სათვის; იგივე სრული ბატონ-პატრონი იყო სასახლესი, უხვდებოდა და უმასპინძლდებოდა მოსულ სტუმრებს, ისე ეჭირა თავი, როგორც თვით მთავარს და თავის მოქმედებისა და გაცემულ განკარგულება-თა ანგარიშს უშუალოდ მთავარს აძლევდა.

სახლთ-უხუცესს დიდი გავლენა ჰქონდა სასახლის ყველა თა-ნამდებობის პირებზე; მხოლოდ ეს მისი გავლენა არ ვრცელდებოდა სარდალზე და მთავრის ძმებზე.

სახლთ-უხუცესს უშუალოდ ემორჩილებოდენ: ა)**მესტუმრე**—სტუმრების დამხვდური და დამბინავებელი; როდესაც **სახლთუხუ-ცესი** უბრძანებდა, განკარგულებას გასცემდა—სადილზე თუ ვახშამზე მოერთმიათ საჭმელ-სასმელი. ეს წესი ასეთის ცერემონიალით სრულ-დებოდა:

მესტუმრე სამზარეულოდან თავში მოდიოდა, იმას მოჰყვებო-და მზარეული, რომელსაც **მოჰქონდა ხონჩა**, ამ ხონჩაზე ელაგა ქვა-ბებში და ქოთნებში მოხარშული საჭმელი და სხვადასხვა წვენი; **ქეშიკებს** [1]) (სასახლეში მოსამსახურე ფარეშების ერთგვარი ხელო-ბაა) მოჰქონდათ **ჩელტი**, დატვირთული ხორცის დიდი ნაჭრებით; იქავე **ხაბაზს** კალათით გამომცხვარი პურები მიჰქონდა; **მეღვინე** კოკებით ღვინოს მიათრევდა და მეღომის-რცხილეს (ღუმუშ მარჩხუა-ლი) ან ღომის მომხარშველს ქვაბით ღომი მიჰქონდა.

როცა ეს პროცესია სასახლეს მიუახლოვდებოდა, გამოეგებე-ბოდა სახლთ-უხუცესი, წინ მოუძღვებოდა და მიჰყვებოდა აივნამ-დე ან პირველ ოთახამდე, სადაც მის მეთვალყურეობით დაანაწი-ლებდენ და ჩამოურიგებდენ სტუმრებს.

ბ) **მზარეული**. ყოველგვარ საჭმელს მზარეული აკეთებდა. მის ხელში იყო სამზარეულო, სამზარეულო ჯამ-ჭურჭელი და პატარა მზარეულები.

---

[1]) იგივეა სახარკო საქონლის მომკრეფი.

გ) **ხაბაზი**—პურს აცხობდა.

დ) **მეხულე**—განაგებდა ბეღელს, საცა ინახავდა: ღომს, ფქვილს მარილს, კაკალს, ლობიოს, მუხუდოს, ცერცვს და სხ. სურსათს.

ე) **მეღომის-რცხილე**—მოჯალაბეთა წრიდანააა. მისი საქმეა ღომის ძეხვა, განიავება და მოხარშვა, იგივე ჰკრეფს სასახლეში საჭირო ქათმებს, ლობიოს, კაკალსა და ხახვს იმ გლეხებისაგან, ვისაც ესენი მართებსთ.

ვ) **ქეშიკი**—ეს სახელი სამეგრელოში ერქვა იმ თანამდებობის პირს, რომელსაც ევალებოდა საქონლით ხარკის აკრეფა [1]) იმათგან, ვისაც ეს ემართა. ამ საქონელს რიგ-რიგადა ჰკლავს; და იგივეა სუფრაზე მოხარშულ ხორცის მომრთმევი, როგორც ზევით აღვწერეთ.

ზ) **მეწისქვილე**—წისქვილის ყურისმგდებელი, და

ᲗᲘ) **მეთევზე**—თევზის დამჭერი სასახლისათვის.

მსგავსადვე სახლთ-უხუცესს ემორჩილებოდენ და მის ყოველს ბრძანებას ასრულებდენ **მოურავები**—სოფლის საზოგადოებათა და უფროსები და **ხელოსნები**—სოფლის მამასახლისები.

მოურავები არჩევდნენ მსუბუქ საჩივრებს, თვალყურს ადევნებდენ—სოფლებში წესიერება ყოფილიყო, მათს სამოურაოში გზები კარგათ შეენახნათ. საერთოთ მათ ეკისრებოდათ აღმასრულებელ პოლიციის მოვალეობანი. განსაკუთრებით თვალყური ეჭირათ **მეციხვანეებზე**—ციხის ყარაულებზე,—პირდაპირ მთავარს მოახსენებდენ საქმის მდგომარეობას. ხელოსნები მოურავების თანაშემწეებად ითვლებოდენ და მოურავებს იქით-აქეთ გასაგზავნ-გამოსაგზავნადა ჰყავდათ სამსახურისა და ბატონის საქმეებისა გამო. **ბატონის** საქმეებისა გამო-მეთქი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მთავარსა ვთვლი როგორც კერძო მემამულეს. ხოლო კერძო მემამულეებს სამეგრელოში თავისი შინაური მოურავები და ხელოსნები ჰყავსთ. ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ეს მოურავები და ხელოსნები—ზემოაღნიშნულ მოურავებსა და ხელოსნებს, რომელნიც ექვემდებარებიან მხოლოდ ამ მხარის საადმინისტრაციო ხელისუფლებას.

2. მდივანბეგთუხუცესი ანუ **მსაჯულთუხუცესი,**—მდივანბეგებისა ან მოსამართლეთა უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე,—ამა თუ იმ საქმეს არჩევდა მდივანბეგებთან [2]) ერთად, რომელნიც მას ემორჩილებოდენ მთელის მათის კანცელარიის მოხელეებითურთ.

---

[1]) ქეშიკი ოსმალურად—ტანისმცველსა ჰქვიან.

[2]) მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი—ოსმალურათ და სპარსულათ—მიშნავს საბჭოს წევრს მრჩეველს.

ლევან დადიანის დროს მდივანბეგები სამი იყო. მერე-კი, განსაკუთრებით დავითის დროს, სამოქალაქო მმართველობა უფრო სწორად იყო მოწყობილი და სამეგრელო ოლქებად დაიყო. ყოველ ოლქში საოლქო უფროსები და მათი თანაშემწეები იყო, ხოლო უმაღლეს ინსტანციის ძალაუფლება **საეკლესიო მმართველობისა** და **მდივანბეგების** ხელში იყო.

3. **ბოქაულთ-უხუცესი** — ბოქაულებისა ან იასაულების უფროსი. ამათი საქმე იყო ესა თუ ის საქმე ალაგობრივ გამოეძიათ, ან სასამართლოს განჩინება აღესრულებინათ და ქურდები დაეჭირათ. ბოქაულების რიცხვი განსაზღვრული არ იყო და ამ თანამდებობას როგორც მდივანბეგები, ისე ოლქის უფროსები დააკისრებდენ ხოლმე ყველას, ვისაც ამის ასრულება შეეძლო.

გარდა ამისა, კერძო მემამულეებს შეეძლოთ თავიანთ მიერ დანიშნულ ბოქაულებისათვის სხვადასხვა რამ საქმეც დაევალებინათ, ხოლო საეკლესიო მამულებში ბოქაულების მოვალეობას სოფლის მოურავები ასრულებდენ.

4. **მოლარეთ-უხუცესი**—მთავარი ან უფროსი ხაზინადრებისა, ფინანსთა მინისტრი. მაგრამ ფინანსები არ ებარა, რათგან იმ დროს ქაღალდის ფული სრულებით არ იყო, ლითონის ფული იშვიათი იყო და თუ ვისმე ჩაუვარდებოდა ხელში ასეთი ფული, ან კოლოფში ინახავდა და ან ჯიბით ატარებდა. მოლარეთ-უხუცესის მოვალეობა იყო: თვალყური ედევნებინა, განძეულობა არ დაკარგულიყო და მ. სხ. და მას ემორჩილებოდნენ:

ა) **მოლარე**—მცველი ლართა, საბან-გობანისა, ცხენის მოსართავისა, უნაგირებისა, სხვადასხვა საოჯახო ჯამ-ჭურჭელისა და აგრეთვე სტუმრების ქონებისა და თოფ-იარაღისა.

და ბ) **ფარეში**—მოსამსახურე, ლაქია. ესენი საოთახო სამსახურს ასრულებდენ და ყანაში მუშაობისა და საერთოთ ყოველგვარ შავ სამუშაოსაგან თავისუფალნი იყვნენ. ფარეშებს აგრეთვე მიუჩენდენ ხოლმე მოსულ სტუმრებს და მათ ემსახურებოდენ მათს წასვლამდე და მთელ ამ დროის განმავლობაში **ჩიხოულები** ერქვათ. ჩიხოულების საქმე იყო: სტუმრებისათვის მოეტანინებინა ყველასათვის, რაც მათ სჭირდებოდათ, მაგ. ლოგინი, ჭურჭელი, შეშა, სანთელი, სასმელ-საჭმელი, და ს. სხ.

5. **ბაზიერთ-უხუცესი**—უფროსი ბაზიერებისა (მეშავარდნეებისა). მათი საქმე იყო გაგეშავა და მოვლა შავარდნებისა, ქორებისა და მეძებრებისა.

6. **კილიპტართ-უხუცესი**—უფროსი იმათი, ვისაც გასაღებები და საკუჭნაო ებარა. მის განკარგულებაში იყვნენ ყველა მერიქიფენი —ღვინის მწდენი; ესენი სადილ-ვახშამზე ემსახურებოდენ, უფრო ღვინოს უსხამდენ სტუმრებს; მათვე ებარათ მთელი ჭურჭელი, ღვინის სასმელად დანიშნული, როგორც მაგ.: აზარფეშები, ვერცხლის ლიტრები, სუფრის საწყობი, **ყუმაში** (ვერცხლის ჩოგანი ღომის ამოსაღები) და სასადილო სუფრები და მ. სხ.

7. **მეჯინიბეთ-უხუცესი**—ობერ-შტალმეისტერი. მის გამგებლობაში იყო: თავლები, ცხენები, ცხენის ჯოგები, **ბზინდარი** (მეჯინიბეთ უფროსი), მეჯინიბეები და მეჯოგენი. ისინი მოვალენი იყვნენ ყველაფრისთვის ყური ეგდოთ, არაფერი დაკარგულიყო, ჩაებარებინათ და დაერიგებინათ ცხენების საკვები, დაეთვალიერებინათ და ეწამლებინათ ცხენებისათვის.

8. **მეღვინეთ-უხუცესი**—ობერშენკი. ის იყო გამგე ვენახებისა და ღვინის დაყენებისა; სოფლებში აგროვებდა საგადასახადო ღვინოს და სასახლეში აზიდვინებდა, და ამაში მოურავები და ხელოსნები ეხმარებოდნენ. მას ემორჩილებოდა მეღვინე და მემარნე, რომელსაც ებარა მარანი და იძლეოდა ღვინოს საჭიროების დროს.

9. **კერძუალთ-უხუცესი**—ობერ-ეგერმეისტერი. ამას ემორჩილებოდენ კერძუალები. კერძუალები ზრდიდენ და წრთვნიდენ მეძებრებსა და მწევრებს და იცავდენ სანადირო ტყეებს.

და 10. **მეთოფის-თავე**—ამას ებარა არსენალი, ანუ იარაღთ-საცავი.

აქ საჭიროდ მიმაჩნია დავსძინო, რომ დედოფალს ჰქონდა თავის სახელობაზე მამულები, ჰყავდა საკუთარი სახლთ-უხუცესი, მოურავები და ხელოსნები.

თან უნდა დავსძინო, რომ საქალებოში იყვნენ: **გამდელი** და მას ემორჩილებოდნენ: ა) **პირის-ფარეში**—პირადი მსახური ქალი ან ლაქია დედოფლისა; ბ) **მედოშაკე**—საბან-გობანის გამგე და გ) **მოახლე**.

ზევით უკვე მოგახსენეთ, რომ სხვადასხვა სახელწოდების და სხვადასხვა თანამდებობის მოსამსახურენი გლეხობის წოდებისაგან იყვენ აყვანილნი, სახელდობ **მოჯალაბეთა** და **მებეგრეთაგან**, თანაც განვმარტავ: ყველა მამრობითის სქესის მსახურნი, მიუხედავად მათის თანამდებობის-და კვალად სახელწოდებისა, საერთო სახელს ატარებენ —**ფარეშებს**.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ აქ დასახელებულ მოსამსახურეთაგან

არავინ გააკეთებს სხვის გასაკეთებელს და თუ, ვინიცობაა, მოინდომეთ გააკეთებინოთ—გეურჩებათ. მათი ურჩობა ამ შემთხვევაში პირდაპირ გასაოცარია და ზოგჯერ სასაცილოცაა. რამდენჯერ გამიგონია, რომ ზოგი მათგანი იძახდა—**მოვალე არა ვარ მზითევში გამაყოლონ** ან **მიმყიდონ ვისმე**, ამიტომ რომ ეს **არა მმართებსო**. გლეხის ეს ჯიუტობა თითქოს სასაცილოდ გვეჩვენებაო, მაგრამ თუ კარგათ ჩავუკვირდებით ამ ჯიუტობას ანუ უკეთ—გლეხის თავგამოდებას თავის უფლების დასაცავად, შეიძლება მივაგნოთ კიდეც ამ ჯიუტობის ნამდვილ მიზეზსაც. გლეხი არც ისე გამოთაყვანებულია, რომ არ ესმოდეს, რომ უფრო სამძიმოა—ტვირთი თავის ზურგითა ზიდოს, ვიდრე ბატონის ურმითა. მაგრამ საქმე აი რა გახლავსთ: სურამის ქედს გადმოღმა, დღევანდელ საგენერალ-გუბერნატოროს რაიონში, ძველად, ყველა გლეხების მოვალეობანი ამნაირადვე ერთგვარისანი იყვნენ, როგორც მოვალეობანი ნაყმევებისა საქართველოში, სადაც ამ მხრივ არავითარი გადახრა არა ყოფილა; მაგრამ აქ მებატონეთ, რაიმე პატივცემისათვის ან ფულით ზოგიერთი მოვალეობა მოხსნეს ყმებს, და ეს ცხლკე **პირობის ქალაღლდით** გამოხატეს. ამ სიგელის მიცემის შემდეგ წელიწადი რომ გაივლიდა, მებატონე შეეცდებოდა ან თხოვნით ან რამე ეშმაკობით გაეკეთებინებინა ის, რასაც წინათ აკეთებდნენ. რაკი ერთხელ-ორჯელ გააკეთებდენ გლეხები, მერე ჩვეულებად, ადათად, გადაექცეოდათ და სიგელსაც ძალა ეკარგვოდა. ბატონის მხრივ ამ ნაირად პირობაზე გადასვლა გლეხს აფრთხილებდა, უნდოთ ეკიდებოდა ბატონს და ცდილობდა გაეკეთებინა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ემართა. აი ამიტომაა, რომ აქ ჩვენა ვხედავთ ამდენს ნაირ-ნაირ მოვალეობას და გადასახადს; მიზეზიც ესაა, რომ გლეხების მოვალეობანი ურთიერთშორის იმდენად განსხვავებულია, რომ მეტად ძნელია ერთს რომელსამე კატეგორიაში მოაქციოს კაცმა.

მე მგონია არა ვსცდები, როცა ამას ვამბობ, მით უფრო, რომ აქ ისეთ გლეხებსაცა ვხვდებით, რომელნიც თავის გადასახადებს იხდიან და ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს არავითარს უცნაურ გადახრას, და ისინიც იძულებულნი არ არიან რაიმე განსაკუთრებულს ჩარჩოში მოექცნენ და მათი მოვალეობანიც განსაზღვრულნიც იყვნენ. ასეთის გლეხების რიცხვი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით წვრილ მემამულეებთან.

2

ეკლესიას და მონასტრებს, ე. ი. სასულიერო უწყებას გაცილებით შეტი ყმა ჰყავს, ვიდრე მემამულებს ერთად აღებულს. ეკლესია, ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, საეპარაქიო უფროსები, სანამ სამოქალაქო უწყება არ ჩამოართმევდა მათს კუთვნილს მამულებს, [1]) ამ მამულებით სავსებით და მარტო თვითონ სარგებლობდენ და ამაში ანგარიშსაც არავის აძლევდენ. ამ უწყების სათავეში იდგნენ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები და იმნაირადვე სცხოვრობდენ, როგორც მთავრები, სუყველაფერში იმათ ჰბაძავდენ; სამღვდელოებისა და მრევლის დამოუკიდებლად ჰქონდათ თავიანთი საკუთარი საეკლესიო სასახლე, თავიანთი თანამდებობის პირნი და თავიანთი სხვადასხვა შინაურნი მსახურნი, რომელთაც სხვადასხვა მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული. ასე რომ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები ამ შემთხვევაში მოგაგონებ'დათ ისპანელ დიდკაცებსს *). ესენი, როგორც დიდძალ მამულების პატრონები, გლეხებს უბოძებდენ მიწებს, ჩამოართმევდენ და თვითონ იძენდენ მამულებს ყოველგვარ სიგელებითა, გლეხებს გადასახადს და ბეგარას ადებდენ, ან ანთავისუფლებდენ გადასახადებისაგან და ამ წყალობას წყალობის ბარათში აღუნიშნავდენ ხოლმე. ერთის სიტყვით, მიტროპოლიტ-ეპისკოპოსები აქ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი იყვნენ და ბევრს რაშიმე წააგავდენ დასავლეთ ევროპის საშუალო-საუკუნოების მონასტრების უფროსებს.

როგორცა ვსთქვით, მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსების სასახლეებში იყვნენ იგივე თანამდებობის პირნი და იგივე მსახურნი, როგორც მთავრის სასახლეში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რაკი

---

[1]) 1853 წ. ქრისტეშობისთვის 9 გამოიცა დებულება საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობისა, თანახმად ეპისკოპოზ ანტონის თხოვნისა და მთავრის დავითის წინადადებისა, საეკლესიო მამულები საბოლოოდ გადავიდა სამოქალაქო უწყების ხელში და ამის შესახებ მიწერილობა გადაეცა სახლთ-უხუცესს 1856 წ. იანვრის 18-ს, 326 ნომრით.

*) ჯერ ისევ ოთხმოციან წლებში, ბატონყმობის გადავარდნის სულ 12 წლის შემდეგ, ასეთის ცხოვრებით სცხოვრობდა ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) ან, როგორც ეძახდენ,პატონსქუა-ჭყონდარი (ბატონიშვილი ჭყონდიდელი), მ.რტვილში. სცხოვრობდა, როგორც ნამდვილი ძველებური ბატონიშვილი. ჰყავდა თავისი ჯოგი ცხენებისა და მთელი შტატი მოსამსახურეებისა. მისი მეუფების შესაჯდომი ცხენი მთელს სამეგრელოში იყო განთქმული. სანადიროდ და თავადიშვილებთან საქეიფოდ ხშირად დადიოდა ბანძაში. მისს მეძებრებს, მწევრებს, ბაზიერებს მთელი ნახევარი კილომეტრი ეჭირათ, როცა სანადიროდ მიდიოდენ.

ამათ ქვეშევრდომი თავადები არა ჰყავდათ, უმაღლესი თანამდებობანი საეკლესიო აზნაურებს ეჭირათ და მათთან შემდეგი თანამდებობა სრულებით არ არსებობდა: მოლარეთ-უხუცესი, მდივანბეგთ-უხუცესი, მეთოფის-თავე, მეღვინეთ-უხუცესი, კილიპტართ-უხუცესი, ბოქაულთ-უხუცესი, ბაზიერთ-უხუცესი, [1]) კერძუალთ-უხუცესი, [2]) ბოქაული და კერძუალი, და, დასასრულ, მათ არ შეეძლოთ ჰყოლოდათ: გამდელი, პირის-ფარეში და მოახლე.

3

ბატონის-შვილი—თავისის ნამდვილის მნიშვნელობით ნიშნავს მეფის წულს, მეფის ოჯახის ჩამომავალს, ხოლო სამეგრელოში ბატონიშვილებს (პატონისქუა) ეძახიან თავად დადიანებს. ბატონიშვილებს თავის წილხვდომილი მამულები უჭირავთ და ჰყავსთ ქვეშევრდომი თავადები და აზნაურები.

დადიანები შეძლებისდაგვარად, თუ კიდევ დაკნინებულნი არ არიან, სცდილობენ შეინახონ ისეთივე სასახლე და იყოლიონ აგრეთვე თანაშრომობის პირნი, როგორც თვით მთავრის სასახლეში ვხედავთ ხოლმე ამას, თუმცა იმ ზომამდე არა და ზოგიერთს გამონაკლისსაც აქვს ხოლმე ადგილი. ერთის სიტყვით, იმის ცდაში იყვნენ, ეცხოვრათ, როგორც პატარა მეფეებს და მთავრის სასახლეში ცდილობდენ მიეღოთ უმაღლესი თანამდებობანი და ღებულობდენ კიდეცა.

4

თავადები. ესენი თავიანთის მხრივ მიისწრაფოდენ—ბატონიშვილების შინაურ ცხოვრებით ეცხოვრათ, თუმცა მოხელენი მაგათს სახლებში ისე მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ. თავადებს მთავრის სასახლეში ეძლეოდათ მოხელეობა, ხოლო ბატონიშვილების ქვეშევრდომ თავადებს—თვით ბატონიშვილების სასახლეებში ეძლეოდათ მოხელეობა.

მთავართან და ბატონიშვილებთან სამსახურში მყოფი თავადები, გარდა იმისა, რომ თავიანთს ნაკისრებ თანამდებობას ასრულებდენ, ეახლებოდენ ხოლმე ქორწილში, ტირილში, ლაშქრობაში, სანადიროდ და სხ.; იგივენი შეადგენდენ თავის ბატონის ოჯახის წევრების საპატიო ამალას. როცა ესენი სადმე მიემგზავრებიან, მოართმევენ ხოლმე ცხენებს და დაუჭერენ უზანგს. ზოგჯერ ბატონები თავის თავადებს მძიმე საქმეს რასმე მიანდობენ და სხვაგანა ჰგზავ-

[1]) მაგრამ ბაზიერები (მეშავარდნეები) კი ჰყავდათ.

[2]) მაგრამ სამაგიეროდ, ეპისკოპოსის სასახლეში აღზრდილ ჩინებულ გვარის ყმაწვილებს ქორები და მეძებრები ეჭირათ და მისთვის ნადირობდენ.

ნიან სამოციქულოდ. სხვა დროს კი თან ახლავან მთავარს ან ბატონიშვილებს და ემსახურებიან როგორც კამერგერები, კამერ-იუნკრები და პაჟები, ხან სუფრაზე, ხანაც სუფრას გარეშე. ამ სამსახურისთვის მთავარი და ბატონიშვილები თავადებს უბოძებდენ ხოლმე ადგილ-მამულს, ყმებს, იარაღს, ცხენებს, საპატიო ხალათს, ან მაუდს და მ. სხ.

5

აზნაურები. აზნაურების შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაცა ვსთქვით თავადებზე, რათგან აზნაურიც თავის ბატონთან იმავე საპატიო სამსახურს ასრულებს, როგორსაც თავადი და ისიც იმავე უპირატესობით სარგებლობს, როგორითაც თავადი. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც აზნაურები, ისე თავადები,—ბატონიშვილების ე. ი. დადიანების ქვეშევრდომები, აგრეთვე ის აზნაურები, რომლებიც სხვა თავადების ქვეშევრდომები არიან, ბატონიშვილებისაგან დამოკიდებულნი არიან, მათგან არ გამოყოფილან არც პირადად და აღარც ქონებრივად და ამ გარემოებას შემდეგში შეუძლია გაართულოს საქმე და შეაფერხოს ადგილ-მამულების, სამოსახლოს და სხვათა გამოსყიდვის ოპერაცია.

6

სამღვდელოება

სოფლის ღვდლის ყოფაცხოვრება, თუ ის აზნაურთაგანი არ არის, შეძლებულ გლეხის მდგომარეობისაგან ბევრით არ ვანსხვავდება. ხოლო საღმრთო-წერილი ისე საცოდავად იცის, რომ რის ვაი-ვაგლახით ასრულებს მღვდელმოქმედებას. ესენი იმდენად უვიცნი არიან, რომ სვანეთშიაც კი არ გამოდგებიან მისიონერებად. ვერ ვიტყვი, მათს შორის კარგი მომზადებული მწყემსებიც არ გამოერეოდენ, მაგრამ ასეთები იშვიათია.

სამეგრელოს სამღვდელოება ბატონყმობისაგან განთავისუფლდა 1841 წ., მთავრის დავითის ბრძანების თანახმად. ამ ბრძანების გამოცემამდე დაბადებული შვილები-კი მღვდლებისა ისევ ბატონყმურ მდგომარეობაში დარჩენ. მაგრამ თუ ესენი მღვდლად ეკურთხებოდენ, სულზე 25 მანეთი თეთრი უნდა გადაეხადნათ და იმ შემთხვევაში ბატონისაგან თავს გამოისყიდიდენ. კეთილშეძენილი მამული სამღვდელოებას დარჩა საკუთრებად, ხოლო მამაპაპეულ ქონებით

მხოლოდ სარგებლობა შეეძლო, და მემამულეს მოსავლის მეათედს უხდიდა.

თითქმის ყველა მღვდელსა ჰყავდა გლეხები და ვისაც არა ჰყავდა, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა ეყიდნა თუნდაც ერთი კომლი მოჯალაბე, ან, სულ უკანასკნელი შემთხვევაში, ბიჭი ან გოგო მოსამსახურედ.

სამრევლო მღვდლებს გარდა, იყვნენ აგრეთვე კარის ეკლესიის მღვდლები. ასეთი მღვდლები ჰყავდათ როგორც მთავართ, ისე ცოტაოდნათ შეძლებულ ბატონს.

ახლა გადავიდეთ **გლეხ-მემამულეებზე.**

გასაოცარი უნდა იყოს გლეხის დამოკიდებულება გლეხისაგან, მაგრამ უფრო გასაოცარია, რომ არსებობენ ისეთი გლეხებიცა, რომელთაც გლეხები ჰყავსთ ყმებად. ისეთი გლეხებიც არიან, რომელთაცა ჰყავსთ ორისავე ხარისხის ყმები— **მოჯალაბენიც** და **მებეგრენიც**, თუმცა ამ უკანასკნელთა მოვალეობანი უფრო ნაკლებია.

მთავარმა დავითმა 1841 წელს სამეგრელოს უზენაეს მართვა-გამგეობას წინადადება მისცა გლეხობის შესახებ. ამ წინადადების მე-4 მუხლში ნათქვამია: „ეკლესიებს აკრძალული აქვსთ **იყიდონ**, გაამზითვონ ან დაუგირავონ [1]) ვისმე გლეხები“. მაგრამ ამ მართლაკაცთმოყვარულმა განკარგულებამ ბოროტება ვერ აღმოფხვრა და გლეხებს დღესაცა ჰყავთ ყმები.

ამ ნაირად, ჩვენ განვიხილეთ სამეგრელოს ყველა წოდების მდგომარეობა და მათი ურთიერთობა. დასასრულ, საჭიროდ დავინახე ამ ნათქვამისათვის დამერთო ცალკე ფურცელზე ცხრილი, 1859—1860 წლებში კამერალურ აღწერიდან. ეს აღწერა შეეხებოდა სამეგრელოს სამ ოლქს: სენაკისა, ზუგდიდისა და ლეჩხუმისას. შიგ ნაჩვენებია მცხოვრებთა რიცხვი წოდების მიხედვით და რაოდენობა იმ მიწებისა, რომელიც მათს ხელშია. ამ ცხრილშივე ნაჩვენებია **თავისუფა-**

---

[1]) 1859—1860 წლების კამერალურ აღწერით რიცხვი გათავისუფლებულ გლეხებისა იყო 20 კომლი და რადგან ამ აღწერილობის დაწყებული შემოწმება ჯერ არ გათავებულა, 1860 წლიდან განთავისუფლებული გლეხები ამ ცხრილში შეტანილნი არ არიან, და მეტად საჭიროა მხედველობაში მიიღონ ეს გარემოება გამოსყიდვის ოპერაციის დაწყების დროს.

ლი გლეხები [1]). ეს წოდება აქ გაჩნდა რუსის მთავრობის განკარგულებით 1860 წლიდან და შესდგება იმათგან, ვინც მებატონეებმა გაათავისუფლეს. მათი რიცხვი **ამჟამად** 423 კომლამდე ადის [2]).

ამ კატეგორიის გლეხები 1860 წლამდე სამთავრო გლეხებად ითვლებოდენ ან ეკუთვნოდენ სხვა მემამულეებს, რომელთაც ისევ ყმებად აქციეს, ან, ყოველ შემთხვევაში, გადასახადს იხდიდენ იმ მებატონეთა სასარგებლოდ, ვის მიწაზედაც ისინი დასახლდებოდენ. მაგრამ ახლა ყოველსავე ამას ბოლო ეღება: ახლა მაგის მსგავსი რამ არ შეიძლება განმეორდეს. და გლეხებიცა გრძნობენ ხსენებულ ზომის სიმძიმესა და მნიშვნელობას და ცდილობენ თავი გაითავისუფლონ მებატონეთაგან. გლეხების ეს მეცადინეობა ნათლადა სჩანს შემდეგის ცხრილიდან:

ცხრილი

გლეხების გააზატებისა სამეგრელოში:

წელიწადი გააზატებისა	რიცხვი გააზატებულ კომლთა
1860 წელს	25
1861 „	36
1862 „	22
1863 „	64
1864 „	69
1865 „	123
1866 „	84 მარტის 16-მდე $2^1/_2$ თვ-
	სულ 423 კომლი.

თუ კომლზე მამრობითის სქესი 4 სულს ჩავთვლით, ექვს წელიწადში 1692 სულ თავისუფალი გლეხი იქნება.

---

1) სამწუხაროდ, „კავკასკასკიია სტარინას“ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ეს ცხრილი ამ სტატიას, რომელიც 1866 წლამდეა დაწერილი, ვერ დაერთო.

2) მე მგონია, აქ ნათლად არ არის გამოთქმული სურვილი—მოისპოს ისეთი წესი, როდესაც ყმას შეუძლია ყმა იყოლიოს; უნდა თქმულიყო ასე: აღკრძალული აქვს გლეხს იყიდოს, და აგრეთვე მიჰყიდოს ყმა იმათ, ვინც შთამომავლობით აზნაურები არ არიან.

ბატონყმობა სამეგრელოში

(ჟან მურიესი*)

სულ უძველეს დროიდან უკანასკნელ ხანამდე, ე. ი. 1867 წლამდე, სამეგრელოს გლეხობა სამ კლასად გაიყოფებოდა: სულ დაბალი კლასი შესდგებოდა ინდოელთა პარიების მსგავსებისაგან და იწოდებოდა **დოლმახორეებად**; საშუალო კლასი, რომელსაც ბატონების ათას გვარი გადასახადები და ბეგარა ემართა, იყო—კლასი **მებეგარეებისა** და, დასასრულ, მესამე კლასს შეადგენდენ **აზატები**.

დოლმახორე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს—ვისმე გვერდით მცხოვრებს. დოლმახორე შეადგენდა ბატონის საკუთრებას; ისა სცხოვრობდა ან ბატონისავე ეზოში ან და მის სახლიდან ორიოდე ნაბიჯის მანძილზე. სულს იქით თავისი საკუთარი **დოლმახორეს** არაფერი გააჩნდა, იცვამდა ბატონის მონაცვალ ტანსაცმელს, სჭამდა ბატონის ნასუფრალს, მხოლოდ ბედნიერ დღეებში თუ ეღირსებოდა ცოტა უკეთეს საჭმელს, ამიტომ რომ ასეთს დღეებში ბატონისაგან ეძლეოდა შიგნეული სხვა გლეხების მიერ გასუქებულ და ბატონისათვის მირთმეულ ღორისა. ბატონს შეეძლო გაეყიდნა დოლმახორე, გაეტანებინა მზითევში როგორც თვით დოლმახორე, ისე მისი ცოლშვილი. იგი თავის ცოლშვილიანად ემსახურება ბატონს, მუშაობს ბაღში, ყანაში, ეზიდება ზურგით შეშას, უვლის თავლას, ხარშავს საჭმელს, რეცხავს ჯამ-ჭურჭელს. მისი ცოლი ბატონის მეუღლეს ემსახურება: ზრდის შინაურ ფრინველებს, მოჰყავს აბრეშუმის ჭია, ეზიდება წყალს და განსაკუთრებით ასრულებს ადგილობრივის მკვდრისაგან ყველაზე საზიზღარ ხელობად მიჩნეულს და **დოლმახორეს** უფრო დამამცირებელ ხელობას: სძეხვავს ღომს.

ასეთს უღირს მდგომარეობაში მყოფ **დოლმახარესაგან** მებეგრეთა და აზატთა, რა თქმა უნდა, თავი შორს ეჭირათ. ამიტომ ეს საცოდავი სულ იმის ცდაშია—დოლმახორობას თავი დააღწიოს და უფრო მაღალ კლასში გადავიდეს. ამისათვის მას ორი გზა ჰქონდა, ერთიც და მეორეც მისთვის გამანადგურებელი: ან თავი გამოესყი-

*) გადმოთარგმნილია მისი წიგნიდან, რომელიც „La Mingrélie-ის სათაურით 1883 წ. გამოიცა ფრანგულად ოდესაში.

დნა ბატონისაგან, ან ქალი მიეთხოვებინა უფრო მაღალ კლასის გლეხისათვის. მაგრამ თავის ნატვრას ასრულებას იშვიათად ეღირსებოდა, თუმცა ბატონი მაინცა და მაინც ბევრს არასა სთხოვდა. თუ ან თავს გამოისყიდიდა ან თვითონ ბატონი როგორმე წყალობას მოიღებდა და გაანთავისუფლებდა, დოლმახარე **მებეგრედ** ხდებოდა და ბატონს წლიურად აძლევდა: 1 ღორს, 1 ქათამს, 1 კოკა ღვინოს, 1 ქილა ღომს.

თუმცა ბევრი **დოლმახარე** სცდილობდა თავისი მდგომარეობა გამოეცვალნა, მაგრამ მათი რიცხვი მაინც საკმაოდა რჩებოდა. ამის მიზებები იყო ისა, რომ ბატონს უფლება ჰქონდა დოლმახარედ გადაექცია: ყველა უკანონო შვილები მოსამსახურე ქალებისა, უპატრონოდ მიგდებული ბავშვები, ომიდან წამოყვანილი ტყვეები, ყველა გლეხები, რომელთაც სხვა მებატონენი ვალში აძლევდენ, და, დასასრულ, ყველა ის საკუთარი გლეხები, „ვინც აწყენინებდენ რასმე!“*).

სიტყვა **მებეგრე** წარმოდგება სიტყვა **ბეგარი**-საგან, რომელიც ოსმალურად გადასახადსა ნიშნავს. ყველა მებეგრე იხდიდა: 1—2 ღორს 3—6 მანეთად ღირებულს, 1—2 ცხვარს, რამდენსამე **კოკა** ღვინოს, რამდენსამე ქილა ღომს და ერთს ქათამს. მაგრამ არის ათასი სხვა გადასახადი, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო არ იყო, მაგ.: **საური**— ათი შაური, **საუდიერო**—ერთი ორმანეთიანი ღორი, რამდენიმე კოკა ღვინო და რამდენიმე ქილა ღომი; **საბოჭი-ქათამი**: თვეში ერთი ქათამი; **ოქირსეპიჩურე**—ე. ი. ქრისტეშობის მარხვისათვის: ორი დოდო-მჭადი, ლობიო, მარილი, ჭარხალი, ნიორი და კაკალი; **საყველივრო** ე. ი. ყველიერისათვის: 30 კბილი ყველი, 30—40 კვერცხი, თევზები; **ოდიდი-პიჩური**—სადიდმარხვო: იგივე გადასახადი, რაც ქრისტეშობის მარხვისათვის იყო, მხოლოდ მებეგრე გლეხებმა ყოველსავე ამას კიბოებიც უნდა დაუმატოს; **სამარხო**—სხვა მარხვებისათვის: ლობიო, კაკალი, მწნილი; **საალდგომიო**: იგივე, რაც ყველიერში, მხოლოდ ყველა ბატონის არ ემართათ ეს გადასახადი; **ობატკური**—საბატკნო გადასახადი: უნდა მოიყვანოს ბატკანი საალდგომოთ; **ოქობალური-პური**—იხდიან პურის გალეწვის შემდეგ: 2 მრგვალს პურს, 1 ტიკჭორა ღვინოს, 1 ქათამს, 1 სულგუნს; **სამაჭრო**—ღვინის გაწურვის შემდეგ; **საკერძუალო**—გადასახადი ბატონის მონადირეთათვის: 3 კოთხო ღომი, 1 კოკა ღვინო, 1 თხა; **საბაზიერო**—ბაზიერთათვის; **საშეჯოგო**—ბატონის მეჯოგეთა-

*) ამ შემთხვევაში ბატონის თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა.

თვის: იმასვე იხდიან, რასაც ბატონის მონადირეთათვის; **საქორწილო**—როცა ბატონის ოჯახის წევრი ვინმე თხოვდება, შეაწევენ 1 ხარს ან ძროსას ან 15 მანეთს; **საჩექმო**—როცა გლეხის ქალი მეორე ბატონის კაცს მისთხოვდება, პატარძლის პატრონმა უნდა მისცეს 1—10 მანეთამდე; ხოლო ნეფე თავის ბატონს აძლევს ექვს აბაზს. თუ მსახური ქალი თხოვდება,—იხდის 2—30 მანეთამდე; **საქვრივო**—როცა ქვრივი მეორედ გათხოვდება, იხდის 1 ხარს; **სალაშქრო**—ბატონის მოლაშქრეთა საგზალი; **საციხო**—ტუსაღთა და სატუსაღოების შესანახავად: 1 კოკა ღვინო, 1 ქილა ღომი, 1 ქათამი; **საკულუხო** ანუ **სადედოფლო**—გადახახადი, რომელსაც დედოფალი ღებულობს და რომელსაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აძლევენ: 9 ქილა ხორბალი; **სამოურავო**—მოურავებისათვის და სხ. და სხ.

ამ გადასახადებს გარდა, ხუთასი სხვა ბეგარა ემართათ **მებეგრეებს**. მაგ., მებეგრე ვალდებულია ზამთრის ერთს თვეს შეინახოს როგორც ცხენი ბატონისა, ისე მისი მეჯინიბე; როცა ბატონს სტუმარი ეწვევა, მისი ცხენიც მებეგრესთან იგზავნება მოსავლელად; ვსთქვათ, ბატონს საჭმელ-სასმელი შემოაკლდა, ადგება და ცოლშვილიანათ ჩაუჯდება ყმას და მისს ხარჯზე ცხოვრობს მანამდე, სანამ სულ არ გააჩანაგებს; ახლა „სხვას უბედურს გააბედნიერებს მობრძანებითა თვისითა“, როგორც ამბობს ელიზე რეკლუ; ყანის დამუშავება უნდა და მუშები სჭირია: საკმარისია, ერთი კი დაუძახოს, და მებეგრენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გამოცხადდენ და იმუშაონ ბატონის ყანაში; ვინც 10 ქილა ღომს გადაიხდიდა, ამ ბეგრისაგან თავისუფლდებოდა.

მეტად შორს წაგვიყვანდა დაწვრილებით ჩამოთვლა ყველა გადასახადებისა, მაგალითად, ცვილისა, თაფლისა, კანაფისა, ქერისა, ბრინჯისა და სხ.

მებეგრეებს, როგორც **დოლმახორეებს**, ზოგი პირადი ბეგარაც ემართათ: მაგ. უნდა ეძლიათ შინა-ყმა ან ფარეში (ხელზე მოსამსახურე) და მოახლე; **მეციხვარე** ანუ ციხეების და სატუსაღოების დარაჯები და სხ.; როცა ბატონი სადმე გზას გაუდგებოდა, მებეგრეს მისი ბარგი უნდა ეზიდნა ზურგით; რამდენიმე ოჯახი იყო ისეთი, რომელთაც საგანგებოთ ბატონის ბარგის გადაზიდვა ემართათ და ამ ხელობას განსაკუთრებული სახელი ერქვა—**მებარგე**.

აზატები ანუ თავისუფალი გლეხები მესამე კატეგორიას შეადგენდენ. თუმცა ზოგიერთ გადასახადისაგან თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ საერთოთ იმდენსავე იხდიდენ, რამდენსაც მებეგრენი. მათის

მდგომარეობის უპირატესობა ერთი ის იყო, რომ ღორს არ იხდიდენ; მეორეც ისა, რომ მათის წრიდან აყვანილი ფარეშები ისეთს საქმეს არ აკეთებდენ, რაც მათის აზრით მათს ღირსებას შეჰლახავდა და მესამეც ისა, რომ ისინი უფრო დაახლოვებულნი იყვნენ ბატონთან, ვიდრე მებეგრენი. ამიტომ მებეგრენი და დოლმახორენი შურით უყურებდენ აზატების მდგომარეობას და ყოველს ღონესა ღონობდენ—მათ გასტოლებოდენ. აზატები თან ახლდენ ბატონს მოგზაურობის დროს, დაუხვდებოდენ დს გაუმასპინძლდებოდენ, როგორც ბატონს, ისე მის ოჯახობას, ინახავდენ მისს ცხენებს, ორ წელიწადში ერთხელ აძლევდენ: ერთს ძროხას, ერთ-ორ ქილა ღომს, ერთ ან ორ კოკა ღვინოს. ზოგჯერ **აზატებსაცა** ჰყავდათ თავისი ყმა-გლეხები, რომელთაც სხვადასხვა გადასახადები ემართათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში უმეტეს წილს აძლევდენ ბატონს, რომელსაც თვით მათი ბატონი—აზატი ეკუთვნოდა.

ასეთი იყო მდგომარეობა გლეხებისა. და მთელ საუკუნეთა განმავლობაში ერთი წუთიც არ გამორეულა ისეთი, რომ ამ საცოდავებს შედარებით ერთი ტკბილი დღე ენახნათ. სხვა და სხვა ულმობელ მტერთა განუწყვეტელ თავდასხმა, დაუსრულებელი ლაშქრობა გლეხს კიდევ უარეს ცეცხლში აგდებდა და გაჭირვებას უასკეცებდა: უნდა შეენახნა ბატონი, უნდა შეენახნა ოჯახი ბატონისა, უნდა შეენახნა თავისი საკუთარი ოჯახიცა; ბატონის ქეიფზე იყო დამოკიდებული ყმის როგორც არსება, ისე მისი ქონება; საერთო და სრული დამონება ოღონდაც რომ შეაძულებდა შრომასა და მუშაობას. აბა თავი რათ უნდა გაეცხელებინა და წელი გაეწყვიტნა მუშაობითა, როცა მისი შრომის ნაყოფი მეორე დღეს ბატონის ბეღელში უნდა გადასულიყო?! ფეოდალობის ყველა საზიზღარი ფორმა განხორციელებული იყო ამ მშვენიერს ქვეყანაში, რომელიც თუმცა ბუნებისაგინ უხვად იყო დაჯილდოვებული, გარნა მთელს ქვეყნიერებაზე იმაზე ღარიბი მხარე არ მოიძებნება.

გლეხთა განთავისუფლება. კერძო საკუთრება. რუსთ ხელმწიფემ ბატონ-ყმობა გადაადგო, ყმები განთავისუფლდენ, მიენიჭათ ზნეობრივი დამოუკიდებლობა, პირადი თავისუფლება. ბატონ-ყმობის გაუქმებამ დაამსხვრია ის ჯაჭვი, რომლითაც ყმა მიწასთან იყო მიჯაჭვული, ხოლო იგივე ხელმწიფე მემამულეების უფლებას მიწა-წყალზე არ შეეხო, რაცა ჰქონდათ, ყველაფერი დაუტოვა, მხოლოდ გლეხები კი ჩამოაცალა ამ მიწას და ამ გვარად გლეხებს ხელიდან გამოეცალათ ის მიწები, რომელზედაც ისინი ხნავდენ და სთესავდენ.

947.922
387

მემამულენი იძულებულნი გახდენ ფულით შეესყიდვინებინათ და წინანდელ ყმებისათვის მიეცათ სამოსახლო და დასამუშავებელი მიწა. სამოსახლო მიწაში 3 მანეთი უნდა აეღოთ ყოველ ქცევაზე; სახნავ-სათეს მიწისათვის მოსავლის მეოთხედი უნდა ეძლიათ; სავენახესათვის—მესამედი. თუ წინად ძალაუნებურად თავის ბატონის ფერმერი იყო ყმა, ახლა მესაკუთრედ შეეძლო გადაქცეულიყო, თუ შეისყიდიდა სამოსახლოს და სახნავ-სათესს. შიდა-რუსეთში მთავრობა ეხმარება გლეხებს მამულები შეასყიდვინოს მემამულეთაგან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასევე დაეხმარებიან გლეხებს კავკასიაშიაც და ამ სახით, ცოტათიც არი, შეამსუბუქებენ გლეხების ძდგომარეობას, რომელნიც სანახევროდ-ღა არიან განთავისუფლებულნი.

სამეგრელოს ეკლესიას დიდიძალი მამულები ეჭირა. ბატონყმობა რომ გადავარდა, მთავრობას გადასცა ეს მამულები და სამაგივროთ წლიურად ხაზინიდან 20,000 მანეთს წლიურს სარგებელს ღებულობს.

ამ ჟამად ხაზინისა და თავადაზნაურობის ხელშია დიდძალი მამული, მაგრამ რათგან მიწები გამიჯნული არ არის და არც ნოტარიალური სიმტკიცის ქაღალდები აქვსთ, დღე-მუდამ უთანხმოება მოსდის; დაუსრულებელი ჩხუბი, დავა და საჩივარი ასტყდება ხოლმე მესაკუთრეთა შორის და ყოველი მათგანი თავს ნამდვილ პატრონადა სთვლის ამა თუ იმ მამულისა. ასე რომ დილას რომ თავისი თავი პატრონად მიაჩნია კაცს, საღამოს შეიძლება ძალით ხელი ააღებინოს თავისს მამულზე სხვამ, რომელიც დაუმტკიცებს, რომ მე ვარ ნამდვილი პატრონიო.

მხოლოდ იმას შეუძლია შედარებით გულარხეინად იყოს, ვისაც მთავრის სამმართველოდან რაიმე საბუთის ქაღალდი აქვს მოცემული ან როცა ამა თუ იმ მიწას ათის წლის განმავლობაში ჰფლობდა და ამ ხნის განმავლობაში არავინ გამოსდავებია.

სამეგრელოს მეოთხედი ეკუთვნის ნიკოლოზს სამეგრელოისას, რომელსაც იმპერატორმა მაიორატის წესით გადასცა ყველა მამულები, რაც მის მამას, მთავარს დავითს, ეპყრა.

სტატისტიკა. „კავკასიის სასტასტიკო კომიტეტის“ მიერ 1873 წლის ოფიციალურად გამოქვეყნებულ ციფრების თანახმად, სამეგრელოში ითვლებოდა 174.079 სული, ამათგან 92.893 მამრი და 81.186 მდედრი. მაგრამ ეს ციფრები დღეს სწორი არ უნდა იყოს და ახლა მეგრელთა რიცხვი 200.000-მდე უნდა ადიოდეს.

1927 წ.
29 აპრ.

ბიბლიოგრაფია

კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და ბურიე.

ბატონყმობა სამეგრელოში

თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი.

თბილისი 1927 წ. ფასი 1 მ. 50 კაპ.

წიგნი წარმოადგენს ორი უცხოელი ავტორის და ამ კუთხის მკვლევარის რაფ. ერისთავის უცხო ენაზეედ დაწერილს, ნარკვევს, რომელიც ახასიათებს სამეგრელოს საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულ საუკუნის შუა ხანას.

ამ სამ ნარკვევთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ბოროზდინის ნაშრომი.

კ. ბოროზდინი სამოციან წლებში სამეგრელოში მაზრის უფროსად არის ნამყოფი. მას მრავალი ნაწერები აქვს. ამ კრებულში თარგმნილი, წარმოადგენს გამოკვლევას, სამეგრელოს ნივთიერი და საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ.

ნარკვევში განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელოს მეურნეობის დახასიათება. ავტორი დაწვრილებით აგვიწერს სიმინდის, პურის, ღომის და სხვა ხორბლეულის მოყვანას, მევენახეობას მეაბრეშუმეობას; მისი აღწერა იმდენად ფრთხილია, რომ იგი აღნიშნავს თუ რამდენს იძლევა პურის, ღომის ან სიმინდის თითო მარცვალი. ავტორის აზრით სამეგრელოში ნიადაგი იმდენად უხვია, რომ პურის თვითეული მარცვალი, გაცილებით უფრო ხაკლები შრომით ვიდრე შუა გულ რუსეთში, იძლევა ოცდაათ მარცვალს, მაშინ, როდესაც ერთის მარცვალს ათი ან თორმეტი მარცვალი გამოაქვს. ეს კუთხე მდიდარია აგრეთვე ღვინითაც, რომლის უკეთესი ხარისხი „ოჯალეში" წააგავს განთქმულ ღვინოებს: ბურგონისას და პორტვეინს. ასეთივე დაწვრილებით არის აღწერილი მეაბრეშუმეობა სამეგრელოში.

დაწვრილებით ახასიათებს ავტორი სამეგრელოს ბაზრობას. საერთოდ ავტორის ეს ნაშრომი, პატარაა, მაგრამ იმდენად საგულისხმოა, რომ იგი უსაოუოდ საუკეთესო მასალაა ამ კუთხის ძველი დროის ცხოვრების გასაცნობად.

ასეთივე საინტერესო ცნობებს შეიცავს ჩვენ მწერალ რაფ. ერისთავის ნარკვევი, სამეგრელოში, ბატონ - ყმობის დროის სხვადასხვა ხარისხებთ დანაწილების შესახებ. ამავე გლეხობის კლასებად დაყოფას იძლევა ფრანგი მოგზაური მურიე, რომელიც მასში სამ მთავარ კლასს არჩევს.

საერთოდ, წიგნში მოთავსებულია გამოკვლევები, ამ კუთხის წარსული საუკუნის შუა ხანების ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების დასახასიათებლად გამოსადეგი მასალაა.

ფასი 1 მ. 50 კ.

947.922
ბ 87